



ლიბეჩანი

№ 167 თებერვალი 2016

1737
2016

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 5 ლარი

რელიგია, გრძნობები და თავისუფლება

33. 20



ახალი ამბები 1/5

საქართველოს საპარლამენტო არჩევნები

TorqueBox

საპარლამენტო არჩევნების შედეგები

საპარლამენტო არჩევნების შედეგები

ჩვენ გირჩევთ

შემოგვიერთდი განახლებულ
www.liberali.ge _ზე



ოციალური ინჟინერია
 ვარკეთილი და RMG-ის
 ინჟინერების პროფკავშირების
 მიერ მოგებული სასამართლო
 პროცესი

რთველის
 გართულებული
 არითმეტიკა

The
 კვლევები
 თანამედროვე
 მამობა
 მიგრაცია
 რამდენიმე
 ლტოლნილი
 www.li

შურ
 ზუ
 ვა
 ლი
 ახ
 და
 ფო
 ლე
 შურ
 ზურ
 ზაკ
 თა
 სო
 და
 ამ
 სა
 კონ
 ლე
 გრ
 არ
 გი
 ნა
 შურ
 თორ
 რა
 ნინ
 ნათ
 ბი
 ქე
 კო
 ელ
 ალი
 გზ
 დის
 გი
 ჟურ
 და
 ბა
 მს
 მს
 ქ.
 50
 ელ
 ფ
 ვე
 აა
 ეურ
 მს
 მთ
 თა



ლიბერალი

№ 167 თებერვალი 2016

წინასწარი რედაქტორი

ზურაბ ვარდიაშვილი

მედიის რედაქტორი

ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი

დათო გამისონია

ფოტორედაქტორი

ლევან ხერხეულიძე

წინასწავი

ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ლევინაშვილი, ნათია ხალიანი, ეკა მაღალაძე, სოფო აფციაური, თეიმურაზი კანაშვილი, დიმიტრი ფარულაძე, ნათია ამირანაშვილი, დიმიტრი გამისონია, სულხან გორგოძე

წინასწავი

ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გრიგოლ გეგელია, ალექსანდრა არიშვილი, ერეკლე მუშლაძე, გიორგი კეკელიძე, ნინო ნატროშვილი, გიორგი ახვლედიანი

წინასწავი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/პროდუქტორი

ნინო კალატოზიშვილი
ნათია ორმოცაძე

მისამართის მენეჯერი

ქეთევან ქავთარაძე

საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

ელენე ხარაზაშვილი

ადმინისტრაციული მენეჯერი

მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი

გივი ნაზარაშვილი

ურნალის გამოშვების მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამოცემის მისამართი:

შპს „ლიბერალი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია.
ურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაყვანა:

შპს „სენანი“
მისამართი: თბილისი, ნურეთის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოცემის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკონფერენციის საცდლო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

ადგილი მაგიდასთან

14 იანვარს, ძველით ახალ წელს, საგურამოში, ილიას მარანში გაშლილი სახელისუფლებო სუფრა ხომ გახსოვთ?

„დარბაზში ორ 30-კაციან მაგიდასთან ვისხედით. სუფრა რომ მთავრდებოდა და წამოვიშალეთ, ყველა, მათ შორის, ყოფილი და მოქმედი პრემიერები გავაჩერე და ხუმრობით ვუთხარი: ამბობენ, სიის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ვინც ბიძინა ივანიშვილის მაგიდასთან მოხვდა, ბედნიერია, რადგან სიაში მოხვდება, ვინც სოსო ჯაჭვლიანის მხარეს აღმოჩნდა, ყველა „გადაყრილია“. ეს რომ გუგულო მალრადემ გაიგონა, წამოხტა, ვაითუ, სიაში ვერ მოხვდეთ და გიტარით ხელში ბიძინა ივანიშვილის სუფრასთან გადაინაცვლა, თუმცა როდესაც ივანიშვილმა სოსო ჯაჭვლიანზე დადებთადა ისაუბრა, მაშინვე დაუბრუნდა საკუთარ ადგილს...“ – მოგვიანებით მოუთხრობს გაზეთ „კვირის პალიტრას“ ჯაჭვლიანი.

საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება. ვინ მოხვდება სიაში, ვის ექნება „ადგილი მაგიდასთან“? ამ საკითხზე ზრუნვა, როგორც ჩანს, დეპუტატების მთავარ გამოწვევად იქცა, რაც მათ საქმიანობაზე აშკარად აისახა. მხოლოდ ამ კონტექსტში ილანდება იმ კანონ-პროექტის მონონების მოტივაცია, რომელსაც „ლიბერალის“ ეს ნომერი მთავარ თემას უძღვნის.

საპარლამენტო სიის ფორმირებზე საქართველოს არაფორმალურ მმართველ ბიძინა ივანიშვილსა და რამდენიმე სხვა ფაქტორთან ერთად, ცხადია, იმ ინსტიტუციის მძლავრი გავლენაც მოქმედ-



ბს, რომელიც არასოდეს ამბობს უარს, ძალაუფლების უფრო და უფრო მეტი ბერკეტი მოაქციოს საკუთარ არეალში. მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების დაცვის საბაზით, სასულიერო იერარქებისა და მათი ქმედებების მძაფრი კრიტიკისგან კანონით დაცვა, როგორც ჩანს, ადამიანის უფლებათა კომიტეტში მათი გულის მოსაგებად კარგ საშუალებად ესახებათ.

ასევე პირადად ბიძინა ივანიშვილის სიმპათიის დამსახურების მცდელობას ჰგავდა დეპუტატ გოგი თოფაძის სიძულვილის ენითა და დისკრიმინაციით აღსავსე თავდასხმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილზე. დეპუტატის და სამწუხაროდ, ეს თავდასხმა ცუდად თავად შეუტრიალდა (თუმცა, სამართლიანობისთვის ღირს, აქვე აღვნიშნო, რომ მან ამის შესახებ არ იცის).

მაგიდასთან ადგილის მოსაპოვებლად ომი ძალებს ესე-ესა იკრებს. ჩვენი მოვალეობა ამ პროცესს დავაკვირდეთ, ბრძოლის აქტორებისა და მათი მეთოდებისგან ხშირად არჩევანის გასაკეთებლად ფრიად საინტერესო ინფორმაცია გამოსჭვივის.

ზურაბ ვარდიაშვილი, ურნალის რედაქტორი




საპარლამენტო არაფორმალური
ეროვნული ბიბლიოთეკა

- 04 ავტორები
მიმოხილვა
- 06 „დასავლეთის ფეტვა“ გაუქმდა
ავტორი: ლევან ახალაია
თვალსაზრისი
- 10 კანონი ურწმუნოთა
ავტორი: გრიგოლ გეგელია
- 16 მდიდარი ღარიბი ჭიათურა
და მემარცხენე აქტივიზმის
ტენდენციები
ალექსანდრა აროშვილი
ინტერვიუ
- 20 რელიგია, გრძნობები და
თავისუფლება
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი
პოლიტიკა
- 26 გაზის საფასური
ავტორი: ქეთევან ღვედაშვილი
განათლება
- 30 როგორ გავხდეთ მასწავლებელი
ავტორი: სალომე გორგოძე
მთავარი თემა
- 34 ჩაქუჩი გამოხატვის თავზე
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი
სამართალი
- 38 მოსამართლეები შერჩევით
ქეთევან ღვედაშვილი
საზოგადოება
- 42 საქართველოს გზები – ომზე
უფრო საშიში
ავტორი: ეკა მაღალაძე
ფოტოპროექტი
- 48 გადასასვლელი სამტრედესთან
ავტორი: ერეკლე მუმლაძე
ბიბლიოთეკა
- 60 ბაქოში ნაპოვნი საქართველო
ავტორი: გიორგი კეკელიძე
კულტურა
- 62 არიები „ირმების
გადმოსახედიდან“
ავტორი: დავით ბუხრიკიძე
- 66 მომღერალი ჭალი
ავტორი: ნინო ნატროშვილი
სპორტი
- 74 მდიდარ-ღარიბის ძველი ამბავი
ავტორი: გიო ახვლედიანი



ფოტო: ლევან ხაჩიკაშვილი



სამართალი

მოსამართლეები შერჩევით

როგორ ნაწილდება სასამართლოში შესული საქმეები მოსამართლეებზე? – შესაძლოა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მიიჩნიოს, რომ ეს თემა მას არ ეხება, თუმცა, თუკი სასამართლოში რაიმე სტატუსით წარდგენა მოგიწევთ, ან რომელიმე გახმაურებული საქმის ბედი გადელვებთ, ან სულაც მართლმსაჯულების აღსრულებით ხართ დაინტერესებულნი, უნდა იცოდეთ, რომ საქმის მოსამართლეებისთვის განაწილებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. კანონის ამჟამინდელი ვერსიით, პროცესში ჩართვა სასამართლოებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს შეუძლიათ, ეს კი მოსამართლის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევას შესაძლებელს ხდის.

 ქეთევან ღვედაშვილი
33:38

ბანათობა

როგორ გავხდეთ მასწავლებელი

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პროფესიის დაწყების დივერსიფიცირებული გზების არსებობით, მასწავლებლად გახდომა უფრო რთულდება, მაგრამ მათი კომპეტენცია მოიმატებს. განმარტავენ, რომ ამას ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს, პირველი – სავალდებულო საგნობრივი გამოცდის ჩაბარებით დაინტერესებული პირი საგნობრივ კომპეტენციას დაადასტურებს და მეორე – მასწავლებლის მომზადების პროგრამა როგორც გრძელი გზის შემთხვევაში, ისე დამოუკიდებელი ერთნაირი პროგრამის სახით დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, პრაქტიკული ცოდნა მიიღოს და საგნის სწავლების მეთოდოლოგიურ ნაწილში მეტი კომპეტენცია შეიძინოს.

 სალომე გორგოძე
 33.30

ბეატაჯა

არიები „ირმების გადმოსახედიდან“

გაჭიანურებული სარემონტო სამუშაოები, რომელიც ხშირად უსარგებლო და ყოვლად არამუსიკალურ სკანდალებთან, ადმინისტრაციისა და სამხატვრო ხელმძღვანელების შეცვლასთან, სოციალურ თუ პოლიტიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ხმაურიანად ჩაბარდა ნარსულს... თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებული თეატრი ეროვნული კულტურის არქტიპით, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, იანვრის ბოლოს საზეიმოდ გაიხნა. თუმცა ვისთვის ეს არტფაქტია, ვისთვის იმ ერთი კაცის პოლიტიკური მასალიდან გამოძერწილი ოპერეტა. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ასეც კი ითქვა – ყველა გზა ოპერაში მიდის.

 დავით ბუხრიკიძე
 33.62

საოხში

მდიდარ-ღარიბის ძველი ამბავი


ეს ორი ძველისძველი კლუბი 1913 წლიდან ხვდება ერთმანეთს. შეხვედრათა რეესტრი მოიცავს ხუთასზე მეტ მატჩს, იმათ შორის კი ას ოცი სრულიად არამხანაგური ამხანაგურია.


 გიო ახვლედიანი
 33.70

თვანსახისი

კანონი ურწმუნოთა

გასულ კვირაში, პოლიტიკური თავისუფლება ხელახლა გახდა თავდასხმის სამიზნე. არც ახალი და არც უცნობი აქ არაფერია, რადგან საქართველოს მოქალაქეთა სოციალური და პოლიტიკური უფლებები თავდასხმის პერმანენტული სამიზნეა.

 გრიგოლ გეგელია
 33.10



ინტერვიუ

ინტერვიუ ლევან გიგინეიშვილთან

მე მგონი, მართლმადიდებელი ეკლესიის და ასევე სხვა ეკლესიების წევრებისთვის უკეთესია, თუ იქნება როგორც კონსტრუქციული და კეთილგანწყობილი, ისე დესტრუქციული და არაკეთილგანწყობილი კრიტიკის გამოთქმის სრული თავისუფლება საზოგადოებაში. ამით ხომ გეძლევა მეტი საშუალება გარედან დაინახო საკუთარი თავი და საკუთარი ნაკლი ა.შ. ავგუსტინე წერს, გინება არასდროს არ უნდა გენყინოსო: თუ სამართლიანად გაგინებენ, მადლობელიც კი უნდა იყო, რომ ნაკლზე მიგითითეს, რათა გამოასწოროო, თუ უსამართლოდ – რატომ უნდა გენყინოს ის, რაც რეალურად არ გეხებაო.

 ზურაბ ვარდაშვილი
 33.20



ალექსანდრა არაშვილი

მდიდარი ღარიბი ჭიათურა და მემარცხენე აქტივიზმის ტენდენციები

ეს მოძრაობები გაფართოვდება, რადგან შეუძლებელია, საქართველოში არ გაფართოვდეს მემარცხენე მოძრაობა, სწორედ რომ ჩვენი უშუალო მატერიალური და სოციალური სინამდვილიდან გამომდინარე – ეს ბრძოლა კი სულ მცირე მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ მდიდარი ჭიათურა არ გახდება, მართლაც, მდიდარი.



ნინო ნატროშვილი
მომღერალი ქალი

ამ ისტორიაში ყველაფერია, რაც ელექტრონულ კატალოგებსა თუ პირად არქივებში მოიძებნა. თბილისის ოპერის და მასთან ერთად ქალის ცხოვრება გრძელდება. ეს სტატია კი მალე ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრესის არქივს შეუერთდება და ქალის ისტორიის ახალ მაძიებელს დაელოდება.



ეკა მალალდაძე
საქართველოს გზები – ომზე უფრო საშიში

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების უმრავლესობა შსს-ს მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებებს ეთანხმება, თანამდებთან იმაზეც, რომ ეს ყველაფერი ეფექტიან შედეგს ვერ გამოიღებს, სანამ ქვეყანაში არ იარსებებს ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რგოლი, რომელიც საგზაო უსაფრთხოებაზე იქნება პასუხისმგებელი.



ევროპის პოლიტიკურ თუ საქმიან წრეებში ირანის მიმართ ცხოველი ინტერესი არსებობს. ისლამური რესპუბლიკის იზოლაციიდან გამოსვლის მსგავსი ფაქტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ მომხდარა.



ლევან ახალაია
„დასავლეთის ფეტვა“ გაუქმდა

ირანის თითქმის 80-მილიონიან, აუთვისებელ ბაზარზე შესვლა ევროკავშირის იმ ქვეყნებისთვის, სადაც უკვე რამდენიმე წელია „ქამრების შემოჭერას“ ცდილობენ, საკმაოდ მიმზიდველი პერსპექტივაა. რამდენად სტაბილური პარტნიორი იქნება ევროპისთვის ირანი და მოუტანს თუ არა მისი გაძლიერება რეგიონს მშვიდობას, ჯერ რთული სათქმელია.



გიორგი
ტომარაძის საკანონმდებლო წინადადების ჯაჭვლიანის მიერ ინიცირებაზე

არსებობს ტელევიზია და ინტერნეტი, რომელიც გამომხატველსა და მას შორის, ვინც შესაძლოა გამოხატვა შეურაცხყოფად მიიღოს, არ მოითხოვს პირისპირ ყოფნას, ამდენად, არ არსებობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე.

ბლოგი

ვახუშტი მენაბდე

FM 107,4

ყოველდღე

8-დან 10 საათამდე

ესა



თავისუფლების დილა



„დასავლეთის ფეტვა“ გაუქმდა

ლევან ახალაია



1989 წელს ირანის სულიერმა ლიდერმა, აია-თოლა ჰომეინიმ, გამოსცა ფეტვა, რომლითაც წარმოშობით ინდოელ, ბრიტანელ მწერალ სალმან რუშდის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. განკარგულება, რომლის უსიტყვო აღსრულებაც ყველა მორწმუნის ვალია, რუშდის ნიგნს, „სატანურ ლექსებს“ ეხებოდა. რომანის პერსონაჟებს შორის შეიძლება ამოიცნო როგორც მუჰამედ ნინასწარმეტყველი, ისე თავად აიათოლა ჰომეინიც. ირანის ერთ-ერთმა სახელმწიფო ფონდმა რუშდის მკვლელობისთვის დაანესა ჯილდო 2,5 მილიონი დოლარი, რომელიც 2012 წელს 3,3 მილიონამდე გაზარდეს. „ფეტვა“ დღემდე ძალაშია, რადგან მისი გაუქმება მხოლოდ ავტორს შეუძლია.

27 წლის შემდეგ პარიზში, იქ, სადაც შარშან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად მსოფლიო ლიდერებმა ჟურნალ „შარლი ებლოს“ რედაქციაზე თავდასხმა მარშით გააპრო-

ტესტეს, სამხედრო პატივით დახვდნენ ირანის პრეზიდენტს. ჰასან როჰანი ისლამური რესპუბლიკის პირველი ლიდერია, რომელიც ბოლო 16 წლის განმავლობაში სტუმრობდა ევროპის კონტინენტს. თეირანის ბირთვული პროგრამის გამო 12 წლის წინ დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ დასავლეთს ირანთან თანამშრომლობის გადრმაგების სურვილი აქვს. გლობალურ ეკონომიკაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, ირანის თითქმის 80-მილიონიან, აუთვისებელ ბაზარზე შესვლა ევროკავშირის იმ ქვეყნებისთვის, სადაც უკვე რამდენიმე წელია „ქამრების შემოჭრას“ ცდილობენ, საკმაოდ მიმზიდველი პერსპექტივაა. რამდენად სტაბილური პარტნიორი იქნება ევროპისთვის ირანი და მოუტანს თუ არა მისი გაძლიერება რეგიონს მშვიდობას, ჯერ რთული სათქმელია.

„ყუმში მოქსოვილი ხალიჩა“

შეფუთული ანტიკური სკულპტურებისა და ფრანგული ღვინის გამო ჩამოღობილი ვახშმის გარდა, ირანის პრეზიდენტის ევროპული ვოიაჟის დროს მნიშვნელოვანი და სიმბოლური გამოდგა ვატიკანში გამართული შეხვედრაც. პონტიფიკოსთან აუდიენციაზე ჰასან როჰანიმ ფრანცისკეს სპარსული ხალიჩა აჩუქა, რომელიც ქალაქ ყუმში მოქსოვეს. ყუმში მუსლიმ შიიტთა წმინდა ქალაქია, სადაც 1978 წელს სტუდენტების აქციის დარბევით ირანის ისლამური რევოლუცია დაიწყო. საპასუხოდ რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა როჰანის ღარიბთა სიყვარულითა და დახმარებით ცნობილი წმინდა მარტინის მედალი გადასცა.


სიმბოლოების გაშიფვრის გარეშეც ნათელია, რომ ევროპის პოლიტიკურ თუ საქმიან წრეებში ირანის მიმართ ცხოველი ინტერესი არსებობს. ისლამური რესპუბლიკის იზოლაციიდან გამოსვლისა და საერთაშორისო ბაზარზე დაბრუნების მსგავსი ფაქტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ მომხდარა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ, განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპისგან, ირანს უბრუნდება წლების განმავლობაში ნავთობის გაყიდვით შეგროვებული მილიარდობით დოლარი, რომელიც ამ დრომდე უცხოურ ბანკებში გაყინულ ანგარიშებზე ინახებოდა. იტალიასა და საფრანგეთში ირანის პრეზიდენტის ვიზიტისას უკვე გაფორმდა რამდენიმე წინასწარი შეთანხმებაც, მათ შორის საავიაციო სფეროში. თეირანს უახლოეს ხანში სჭირდება სამოქალაქო თვითმფრინავების განახლება. ევროპულმა კონცერნმა „Airbus“-მა უკვე მიიღო პირველი შეკვეთაც. ირანელ კოლეგებთან ერთობლივი სანარმოს გახსნაზე მოლაპარაკებები დაიწყო ევროპაში ერთ-ერთმა უმსხვილესმა ავტომობილების მწარმოებელმა კომპანია „პეუო-სიტროენმაც“. ირანში უკვე პროგნოზირებენ „ტურისტულ ცუნამისაც“.

თუმცა ყველა საქმიანი კონტრაქტის შესრულება კვლავ პოლიტიკურ კლიმატზე იქნება დამოკიდებული. ისიც ცხადია, რომ ირანელი კონსერვატორები არსად გამქრალან და არც ყუმში აპირებენ „გადაბარგებას“, ხალიჩების მოსაქსოვად. განსაკუთრებით საინტერესო და ერთ-ერთი გადამწყვეტი იქნება 26 თებერვალს ირანში დაგეგმილი არჩევნები. ამ დღეს ისლამურ რესპუბლიკაში პარლამენტისა და „ექსპერტთა ასამ-

ბლის“ ახალ შემადგენლობას აირჩევენ. ამ უკანასკნელს კი, საჭიროების შემთხვევაში, ირანის ახალი სულიერი ლიდერის დასახელების უფლებაც აქვს.

წინასაარჩევნო პერიოდს ირანში იოლადა არ ჩაუვლია. კონსტიტუციის დამცველთა საბჭომ, რომელიც ძირითადად კონსერვატორებისგან შედგება, „ექსპერტთა ასამბლეის“ წევრობის 600-ზე მეტ კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრა. მათ შორის აღმოჩნდა აიათოლა ჰომეინის შვილიშვილიც. 43 წლის ჰასან ჰომეინი „რეფორმისტებთან“ არის დაახლოებული და ირანის მოქმედი პრეზიდენტის მოკავშირედ მიიჩნევა. ანალოგიური შეზღუდვები შეეხო დეპუტატობის მსურველ, ირანში შედარებით „ლიბერალური ფრთის“ წევრებად მიჩნეულ პოლიტიკოსებსაც.

ეს გადაწყვეტილება ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა, ჰამემი რაფსანჯანიმაც გააკრიტიკა, რომელმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჰასან როჰანის გამარჯვებაში. თავის მხრივ, ირანელი კონსერვატორები შიშობენ, რომ საერთაშორისო სანქციების მოხსნის შემდეგ როჰანის მოკავშირე კანდიდატები ამომრჩევლის მხარდაჭერას მოიპოვებენ. თუ ირანის მოქმედი პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოსა და „ექსპერტთა ასამბლეაში“ საჭირო რაოდენობით „რეფორმისტების“ შეყვანას ვერ შეძლებს, ეს 2017 წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი გამარჯვების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შეამცირებს და, გარკვეულწილად, საფრთხეს შეუქმნის დასავლეთის ქვეყნებთან გაფორმებულ შეთანხმებასაც.





„შინის ნიშირი – ვის აწყობს დაძაბულობა?“

ირანისთვის ეკონომიკური სანქციების შემსუბუქებას, შიდა პოლიტიკური დაძაბულობის ზრდასთან ერთად, უკვე მოჰყვა პირველი უთანხმოება ტრადიციულ მეტოქესთან. 2 იანვარს საუდის არაბეთში ტერორიზმსა და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში ბრალდებული 47 პატიმარი სიკვდილით დასაჯეს. მათ შორის იყო ცნობილი და გავლენიანი შიიტი მქადაგებელი ნიშირი ალ-ნიშირი. სასულიერო პირი 2012 წელს საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში აგორებული ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების შემდეგ დააკავეს. შეიხ ნიშირს უამრავი მიმდევარი ჰყავდა, როგორც საუდის არაბეთში ასევე ბაჰრეინშიც. შიიტი სასულიერო პირის სიკვდილით დასჯას ირანში საპროტესტო აქციები მოჰყვა. დემონსტრანტებმა თეირანში საუდის არაბეთის საელჩო დაარბიეს და მისი დაწვა სცადეს. საპასუხოდ ერ-რიადში გადანაცვლეს, ირანიდან ელჩი გაეწვიათ. 1988 წლის შემდეგ ორ მეზობელს შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობა არასდროს ყოფილა. მეტიც, შესაძლოა დღევანდელი ვითარება ახლო აღმოსავლეთისთვის უფრო სახიფათოც კი იყოს.

ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. უმთავრესი ის კონფლიქტებია, რომელშიც, ფარულად თუ ღიად, ორივე ქვეყანა მონაწილეობს. სირიაში ირანი ბაშარ ასადს უჭერს მხარს, ხოლო საუდის არაბეთი – ოპოზიციონერ მეამბოხეებს. იემენში თეირანი შიიტი ჰუსიტების, ხოლო ერ-რიადი მთავრობის ინტერესების დამცველია. დაუსრულებელი ომების გამო, შიიტებსა და სუნიტებს შორის უნდობლობის უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდა. ირანის მიერ დასავლეთთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ კი ერ-რიადში მიიჩნიეს, რომ ბალანსი აშკარად დარღვეულია და თან არა მათ სასარგებლოდ.

მეფე აბდულას გარდაცვალებისა და ტახტზე სალმანის ასვლიდან ერთი წლის თავზე საუდის

არაბეთის მმართველებს რთული დრო უდგათ. თუ ამ დრომდე სამეფო ოჯახის ქვეყნის შიგნით პრობლემებს ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებით, ასე თუ ისე, უმკლავდებოდა, დღეს, „შავი ოქროს“ გაუფასურების შემდეგ, ერ-რიადი იძულებულია, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეკვეცოს. მცირდება სახელმწიფოს სუბსიდიებიც. პროვინციებში გახშირდა ტერორისტული თავდასხმები მეჩეთებში, რომელზე პასუხისმგებლობაც ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. ხშირ შემთხვევაში სამიზნე შიიტური სამლოცველოებია, რითაც ექსტრემისტები, ერაციის მსგავსად, რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის პროვოცირებას ცდილობენ. ამას თან ერთვის უკვე ნახსენები დაპირისპირება იემენსა და სირიაში, რაც სამეფო ოჯახის ხაზინას სოლიდური თანხა უჯდება. თუმცა განსხვავებით დასავლეთის ქვეყნებისგან, რომლებსთვისაც უმთავრესს ამოცანას ირანისთვის ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობის მოსპობა წარმოადგენს, საუდის არაბეთში მთავარ საფრთხედ ირანის მიერ დაფინანსებულ გასამხედროებულ მოძრაობა ჰეზბოლას და იემენში მოქმედ ჰუსიტ შიიტებს მიიჩნევენ.

როგორც ჩანს, არც ერ-რიადი და არც თეირანი რეგიონში პოზიციების დათმობას არ აპირებენ. საინტერესოა ისიც, რომ ორ ქვეყანას შორის მუდმივი დაძაბულობა შესაძლოა, აწყობდეთ ირანის მმართველი წრეების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტ ჰასან როჰანის დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიან. სხვათა შორის, სწორედ ამ ძალებს მიიჩნევენ თეირანში მეზობელი ქვეყნის საელჩოს დარბევის ორგანიზატორებადაც. მზარდი პოლარიზაცია, საგარეუდოდ, ხელს აძლევს საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წევრებსაც, რადგან ღია და განვითარებული ირანი, შესაძლოა, რეგიონში მისაბამ მაგალითად იქცეს. ეს კი ერ-რიადში ნამდვილად არ აწყობთ.

„ნავთობის ოში“

საუდის არაბეთსა და ირანს შორის რეგიონში ლიდერობისთვის ბრძოლის კიდევ ერთი მაგალითი ნავთობის გაუფასურებაა. ამის ძირითადი მიზეზი ნიაღისეულის ჭარბი რაოდენობაა. თუ აქამდე მსგავსი კრიზისის გადაჭრა შავი ოქროს მოპოვების შემცირების გზით ხერხდებოდა, ახლა მსოფლიოში ნომერ პირველი მომპოვებელი, საუდის არაბეთი, ასეთი ნაბიჯის გადადგმას არ ჩქარობს და წილის შენარჩუნებაზე ზრუნავს. ასე იქცევიან ნავთობის



ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებიც. მათ უბრალოდ სხვა გზა აღარ აქვთ, რადგან ბიუჯეტს შეესება სჭირდება.

ამ თემაზე ბევრი მოსაზრება არსებობს, ყველაზე გავრცელებული კი აშშ-ისა და საუდის არაბეთის საიდუმლო გარიგებაა, რომელიც რუსეთის დასუსტებას ისახავს მიზნად. ამ თეორიის მხარდამჭერებს ყველაზე ხშირად მაგალითად საბჭოთა კავშირი მოჰყავთ. ეს ისტორია სათავეს 1970-იან წლებში იღებს, როდესაც ირანის ისლამური რევოლუციისა და ირან-ერაყის ომის დროს ნავთობზე ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამან, თავის მხრივ, ბიჭი მისცა, დიდ ბრიტანეთსა და ნორვეგიას ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე, აშშ-ს ალასკაზე, ხოლო საბჭოთა კავშირს ციმბირის საბადოებზე წიაღისეულის მოპოვება დაეწყო. ათ წელიწადში მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გადაჭარბებული რაოდენობა ფასზე აისახა. მაშინ საუდის არაბეთმა წიაღისეულის მოპოვება ხელოვნურად შეამცირა, თუმცა სხვა ქვეყნები ასე არ მოქცეულან, რის გამოც ერაყ-ირაქმა წილი დაკარგა. საპასუხოდ, სამეფო ოჯახმა გადანყვიტა, სწრაფად გაეზარდა წიაღისეულის მოპოვების ტემპი. სწორედ ამან განაპირობა 1986 წელს „შავი ოქროს“ მკვეთრი გაუფასურება. პანიკა წლის ბოლოს დასრულდა, როდესაც ნავთობის მომპოვებელი ქვეყნები ახალ კვოტაზე შეთანხმდნენ და რომელიც 2000-იან წლებამდე მოქმედებდა.

„შავი ოქროს“ ისეთი დაბალი ფასი კი, როგორც დღეს არის ბაზარზე, პირველ რიგში თავად არაბებს აწუხებთ. მათ უწევთ სოციალური ხარჯის შემცირება, რაც მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს, თუმცა, თუ შეთქმულება მართლაც არის, სავარაუდოდ, მისი სულისჩამდგმელი მაინც ტრადიციული ნავთობის მომპოვებლები არიან, რომლებიც ე.წ. ფიქალის ნავთობის საწარმოების წინააღმდეგ იბრძვიან. საუდის არაბეთი, უბრალოდ, ელოდება, როდის დაეცე-

მა ნავთობის ფასი ამერიკულ საბადოებზე მოპოვებული „შავი ოქროს“ თვითღირებულებაზე დაბლა.

მეორე მხრივ კი ერაყი ირანისთვის ბაზარზე ღირსეულად დაბრუნებაში ხელის შეშლასაც ცდილობს. თეირანში უკვე განაცხადეს, რომ „შავი ოქროს“ ექსპორტს, მისი ფასის მიუხედავად, მაინც დაინყებენ. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Mood's-ის ბოლო კვლევის მიხედვით კი, ირკვევა, რომ სანქციების პირობებში ირანმა უფრო სწრაფად შეძლო ეკონომიკის ნავთობზე დამოკიდებულების შემცირება და სტრუქტურული რეფორმების გატარება, ვიდრე ეს ნავთობის სხვა ექსპორტიორებმა გააკეთეს.

„პარტნიორები არ იცვლებიან“

ირანთან ბირთვული პროგრამის შეკვეცის შესახებ გაფორმებულ შეთანხმებას აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევენ. ვაშინგტონში იმასაც ამტკიცებენ, რომ საუდის არაბეთისა და შტატების მეგობრულ ურთიერთობებს არაფერ ემუქრება. ამ წონასწორობის შენარჩუნება იმ დროს, როდესაც ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი გრძელდება, ხოლო ნავთობის გაუფასურების გამო სპარსეთის ყურეში მმართველი მონარქები ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგანან, საკმაოდ რთული იქნება, განსაკუთრებით კი არჩევნების წინ. 2016 წლის ბოლოს აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. კანდიდატობის მსურველთა წინასაარჩევნო რიტორიკისა და იმის გათვალისწინებით, რომ კონგრესში უმრავლესობას ჯერ რესპუბლიკელები ფლობენ, ობამას ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში ირანთან გაფორმებული შეთანხმება კიდევ ბევრჯერ გახდება მსჯელობის საგანი. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ლიდერობისთვის გამძაფრებული ბრძოლის გამო კი, არ არის გამორიცხული, დასავლეთში კიდევ ბევრი ახალი „ფეტვას“ გამოცემა მოუწიოთ. ■



კანონი ურწმუნოთა

გრიგოლ გეგელია

პოლიტიკური იდეების
ისტორიკოსი



გასულ კვირაში პოლიტიკური თავისუფლება ხელახლა გახდა თავდასხმის სამიზნე. არც ახალი და არც უცნობი აქ არაფერია, რადგან საქართველოს მოქალაქეთა სოციალური და პოლიტიკური უფლებები თავდასხმის პერმანენტული სამიზნეა, მაგრამ ამჯერად პოლიტიკურ თავისუფლებას ვითომ „რელიგიური გრძნობების“ დაცვის მიზნით ესხმიან თავს. შემოთავაზებული კანონის მიხედვით, სხვათა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისას, საქართველოს მოქალაქეს დაეკისრება ადმინისტრაციული ჯარიმა.


სინამდვილეში, ეს არის მორიგი მცდელობა, საქართველოში დაკნინდეს თავისუფლება და მასთან ერთად შესაძლებლობა ღირსეული მომავლისა. სხვათა შორის, სწორედ ამ დღეებში, 2016 წლის საპარლამენტო მოხსენებისას, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პოლიტიკური თავისუფლება საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დასახა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა: „ჩვენ უნდა შევექმნათ სახელმწიფო, რომელიც არა მარტო პოლიტიკურად დამოუკიდებელია, არამედ პოლიტიკურად თავისუფალიც“. თუმცა, დამტკიცების შემთხვევაში, კანონპროექტი სწორედ საპირისპირო ვითარებას გვპირდება.

კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოში ეტაპობრივად დასამარდება არა მარტო სიტყვის თავისუფლება, არამედ თავისუფლება აზროვნებისა, შემოქმედებისა და ქმედებისა. ამასთანავე, სერიოზულად დასუსტდება ზოგადად პრინციპი პოლიტიკური თავისუფლებისა, რაც არა მარტო სავალალო იქნება, არამედ ანტიისტორიულიც, რადგან კანონპროექტი

უარყოფს ქართულ აზროვნებაში არსებულ ტრადიციულ სწრაფვას თავისუფალი რესპუბლიკისკენ. უარყოფს პიროვნული პასუხისმგებლობის განცდას, რომელზეც წერდა ჭავჭავაძე და უარყოფს სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლებას, მათ შორის თავისუფლებას რწმენისა და სინდისისა, რომელსაც იდეალად გვისახავს მიხეილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე „შვიდი თავისუფლება“.

შემოთავაზებული კანონი დააკნინებს საქართველოს შესაძლებლობას, იყოს იმგვარი პოლიტიკური სივრცე, რომლისთვისაც იბრძოდნენ თერგდალეულები და პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლები, ილია ჭავჭავაძე და ნოე ჟორდანიანი და რომლისკენაც ჩვენ ბოლო წლებში უკვე გადავდგით ქმედითი ნაბიჯები. თუმცა კანონპროექტი ანტიისტორიულია იმიტომაც, რომ ის ემუქრება ამ ქვეყნის მომავალს. ერთადერთი მომავალი, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის მომავალი დაფუძნებული ცოდნაზე, კრიტიკულ ღიაობასა და მაქსიმალურ სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლებაზე.

დემოკრატია, რომლის შენებაც ერთი შეხედვით საერთო იდეალად დაგვისახავს, აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს მალალი ხარისხის ნდობასა და მრავალმხრივ ცივილურ, სამოქალაქო დიალოგს. რასაკვირველია, ჯანსაღი დემოკრატია ასევე განუყოფლად უნდა იყოს დაფუძნებული მოქალაქეთა შორის არსებულ ურთიერთპატივისცემაზე, უპირველეს ყოვლისა კი, სხვათა ღირსების დაფასებასა და მათი რწმენისა თუ შეხედულების პატივისცემაზე. თუმცა, ეს არსებითად მორალური ამო-



ცანა და არა ლეგალური მისია, რომელიც შესაძლოა ექვემდებარებოდეს კანონის ძალით განხორციელებას.

მორალისა და პოლიტიკის მიმართებაზე სათქმელი იმდენად ბევრი დაგვიგროვდა, რომ ეს ცალკე წერილს იმსახურებს. აქ იმ შენიშვნით დავეკმაყოფილდეთ, რომ არსებული პრობლემა მორალურია და არა ლეგალური საკითხი. მართალია, კანონის ძალით, შესაძლებელია, ადამიანს ღვედის გაკეთება ასწავლო, მაგრამ თანამოქალაქის ფილოსოფიური თუ მორალური სისტემის პატივისცემას ოჯახი, სკოლა და ცხოვრება შეიძლება ასწავლიდეს. ერთმანეთის ცხოვრება კი საბოლოოდ ისევე და ისევე ჩვენ ვართ. შესაბამისად, მხოლოდ თითოეულ ჩვენგანსა და ჩვენს მორალურ არჩევანშია, და არსად სხვაგან, გამოსავალი მოცემული დილემიდან. მხოლოდ ჩვენ, და არა სახელმწიფოს ლიდერებსა თუ კანონმდებლებს,

მორალისა და პოლიტიკის მიმართებაზე სათქმელი იმდენად ბევრი დაგვიგროვდა, რომ ეს ცალკე წერილს იმსახურებს. აქ იმ შენიშვნით დავეკმაყოფილდეთ, რომ არსებული პრობლემა მორალურია და არა ლეგალური საკითხი.

ძალგვის იმგვარი მორალური არჩევანი, კერძოდ, ურთიერთპატივისცემისა. რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ საჭიროებას კანონებისა, რომლებიც პოზიტიურს არას გვპირდება, ნეგატიურს კი – პოტენციურად, საკმაოდ ბევრს.

შემოთავაზებულ კანონპროექტს ნეგატიური მახასიათებლები უხვად აქვს. პირველ რიგში, არ დასტურდება ახალი, დამატებითი კანონპროექტის საჭიროება. საქართველოს მოქალაქეთა ინდივიდუალური, ისე როგორც კოლექტიური უფლებები, ფაქტობრივად, სრულად არის დაცული არა მარტო საქართველოს კონსტიტუციით, არამედ ასევე ანტიდისკრიმინაციული კანონითაც. რაც შეეხება საკულტო ნაგებობათა შეურაცხყოფას, რის დასჯადობას უდავოდ მივსვალმები, ეს უკვე ისედაც ისჯება, როგორც გამოვლინება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა,

ან უფრო კონკრეტულად, როგორც ფორმა ხულიგნობისა.

მაშ, რაზეა საუბარი? რალა თუ ვინდა უნდა დავიცვათ? „მორწმუნეთა უფლებები“, ვისმენტ პასუხად, მაგრამ მორწმუნეთა უფლებები, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს. მორწმუნე ჩვეულებრივი მოქალაქეა, რომელიც სარგებლობს კონსტიტუციითა და სხვა კანონებით მინიჭებული ყველა თავისუფლებითა და უფლებით. მათ შორის, რწმენის, თვითგამოხატვის, თვითგანვითარებისა და სინდისის თავისუფლებით, მსგავსად იმ თანამოქალაქისა, ვინც შესაძლოა, მისი რელიგიური, ესთეტიკური თუ მორალური მგრძობელობა შეურაცხყოს. ამასთანავე, შეუძლებელია, ვისაუბროთ „მორწმუნეებზე“, როგორც კოლექტიურ სიმრავლეზე, რადგან თვითონ ის მახასიათებელი, რაც ამ შემთხვევაში მათ კოლექტიურობას ადგენს, კერძოდ კი „რწმენა“, სინამდვილეში ყოველთვის ინდივიდუალურია, ყოველთვის განსხვავებული და ყოველთვის ცვლადი ერთი ადამიანიდან მეორემდე.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ აქ საუბარია რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მორწმუნეებზე, მაგალითად, საქართველოს მუსლიმებზე, ან საქართველოს მართლმადიდებლებზე, როგორც აღვნიშნეთ, მათი უფლებები ისედაც დაცულია კონსტიტუციით ისე, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით. სხვათა შორის, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ბევრი, ვინც დღეს წარმოდგენილი კანონპროექტის მომხრეა, სულ რალაც გუშინ ანტიდისკრიმინაციული კანონის მონინაალმდეგეც იყო, იმ კანონისა, რომელიც ყველა მოქალაქის მიმართ ყოველგვარი ფორმის დისკრიმინაციას გამორიცხავს. ეს კი ბუნებრივად ბადებს კითხვებს კანონპროექტის რეალური მიზნების შესახებ.

იცით, როგორ მოიგო დამწყებმა იურისტმა, მარკუს ტულიუს ციცერონმა თავისი პირველი საქმე სასამართლოში? მან დასვა მაგიური კითხვა: „Cui bono“?, ანუ „ვინ ნახა სარგებელი?“ დაე, ჩვენც ვიკითხოთ: „ვინ ისარგებლებს, თანამოქალაქენო?“ ვის

იცით, როგორ მოიგო დამწყებმა იურისტმა, მარკუს ტულიუს ციცერონმა თავისი პირველი საქმე სასამართლოში? მან დასვა მაგიური კითხვა: „Cui bono“?, ანუ „ვინ ნახა სარგებელი?“ დაე, ჩვენც ვიკითხოთ: „ვინ ისარგებლებს, თანამოქალაქენო?“

სამსახურში შეიძლება ჩადგეს ყველაზე მეტად მსგავსი ლეგალური მექანიზმი? ერთ-თა აზრით, მსგავსი კანონით ისარგებლებს ყველა მორწმუნე და ყველა განსხვავებული ორგანიზებული რელიგია, რომელიც საქართველოში არსებობს. მეორეთა აზრით კი – საქართველოს საპატრიარქო, როგორც საქართველოს დომინანტური და უდავოდ ყველაზე გავლენიანი რელიგიური ინსტიტუტის ცენტრი. საპატრიარქო გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და ოფიციალურად აცხადებს, რომ ინიციატივა მას არ ეკუთვნის.

თუმცა, საბოლოოდ, საკვანძო კითხვად რჩება მაინც ის, თუ ვინ ისარგებლებს, რეალურად, ამ კანონით, მით უმეტეს თუკი ვთანხმდებით, რომ საქართველოს მოქალაქე, ისე როგორც ცალკეული რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფი, ისედაც უკვე დაცულია კონსტიტუციითა და ანტიდისკრიმინაციული კანონით, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი ინდივიდისა თუ კოლექტივის მიმართ აგრესიას, ზიზლსა და სიძულვილს. უნდა ვიკითხოთ: ვინ შეიძლება, ფიქრობდეს, რომ მას კრიტიკოსთა გაკონტროლების უფრო მეტი და უფრო ქმედითი მექანიზმი სჭირდება? ან იქნებ სხვა ფიქრობს, პოლიტიკური განკითხვის ჟამის მოახლოებისას, რომ მსგავსი კანონით სწორედ ყველაზე ძლიერთა ინტერესებს მიელამუნება?

მეორე მხრივ, შემოთავაზებული კანონპროექტი სრულიად ბუნდოვანია, კარგი კანონი კი აუცილებლად უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი. შემოთავაზებული კანონპროექტი გვემუქრება სრულიად ბუნდოვანი სოციალური და ლეგალური ვითარების შექმნით, სადაც გაუგებარი იქნება, ვინ ვინ შეურაცხყო და მარტივი იქნება, იფიქრო: „ყველამ ყველა“. ასეთ ვითარებაში გაუგებარი იქნება ფაქტობრივად ყველაფერი სხვაც, მათ შორის: ქვეყნის არსი, მის მდგენელთა ვინაობა და ლეგიტიმურობა, ისე, როგორც თვითონ შეურაცხყოფის არსიც.

მართლაც, ვის შეუძლია განმარტოს, თუ რას ნიშნავს „რელიგიური გრძობა“? პირველ რიგში, ვისი რელიგიური გრძობა? და

შემდეგ: როგორი და რომელი რელიგიური გრძნობა? თავისთავად, რელიგიური გრძნობა იმდენაირია, რამდენიც რელიგიური ადამიანი. თანამედროვე მსოფლიოში ათზე მეტი საკმარისად დიდი, ორგანიზებული რელიგიაა, ხოლო ნაკლებორგანიზებული, ან ნაკლებად ცნობილი რელიგიების რაოდენობა ათგზის (თუ არა ასგზის) უფრო დიდია. ბევრი მათგანი საერთოდაც სრულიად უცნობია. მაშ, რა გარანტია გვაქვს იმისა, რომ შემთხვევით ვინმეს რელიგიურ გრძნობას არ შეურაცხვეყოფთ? და რაკი არა გვაქვს, რა უნდა ვქნათ? ხელი ხომ არ ავიღოთ ფიქრზე, წერაზე, საუბარსა და საერთოდ არსებობაზე?

საქმე ისაა, რომ კანონპროექტი, რომელსაც მორალურობის ტრიუმფად წარმოგვიჩენენ, თვითონ სავსებით ანტიმორალურია. ჯერ ერთი, კანონის იდეა ეფუძნება ნეგატიურ ხედვას ჩვენი საჯარო მორალისა. მისი ფუნდამენტური პრეტენზია არა ვილაცის ღირსების დაცვა, ან ვილაცის რწმენის დაცვა, არამედ იმის განცხადებაა, რომ საქართველო მორალურად გაბანკროტებულია, რომ ჩვენში არ დარჩენილა არავითარი სააზროვნო სიცხადე და არავითარი ენერგია სამოქალაქო თანაარსებობისათვის. ან რას ამბობს ის მორწმუნესა და რწმენაზე, რომელიც ასეთ დაცვას საჭიროებს? რაოდენ ინფანტილური და სუსტი ჩანს მორწმუნე იმ ხედვით, რომელსაც კანონი ეფუძნება?

კანონის იდეა სწორედ მორალურობის მძაფრი კრიზისის განცდას ეყრდნობა, რომელსაც თანამედროვე საქართველოში ყველა ნაბიჯზე ნავაწყდებით. მართალია, ჩვენში ხშირია საუბარი საერთოდ მორალზე და გამოყოფით ქრისტიანულ მორალზე, მაგრამ ეს დაუსრულებელი განსჯა მწარე სინამდვილეს ეფარება. საქართველოში, სადაც ერთი შეხედვით რწმენა და მორალი აღზევებულია, სინამდვილეში არც ერთი და არც მეორე არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი ან გავლენიანი. უზადო მორწმუნეობის თეა-

ტრს მიღმა უზადო ურწმუნოება იმალება. ეს ურწმუნოება დროდადრო თავსაც გვახსენებს ხოლმე, როდესაც რწმენის ფასადს ამოფარებული შიშნარევი ხმით გვესაუბრება. „რწმენას მართმევენ“, – იძახის ერთი, „ქართველობასაც“, – ამიტებს მეორე, „ორივეს ერთად“, – ფიქრობს მესამე. შესაძლებელია კი ასეთ ვითარებაში საერთოდ რაიმე რწმენაზე საუბარი? ან კი რალა არის რწმენა, რომელიც თვითონ ასე ურწმუნო და ასე მყიფეა?

სწორედ ურწმუნოთა თეოლოგიის ნაწილია ჩვენთვის ცნობილი დამსჯელი ღმერთიც. ქრისტიანული ღმერთი კეთილი ღმერთია, ის არის ძალა სიკეთისა და ქმნადობისა. ურწმუნოთა ღმერთი კი დამსჯელი ღმერთია, ვისი სახელითაც პერმანენტულად გვემუქრებიან. ის უნდა იყოს დამსჯელი ღმერთი, რადგან ურწმუნოებს ასე სჭირდებათ, საკუთარ სიძლიერეში ჯერ საკუთარი თავის, შემდეგ კი სხვათა დასარწმუნებლად; სიძლიერეში, რომელიც ბუნებრივად მხოლოდ ნამდვილ მორწმუნეს აქვს. მეჩვენება, რომ სწორედ ურწმუნოთა თეოლოგიის მთავარი ხატების, დამსჯელი ღმერთის, გაგრძელებაა დამსჯელი კანონიც, რომელსაც დღეს ჩვენ გვთავაზობენ. რადგან ეს კანონპროექტი, პირველ ყოვლისა, სწორედ უნდობლობას, ურწმუნოებასა და შიშს ეფუძნება. ის იმთავითვე დგას წინასწარ გამოტანილ დასკვნაზე, რომ მორალური ვითარების შესაქმნელად საჭიროა არა რალაცის პოზიტიურად შეცვლა, არამედ რალაცის ნეგატიურად უარყოფა. მაგრამ, არის კი შესაძლებელი მორალის გამყარება კანონით, რომელიც თვითონ ეფუძნება შიშისა და ამორალობის ამგვარ განცდას?

კანონპროექტის ავტორთა და ადვოკატთა მიხედვით, კანონპროექტის მთელი არსი სამოქალაქო მშვიდობის განვრცობასა და გამტკიცებაში დევს. რა თქმა უნდა, ეს უდავოდ მისასაღმებელი იქნებოდა, თუმცა ცხადზე

უცხადესია, რომ კანონპროექტი არათუ არავითარ სამოქალაქო მშვიდობას არ გაამყარებს, არამედ თვითონვე მარტივად შეიძლება იქცეს მიზეზად და მექანიზმად სრული სამოქალაქო დისინტეგრაციისა. მორალურად და პოლიტიკურად ჯანსაღი საზოგადოება უპირველეს ყოვლისა სწორედ თავისუფალ მორალურ არჩევანსა და თავისუფალ ორმხრივ საუბარზე უნდა იდგეს, ამ კანონის პირობებში კი დომინანტური გახდება შიში და უნდობლობა. მის პირობებში, პოპულარული იქნება სიფრთხილით განპირობებული დუმილი, რაც პირდაპირი მტერია დემოკრატიული თავისუფლებისა, რომელიც მხოლოდ ღია სამოქალაქო განსჯას შეიძლება ეფუძნებოდეს.

ამკარაა, რომ არ დასტურდება მსგავსი კანონპროექტის შემოღების არავითარი საჭიროება. პირველ რიგში, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიული გამოცდილება გაჯერებულია რელიგიური შემწყნარებლობის მაგალითებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს არ ახსოვს არც ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური შუღლი თავის ხალხთა შორის, განსხვავებით დასავლეთ ევროპისგან, რომელიც ამ დღეებში არარელევანტურ მაგალითად მოჰყავთ, რომელსაც ახსოვს რელიგიური ომები, ჰიტლერის მიერ გერმანელ კათოლიკეთა ექსპლუატაცია და შემდგომში განადგურება, კონფლიქტი ბრიტანეთსა და ირლანდიას შორის, ან – მუსოლინი იტალიაში. ხშირ შემთხვევაში, დასავლეთში ანალოგიური კანონმდებლობა სწორედ წარსულის ისტორიული ვითარების საპირწონედ არსებობს და არა იმიტომ, რომ ის ვინმეს „ღირსებას“ ან „რწმენას“ იცავს. ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე სრულიად მსოფლიოს მასშტაბით, მსგავსი კანონმდებლობა მიჩნეულია ამკარა ანაქრონიზმად და გაუქმების გზას ადგას. საქართველოს კი, რომელსაც რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი სერიოზული შუღლი ფაქტობრივად არ ახსოვს, ამის საჭიროება სავსებით არ გააჩნია. მეტიც, ახლა როდესაც საქართველო უნდა ფიქრობდეს მეტსა და მეტ დემოკრატიულობასა და თვითმმართველობაზე, საზოგადოებრივი მოწყობის ყველა შრეზე,


კანონის იდეა სწორედ მორალურობის მძაფრი კრიზისის განცდას ეყრდნობა, რომელსაც თანამედროვე საქართველოში ყველა ნაბიჯზე წავეწყდებით. მართალია, ჩვენში ხშირია საუბარი საერთოდ მორალზე და გამოყოფილ ქრისტიანულ მორალზე, მაგრამ ეს დაუსრულებელი განსჯა მწარე სინამდვილეს ეფარება.

მას ყველაზე ნაკლებად სწორედ დემოკრატიული ენერჯის ჩახშობისაკენ მიმართული კანონი სჭირდება.

და მეორე – საქართველოს არსებული კანონმდებლობა სრულებით ადეკვატურად იცავს მოქალაქეთა უფლებებს, ე. წ. „მორწმუნეთა უფლებები“ კი ცალკე საერთოდ არ არსებობს, რადგან ყველა მორწმუნე პირველ რიგში სახელმწიფოს მოქალაქეა და მხოლოდ შემდეგ წევრი ამა თუ იმ სასულიერო თუ საერო ინსტიტუტისა. დაბოლოს შემოთავაზებული კანონპროექტი ანტიმორალურია, რადგან ის მიიჩნევს, რომ საქართველოს ხალხს კანონით დარეგულირებისა და დასჯის შიშის გარეშე, სავსებით არ შეუძლიათ პატივი სცენ ერთმანეთის რწმენასა და ცხოვრებისეულ ფილოსოფიას.

რა შეიძლება მოგვეცეს ამ კანონმა? არაფერი, გარდა მექანიზმისა, რომელიც შესაძლოა ერთმა მოქალაქემ მეორის მიმართ უსამართლოდ გამოიყენოს; არაფერი, გარდა დამატებითი ბიუროკრატიისა და სასამართლოს ისედაც მწირი დროის ფუჭად ხარჯვისა; არაფერი, გარდა საზოგადოებრივი მორალისა და ეროვნული ერთიანობის სპობის საფრთხისა. ეს კი მაშინ, როდესაც დღეს საქართველოს არაფერი სჭირდება ისე, როგორც მეტი მორალური ერთობა და მეტი სამოქალაქო ერთობა. ეს სჭირდება ქვეყნის შინაგან განვითარებას, ისე, როგორც მის საგარეო წარმატებას. ნებისმიერი კანონი, რომელიც არა ერთობასა და დემოკრატიულ თავისუფლებაზე, არამედ მოქალაქეთა დაყოფაზეა ორიენტირებული და მათ შორის შუღლის გაღრმავებას გვიქადის, იქნება არასწორი, ამორალური და ანტიისტორიული კანონი. წარმოდგენილი კანონპროექტი კი არაფერს გვიქადის, გარდა მეტი შუღლისა და დაქსაქსვისა, გახშირებული ცილისწამებისა და გაძლიერებული მონობისა. სწორედ ამიტომ საქართველოს პარლამენტმა, თუკი ის რჩება ერთგული საქართველოს თავისუფალი, დემოკრატიული და თვითმმართველი მომავლისა, შემოთავაზებული კანონპროექტი ერთხმად უნდა უარყოს.

უკუ მოჩილაქა



ასი მილიონი გიჩვანა სახინგით შოხს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი ნივნი



გამომცემლობა „არტანუჯი“



ლიბეჩალი

მდიდარი ღარიბი ქიათურა და მემარცხენე აქტივიზმის ტენდენციები

ალექსანდრა აროშვილი
„თვითორგანიზების ქსელის“
წევრი



მდიდარი ღარიბი ქიათურა – ეს სახელი სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიების სერიებიდან ავიღე, რადგან ჩემი მოსაზრების ცენტრალური ხაზი სწორედ ამ სათაურის შინაგან წინააღმდეგობას ეფუძნება.

სათაური ზუსტად გამოხატავს იმ პარადოქსულ და თავის თავში კრიზისის მომცველ მდგომარეობას, რომელშიც ქალაქი უკვე ათწლეულებია, ცხოვრობს, თუმცა იმ ეკონომიკური სისტემის ბატონობის პირობებში, სადაც ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება კაპიტალისტური ძალაუფლებრივი ურთიერთობების დღეს უკვე ისტერიულად აჩქარებული განვითარების შედეგია, სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა რესურსით მდიდარი ქალაქებისა თუ ქვეყნების დიდი ნაწილი დღეს უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

საკმარისია, უბრალოდ, რამდენიმე მაგნიტი ვიპოვოთ პოლიტიკური ისტორიის რუკის ქვეშ, რომელიც რუკის ხილულ მხარეს გეოპოლიტიკურ საზღვრებს ხაზავს, იწყებს ომებს, აფორმებს შეთანხმებებს და ჩვენს ცოდნაში რჩება, როგორც პოლიტიკური ისტორია. უბრალოდ, უნდა გაჰყვე კაპიტალის მოძრაობის ისტორიულ მარშრუტს და ეს მარშრუტი საეჭვოდ დაემთხვევა რუკაზე მოხაზულ პოლიტიკურ ბილიკებს – გაჩვენებს, რატომ შეიძლება იყოს მდიდარი ქვეყნები ღარიბი – კერძო კომპანიების საჯარო ეკონომიკური კოლონიები.

სწორედაც რომ, ქიათურა არის ქალაქი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე საჭირო და მოთხოვნად წიაღისეულს მოიპოვებს და ამუშავებს, შემდეგ კი გააქვს ექსპორტზე. ამ ქალაქში ერთხელ ჩასვლა და მისი დათვალირებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ამ წიაღისეულის გლობალური მნიშვნელობის მასშტაბები იგრძნო – ქარბნარმოებისაგან, პირდაპირ შუა ქუჩებში დგას მანგანუმის გორები. „ჯორჯიან-

ქიათურა არის ქალაქი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე საჭირო და მოთხოვნად წიაღისეულს მოიპოვებს და ამუშავებს, შემდეგ კი გააქვს ექსპორტზე. ამ ქალაქში ერთხელ ჩასვლა და მისი დათვალირებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ამ წიაღისეულის გლობალური მნიშვნელობის მასშტაბები იგრძნო – ქარბნარმოებისაგან, პირდაპირ შუა ქუჩებში დგას მანგანუმის გორები.

-მანგანუმის“ გარდა, აქ დამატებით მუშაობს 50-მდე პატარა კომპანია და პირდაპირ ქუჩებიდან იღებს მანგანუმს, რომელსაც, საბოლოოდ, ისევე ეს ერთი კომპანია იფადა ყიდულობს.

თუმცა მე არ ვაპირებ ამ წერილით კიდევ ერთხელ მოგიყვეთ, თუ რა მძიმე პირობებია ქიათურაში და ამით მთელი ამ პროცესების პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა კიდევ ერთხელ დაგიყვანო წმინდად მორალურ პასუხისმგებლობაზე, შეგვეცოდოს ღარიბი მშრომელები, რითაც, როგორც წესი, შემოიფარგლება ხოლმე ქართული მემარცხენე აქტივიზმი, სულ რამდენიმე წლის ორგანიზების გამოცდილება რომ აქვს და თითქმის ნულოვანი ტრადიცია, რომელიც ზურგს გაუმაგრებდა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ შემთხვევაში, სწორედ რომ, საპირისპირო აუცილებლობას ვხედავ – აუცილებლობას ამ მორალური და ეთიკური იმპერატივის მიღმა მსჯელობისა, იმისთვის, რომ ქიათურაში მიმდინარე პროცესების არსი და მნიშვნელობა ისე დავინახოთ, როგორც ის სინამდვილეში შეიძლება იყოს – ჩვენი ემოციური თანაგრძნობისა და ეგზოტიკური ეგზალტაციის მიღმა. თანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს რამდენიმეწლიანი გამოცდილება ემპირიულად ადასტურებს, რომ მრავალჯერ მოყოლილი, აღწერილი, გადაღებული და ნანახი მძიმე რეალობა, ადამიანების ყოველდღიური ყოფა, სასაკლავო სამუშაო ადგილები და შიმშილი ჩვენი საზოგადოების უმრავლესობაზე არ მოქმედებს.

მე არ ვაპირებ, ვაკრიტიკო ისინი ამის გამო, მეტიც, ვეცდები, გამოვავლინო ის გარემოებები, რაც მათ ამ გაუცხოებისაკენ უბიძგებს. სა-



ფოტო: სურსათის უვნებების ეროვნული ცენტრი

მწუხაროდ, ჩვენზე არ მოქმედებს ეს ბრუტალურობა, კაპიტალიზმის პერვერსიის უკიდურესი ფორმა, მის გარშემო ნარმოქმნილი აზრობრივი ველი კი ერთგვარ სინდისზე აგდებას ნააგავს, რომ ადამიანი, რომელსაც უჭირს, უნდა გვეცოდებოდეს და მხარი დაუჭიროთ, როცა სინამდვილეში, არ გვეცოდება. ამ მორალურ მოთხოვნას, არათუ რაციონალური, ობიექტური საფუძველიც აღარ აქვს, რადგან გვაგინცდება, რომ ყოველდღე ვუყურებთ და ვკითხულობთ – მსოფლიოს ნახევარს იმდენივე ქონება აქვს, რამდენიც 62 უმდიდრეს ადამიანს, მაგრამ ეს არ გვადარდება; ვხედავთ, როგორ აღმოვჩნდით ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე კერძო კომპანიების თვითნებობის გამო; როგორ იყინებთან დევნილი ბავშვები ევროპული ქვეყნების საზღვრებთან; როგორ აუპატიურებს ხალხის მასა ქალს შუა ქუჩაში; როგორ აჭრიან თავებს უდანაშაულო ადამიანებს, ჟურნალისტებს, თავიანთი ხალხის უსაფრთხოებისთვის მებრძოლ ქურთებს; როგორ მარხავენ მათ ცოლებსა და პატარა შვილებს ჯგუფ-ჯგუფად ცოცხლად, იმიტომ რომ კაპიტალის მფლობელთა ინტერესებში არ შედის, დაცული იყოს ეს ხალხი, მხოლოდ იმიტომ რომ საჭიროა მათი ველურად წარმოჩენა ცივილიზებულ დასავლეთთან მიმართებაში, ვიცით როგორ ყიდიან ქურთ ქალებს მონებად შავ ბაზარზე,

ვუყურებთ როგორ შიმშილობენ ქალაქები სირიაში. ჩვენს ხელთ ყველაფერია – ძალადობის, დომინაციისა და დამორჩილების მთელი ფოტო, ვიდეო, აუდიოარქივი, პირდაპირი ტრანსლაცია. სხვა დროს კი, ქუჩაში სიარულისას, უკვე ათწლეულებია ვუყურებთ, როგორ გვთხოვენ ფულს ყინვაში ასფალტზე მწოლიარე შიშველი ბავშვები, ავადმყოფი მოხუცები, მეძუძური უსახლკარო დედები და ასე შემდეგ, და მაინც, არაფერი ხდება ამის საწინააღმდეგოდ. ეს ნიშნავს, რომ არ ვალიარებთ ამ რეალობას – რადგან მეორე მხარეს, ასევე ჩვენს თვალწინ, არსებობს დიდი კორპორაციები ლამაზი არქიტექტურითა და ინტერიერით, გემრიელი ფასტფუდები, ბანკები სამოთხისმაგვარი მომავლის გარანტიებით, ნეოლიბერალური განათლება, ტანსაცმლის ბრენდები, უახლესი ტექნოლოგიები, წარმატების მითები, კორპორაციული ეთიკა, რომანტიკული დისკურსი, ხელოვნების რეაქციული ინდუსტრია, ჰიპსტერული რეპრეზენტაციის მთელი სპექტრი და იდენტობის პოლიტიკა, რაც საშუალებას გვაძლევს, ის გავხედოთ, ვინც გვინდა.

ამიტომ, მე არ მოგიყვებით იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს იქ ხალხი, რომელიც რეალური მფლობელია ამ სიმდიდრის – ამაზე უკვე ბევრჯერ დაინერა და ითქვა, ეს ყველამ იცის, შედეგი კი, მაქ-

6/308

სიმუმ შეცოდებისა და ლიბერალური თანაგრძნობის არაფრისმოძრავი ელემენტებია, მუშათა კლასის რომანტიზების მავნე პრაქტიკა. კრიტიკულობის უკიდურეს წერტილად, რომელიც შეძლებდა, გამოსავალი ეჩვენებინა ჩვენთვის, სწორედ ამ ხალხისა და ამ ქალაქში არსებული სიმდიდრის დაპირისპირების ანატომიის აღწერა მესახება, რის შემდეგაც ერთი შეხედვით პარადოქსული სათაური „მდიდარი ღარიბი ჭიათურა“ – ლოგიკურად ადეკვატური ხდება. ამ ქალაქის სიმდიდრისა და სიღარიბის პოლუსური თანაარსებობა, სწორედაც რომ კანონზომიერია, რადგან რაც არ უნდა არ აღიარებდეს მსოფლიო, ისტორიული წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის გრძელდება და ჭიათურაშიც, მსხვილი კაპიტალისთვის ხელში არსებული საერთო სიმდიდრე სწორედ მშრომელ ხალხს უპირისპირდება. აქ ყოველდღიურობაში ხდება ცხადი, როგორ მოქმედებს შენს სანაღმდეგოდ შენი შრომა და რა შედეგი აქვს დაქირავებულ შრომას ველურ კაპიტალიზმში, რის ახსნასაც რამდენიმე წელი ვცდილობდით სტატიებით, თარგმანებით, ლექციებით, საჯარო გამოსვლებით, აქციებით, თუმცა უშედეგოდ. საბოლოო ჯამში, ეს უცხო ენა იყო იმ საზოგადოებისათვის, ვინც გვისმენდა. მაგრამ იმ ხალხისთვის, რომელიც ამ პრაქტიკაში ყოველდღიურადაა ჩართული, ამას ახსნა არ სჭირდება. სწორედ ამ წერტილიდან შემოვტრიალებ მსჯელობას და უკვე პრაქტიკაში დანერგილი „შეცოდების“ საპირისპიროდ, იმ ღირსებებზე ვისაუბრებ, რაშიც მათ ჩამოვრჩებით და რაც ამ მოძრაობებს (ადგილობრივ მუშათა კოლექტივებს), დღევანდელი გლობალური ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, საქართველოს ყველაზე პროგრესულ ნაწილად აქცევს.

პროგრესულობა ისტორიული ანმყოს დანახეაა შენიღბული რეალობის მიღმა, მომავლის საფრთხეების პროგნოზირება, რაც ამ ადამიანებს ყოველგვარი სპეციფიკური ცოდნის გარეშე აქვთ, სწორედ მათი უშუალო მატერიალური რეალობიდან გამომდინარე. სიტყვით გამოსვლისას ისინი ხშირად საუბრობენ ტენდენციებზე, რომლებზეც წერენ მსოფლიოს წამყვანი კრიტიკოსი ეკონომისტები – რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კლასობრივი დინამიკის სპე-

აქტივისტების დიდმა ნაწილმა უფრო აკადემიური მუშაობა ამჯობინა და ჭიათურაში აქციაზე წასვლა და მსგავსი სახის აქტივიზმი მხოლოდ მოხალისეობრივ საქმედ ან ჯერ კიდევ მუშათა კლასის რომანტიზების ინფანტილურ აქტებად მიიჩნია. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის წმინდა რეაქციონიზმი, რაც, თავის მხრივ, ურთულეს ამ მოძრაობას გაფართოების გზას.

ციფიკას – თავად მატერიალურმა პროცესებმა გამოავლინოს, თუ ვინ არის სინამდვილეში რევოლუციური სუბიექტი, ავანგარდი – იქ, სადაც ყველა სხვა კლასი „რევოლუციური“ რეპრეზენტაციითაა გაჟღენთილი და „პროგრესულობის“ სიმულაციას თავხედურად გვთავაზობს სწორედ რომ უკვე ჩავლილი, რეგრესული – ლიბერალური სულისკვეთებით. ცხადია, ამ ტენდენციაში მიაბიჭურად არ ვგულისხმობ ჭიათურელი მალაროელების მთელ ერთობას, ან ჭიათურის მთელ მოსახლეობას, არამედ იმ ნაწილს, რომელიც დღეს გაცნობიერებულად იბრძვის თავისი და თანაქალაქელების უფლებებისთვის და ამ ბრძოლით პროგრესულად იბრძვის თანამედროვე ეკონომიკური რეალობის დესტრუქციული პრაქტიკის წინააღმდეგ – ვგულისხმობ „ჭიათურის გაერთიანებული პროფკავშირის“ წევრ მუშებს, რომელთა აქციასაც დავესწარი 21 იანვარს. სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში მათ არ უდგას მხარში ჭიათურის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მაგრამ რაც გაცილებით სასიხარულოა, მათ გვერდით დგანან სხვა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები ზესტაფონის ფეროს ქარხნიდან, ტყიბულის შახტებიდან, ქსნის მინისტარის საწარმოდან, რკინიგზელთა ახალი პროფკავშირიდან და სხვა საწარმოებიდან, ასევე „მემარცხენე ახალგაზრდების“ ძალიან მცირე ნაწილი თბილისიდან. ეს მოძრაობაც, მემარცხენე სტუდენტური მოძრაობების მსგავსად, ახლა იდგამს ფეხს, რამდენიმე წელია – რადგან ჯერ ისევ არსებობს ყვითელი პროფკავშირები, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი არაჯანსაღი რეფლექსიები თანასწორობისა და სოლიდარობის მიმართ, ათასგვარი ძალაუფლებრივი ინტერესები, თუმცა ეს ჯგუფები მაინც დაიბადა, რაშიც ერთმნიშვნელოვნად დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების პრინციპულობას წლების განმავლობაში და მისი დარგობრივი მეტალურგიული პროფკავშირის საქმიანობას ბოლო წლებში. ეს ჯგუფები იბადება საერთო მოძრაობად და მუდმივი წინააღმდეგობის პროცესშია რამდენიმე მიმართულებით – დამსაქმებლებთან, სხვა პროფკავშირებთან, ხშირად მათ თანამშრომლებთან ან მოსახლეობასთან. რაც მთავარია, აქ იბრძვიან აქტივისტი ქალები, რომლებიც კაცებისათვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ და



სწორედ ამ მატერიალური რეალობის გაცნობიერების საფუძველზე ახერხებენ, გვაჯობონ სამოქალაქო ორგანიზების, წინააღმდეგობის, ფემინიზმის პრაქტიკაში დანერგვის პირველი ნაბიჯების სახით, ამიტომ არ მოეგრიდები რადიკალურ განაცხადს იმის შესახებ, რომ დღეს ეს ყველაზე პროგრესული ნაწილია ქართული საზოგადოებისა, ხოლო ჩვენ, შეიძლება ითქვას, ახლა გამოცდას ვაბარებთ, თუ რა ვისწავლეთ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში – ვისწავლეთ თუ არა სოლიდარობა მორალური თანაგრძნობის მიღმა, ანუ სოლიდარობის ნამდვილი მნიშვნელობა, რაც ნიშნავს ბოლომდე დაფუძვლულ მათ გვერდით – სოციალური ინტერესებისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ, ისედაც მცირერიცხოვანი მემარცხენე აქტივისტების დიდ ნაწილს ის დაემართა, რაც კანონზომიერი იყო ასეთ პატარა ქვეყანაში ახლად გაჩენილ ჯგუფებს დამართნოდა. დიდი სისწრაფით დაგროვილმა ცოდნამ გასაქანი ვერ იპოვა, ასახულიყო პრაქტიკაში და ამიტომ ჭიათურის, კაზრეთისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების პრობლემები „ინფანტილურ მემარცხენეობად“ დარჩა, სოლიდარობის უნიჭო პრეცედენტებად, რომელიც ამ აბსტრაქტულ და არარეალურ წინააღმდეგობებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში იმდენად რეალურია, რომ ხშირად კომიკურ სახეს იღებს. ამიტომ, აქტივისტების დიდმა ნაწილმა უფრო აკადემიური მუშაობა ამჯობინა და ჭიათურაში აქციაზე წასვლა და მსგავსი

სახის აქტივიზმი მხოლოდ მოხალისეობრივ საქმედ ან ჯერ კიდევ მუშათა კლასის რომანტიზების ინფანტილურ აქტებად მიიჩნია. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის წმინდა რეაქციონიზმი, რაც, თავის მხრივ, ურთულესს ამ მოძრობას გაფართოების გზას (მუშათა მოძრაობას), ამ ტიპის რეაქციონერულობა, სწორედ რომ, ისტორიული პროგრესულობის შესაძლებლობის გზებს კეტავს, რადგან გვაეინყებს, რომ დღეს ჩვენ ვართ ისტორიული აქტორები, ამ ხალხთან დგომას კი დღეს არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალი ლოკალური და ავთენტური მოძრაობების განვითარებისა და აქტუალური და საჭირო ცოდნის დაგროვებისათვის.

მიუხედავად ამ ტენდენციებისა, არსებობს „სოლიდარობის ქსელი“, რომელმაც გააფართოვა შრომითი ურთიერთობების თემატიკა, სერვისის სფეროში დასაქმებულთა უფლებებზე მუშაობით, არსებობს ძლიერი და მეტროპოლი პროფკავშირები და იმედი მაქვს, რომ ამ ადამიანების ბრძოლისგან მაინც მივიღებთ მაგალითს, როგორ შევქმნათ სოლიდარობის ნამდვილი პრეცედენტები და ეს მოძრაობები გაფართოვდება, რადგან შეუძლებელია, საქართველოში არ გაფართოვდეს მემარცხენე მოძრაობა, სწორედ რომ ჩვენი უშუალო მატერიალური და სოციალური სინამდვილიდან გამომდინარე – ეს ბრძოლა კი სულ მცირე მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ მდიდარი ჭიათურა არ გახდება, მართლაც, მდიდარი. ■

რელიგია, გრძნობები და თავისუფლება

ინტერვიუ ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილთან

რას ნიშნავს თქვენთვის „რელიგიური გრძნობები“, რას გულისხმობს ეს ტერმინი? როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რელიგიური გრძნობების შელახვად ხშირად არა მწამსის, იდეოლოგიის შეურაცხყოფა, არამედ ესა თუ ის სასულიერო იერარქის კრიტიკა აღიქმება, რაზე მიუთითებს ეს?

ეს ორი სხვადასხვა შეკითხვაა და ცალ-ცალკე სჭირდება პასუხი. რელიგიური გრძნობა ძალიან ფართო და მრავალნახნაგოვანი ცნებაა ისევე, როგორც, მაგალითად, „სამშობლოს გრძნობა“ – ვისთვის რაა სამშობლოს გრძნობა, ვისთვის რა. საერთოდ, რაც უფრო აბსტრაქტულია ცნება, მით უფრო ძნელი ხდება მისი განმარტება, თორემ ცნება „სკამის“ განმარტება ადვილია, თუმცა არც ისე ადვილი ესეც კი. ვეცდები მაინც შევცტოპო ამ ცნების სემანტიკურ ველში და კონკრეტული მაგალითებიც მოვიშველიო. რელიგიური გრძნობა შეიძლება იყოს საკრალურის, წმინდის გრძნობა; მაგრამ რა არის წმინდა, საკრალური? რალაც, რასთან შეხებაც ადამიანისთვის არ არის ორ-

დინარული, ყოფითი, რუტინული გამოცდილება, არამედ განსაკუთრებული, მაგრამ განსაკუთრებული არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად, ესთეტიკურად ან თუნდაც ფსიქოსომატურად, როგორც, მაგალითად, სექსი, თრობა ან ნარკოტიკი, არამედ მსოფლმხედველობრივად და ზნეობრივადაც; ანუ შეხვედრა წმინდა და საკრალურთან აღიქმება, როგორც კეთილი, ამაღლებული, პატივისცემისა და კრძალვის თუ კდემის ღირსი; ეს შეხვედრა არ არის ნებისმიერი, არამედ სრულიად განსაკუთრებული და გარკვეული აზრით სახიფათოც ადამიანისთვის, რადგან ის განცდა თუ განდობა, რომელიც ადამიანმა ამ შეხვედრისას მიიღო, გარკვეული აზრით, დამავალდებულებელი და იმპერატიულია. აი, მაგალითად, ელევსინის მისტერიაში მონაწილე მისტის (ანუ ადამიანს, ვინც ამ მისტერიაში ინიციაციას გადიოდა) რალაც განსაკუთრებული სულიერი გამოცდილება ეძლეოდა, რომლის გათქმის უფლებაც მას არ ჰქონდა. ციცერონი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ელევსინურ

მისტერიაში, მხოლოდ ბუნდოვნად ამბობს, „მე იქ მივიღე უკეთესი მომავლის იმედი“ და არ აზუსტებს, ეს მომავალი სიკვდილის შემდეგ მომავალს გულისხმობდა თუ არა. საკრალურთან შეხვედრა უინტიმურეს გამოცდილებად აღიქმებოდა და თან ისეთად, რომელიც ადამიანს ბედნიერებასა და სრულყოფას უქადადა ან მის გემოს აძლევდა. აქედან გამომდინარეობს ის ტაბუები და გაფრთხილებები, რაც ამგვარ გამოცდილებასთან იყო დაკავშირებული. იმდენად უფრთხილდებოდნენ ელევსინის ქურუმები თავიანთი კულტის საიდუმლოს, რომ თავად იმპერატორ ნერონს უთხრეს უარი (მისი უზნეობის გამო) მისტერიაში დასწრებაზე, ცხადია, თავიანთი სიცოცხლის რისკის ფასად. მსგავსი დამოკიდებულება მიიღო ქრისტიანობამაც, რომელიც ადრეულ საუკუნეებში სწორედ ერთ-ერთ მისტერიულ კულტად აღიქმებოდა და მისტერიული კულტების ენა ქრისტიანულ ღვთისმსახურებაშიც შევიდა (მაგალითად, ფრაზა „არ გაცემ საიდუმლოს“ ა.შ.), ანუ საკრალური



და მასთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი და ადამიანის ბედნიერება-სრულყოფასთან დაკავშირებული რეალია. ადამიანს აქვს სურვილი, ეს გამოცდილება, ასე ვთქვათ, ხაზგასმული, გამოკვეთილი ჰქონდეს და ამიტომ აწესებს რიტუალებსაც. ადამიანი რიტუალური არსებაა ცხოველისგან განსხვავებით. ცხოველებს მხოლოდ ინსტინქტები ან ინსტინქტური „რიტუალები“ აქვთ, ადამიანი კი შეგნებული გადანყვეტილებით და თავისუფალი არჩევნით ირჩევს უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, გამოცდილებებს, გამოარჩევს მათ ჩვეულებრივი და პროფანულისგან და ხაზს უსვამს რიტუალით. თან საკრალურთან ადამიანი ტრადიციულად აკავშირებდა ისეთ გაგებას, როგორცაა: სამართლიანობა, გამბედაობა, სიყვარული, სიბრძნე – ანტიკურობაში ყველა ეს კატეგორია პერსონიფიცირებული ღმერთები იყვნენ, მონოთეისტურ რელიგიებში კი – ღვთიური თვისებები, რომლებში მონაწილეობაც ადამიანებსაც „მუხტავს“ მათით და აღვითურებს. გამოდის, საკრალური და ადამიანური, ყველაზე ამაღლებული გაგებით, ძალიან ინტიმურად უკავშირდება ერთმანეთს, იქამდე, რომ ადამიანის საუკეთესო გზად საკრალურთან ზიარება აღიქმებოდა. ამ ზიარებასთან არა მარტო ადამიანის ბედნიერება იყო დამოკიდებული, არამედ ღირსების განცდაც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. როგორც, მგონი, პოლ ვალერი ამბობს, თუ ადამიანი არ ცდილობს, ღმერთი იყოს, ის ცხოველამდე ჩამოქვეითდება. პავლეც ამბობს, „მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე ის ღირსება/მადლი დაგვარგო, რომელიც მიმიღია“, ვაჟა-ფშაველაც გამოხატავს ამას თავის ლექსში „მარტოობა“, სადაც

ამ ღვთიური ღირსების განცდის აღმძვრელ მადლსა თუ ენერჯიას მეტაფორულად „არწივს“ უწოდებს, „ალარ მესტუმრა არწივი“ და „ვიქეც ჩვარადაო“ რომ ამბობს. ქრისტიანი მონაშეები, რომლებსაც ფორმალურად სთხოვდნენ ქრისტეს დაგმობას, უარს ამბობდნენ და სიკვდილზე მიდიოდნენ, რადგან თავიანთ ღირსების განცდას აკავშირებდნენ ქრისტეს პატივისცემასთან. მგონი, პირველ შეკითხვას მეტ-ნაკლებად გავეცი ამ ფორმატის შესაფერისი პასუხი, თუმცა უზარმაზარი და ამოუწურავი თემაა.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, თუ რატომ აღიქვამენ ხშირად სასულიერო პირების კრიტიკას რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფად, ესეც ნიუანსური და მრავალნახნაგოვანი თემაა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, ვფიქრობ, გამკრიტიკებლის დამოკიდებულებასა და მოტივაციას: შეიძლება ეს იყოს ბოროტი, ან კეთილი მოტივი, შეიძლება იყოს ინდიფერენტული მოტივი თუ უმოტივო მოტივი და ამ სამშიშ ნაირსახეობები და შუქ-ჩრდილებია. სამართლიანი კრიტიკა თუნდაც ყველაზე მაღალი იერარქიის პირისა არა მარტო დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა და მოვალეობითიც ადამიანისთვის, როგორც ჰომოსაპიენსისთვის, მაგრამ ამ დროს პიროვნული სიძულვილი ამ გაკრიტიკებული იერარქიის პირის მიმართ – ცუდია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისმიერი ადამიანის სიძულვილია ცუდი, აქ კი საქმე ასეთ ავგუსტურ სტატუსს ეხება, ანუ სასულიერო პირების დარღვევები და ადამიანური სისუსტეები გასაკიცხია, ამ გაკიცხვაში კი გაკიცხულების ადამიანური ღირსებისა და ასევე მათი სტატუსის ღირსების პატი-

ვისცემა შესანარჩუნებელი. ახლა, თუ ვინმე იტყვის, ვინც ჩემი დოცენტის ეპისკოპოსს გააკრიტიკებს, ის ჩემს რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფსო, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეპისკოპოსია, არანაირად არ მიმაჩნია სწორად. ავთანდილის თქმისა არ იყოს: „არ პირუტყვი ვარ, მჩმუნავი!“ – ჰოდა, თუ რამე ბოროტებას ვხედავ ეპისკოპოსისაგან, არა თუ უფლება მაქვს, ამაზე რეაქცია მქონდეს, არამედ ადამიანური მოვალეობაც, აბა, საკუთარ სინდისს ხომ არ გავუკეთებ ამ-პუტაციას?! საბოლოოდ ამ კრიტიკისთვის თავად ის ეპისკოპოსი მეტყვის მადლობას, ჯერ ერთი, თუ ნორმალური და განათლებული ადამიანია, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეპისკოპოსი ამასთან ერთად თავმდაბალი, მომთმენი და მომსმენიც უნდა იყოს. იმავეს ვიტყვი რაბინებსა თუ მოლებზე.

არსებობს მოცემულობები, როდესაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულია. ეს, ძირითადად, ისეთ შემთხვევებს ეხება, როდესაც საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზეა ხოლმე საუბარი. არის „რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფის“ ქართული ინტერპრეტაცია ამგვარი მოცემულობა?

„ქართული ინტერპრეტაცია“ ცოტა ბუნდოვანი ტერმინია ჩემთვის. საქართველოში არის ამ საკითხის ინტერპრეტაციის სპექტრი და მასში კარგად გასარკვევად საჭიროა სოციოლოგიური კვლევა, ინტერვიუები ა.შ. და მე ეს არ შემიძლია. საერთოდაც, გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფით გამოწვეული საფრთხის გამო ამ თავისუფლების შეზღუდვის საზღვრების დადგენა ძალიან რთულია და ლეგალურად ერთიან

თარგზე მოჭრა და განზოგადება სხვადასხვა შემთხვევისა არ შეიძლება. ყველა შემთხვევისთვის კონკრეტული მიდგომაა, ვფიქრობ, საჭირო. ახლა, ადამიანმა დასავლურ-სეკულარულ, ძირითადად პოსტქრისტიანულ საზოგადოებაში წმინდანის კარიკატურა რომ დახატოს, დიდი პრობლემა არ იქნება და ქრისტიანები ამას, დიდი ალბათობით, ყურადღებას არ მიაქცევენ, უბრალოდ, თუ რამე მკრეხელურს და მათი რელიგიური სინდისის აბუჩადამგდებს დაინახვენ, არ იყიდიან ამ უურნალს თუ გაზეთს, ამგვარი უურნალის გამოშვება კი სრულიად დასაშვებია და კანონით დაცულია ასეთ საზოგადოებებსა და ქვეყნებში. თანაც აქაც გარჩევია: ზოგჯერ ანეკდოტი ან კარიკატურა, სადაც ღმერთი ან წმინდანი ნახსენები, უწყინარი და უბოროტოა, ზოგჯერ მკრეხელური და მიზანმიმართულად მორწმუნეების გრძნობების აბუჩადამგდები, მაგრამ ინტენციისა და განზრახვის დადგენა არა მგონია, ადვილად შეეძლოს, ან საერთოდ შეეძლოს, რომელიმე ლეგალურ ავტორიტეტს. მკრეხელობა ან ღმერთის უპატივცემულობა მორწმუნის პერსპექტივიდან ცოდვაა, მაგრამ ეს ცოდვა კანონით მხოლოდ მაშინ უნდა ისჯებოდეს, თუ: ა) ეს ხდება საჯარო სივრცეში, რასაც შეიძლება სამოქალაქო წესრიგის დარღვევა და ადამიანების შორის შეხლა-შემოხლის პროვოცირება, მათი ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვეს ან ბ) მის პირად სივრცეში შეჭრას წარმოადგენს და მის პირად ღირსებას ეხება; ამის დადგენა, ალბათ, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, სასამართლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს. სხვა საკითხია ძალიან ტრადიციული ან თეოკრატიულ

საზოგადოებები და ქვეყნები, სადაც თავად ამგვარი კარიკატურის დახატვა კანონით იქნება აკრძალული. ეს ამ ქვეყნების მოსახლეობისა და ინსტიტუციების გადასაწყვეტია. მე არ ვფიქრობ, რომ საქართველოში უნდა მივიღოთ რამე დამატებითი და უფრო გამამკაცრებელი კანონები ამ სფეროში, თუმცა, გარდა კანონისა, არის ელემენტარული ზნეობის, დელიკატურობისა და ადამიანობის გრძნობები თუ დაუნერვლი კანონები. თუ მე ვხედავ, რომ ადამიანებს ალიზინებთ და შეურაცხყოფთ ჩემი რამე ქმედება, მე ეს ქმედება აღარ უნდა

არსებობს სფეროები, რომლებსაც ეთიკა, კულტურა, და ა.შ არეგულირებს, რელიგიურ გრძნობებს რა გზით სჭირდება დაცვა? ვის მიერ? ან საერთოდ სჭირდება თუ არა?

მეც ვფიქრობ, რომ ბევრი რამ კანონმა კი არა, ზოგადეთიკურმა ნორმებმა და საერთო ტოლერანტულმა კლიმატმა უნდა დაარეგულიროს და ტრადიციულად არეგულირებდა კიდევ. აი, მაგალითად, დავით აღმაშენებლის კანონი, რომელიც მუსლიმთა უბნებში ღორის დაკვლას კრძალავდა, ვფიქრობ, უფრო ცუდის მაჩვენებელია, ვიდრე კარგის, ანუ – მაშინდელ

რელიგიური გრძნობა ძალიან ფართო და მრავალნახნაგოვანი ცნებაა ისევე, როგორც, მაგალითად, „სამშობლოს გრძნობა“ – ვისთვის რაა სამშობლოს გრძნობა, ვისთვის რა. საერთოდ, რაც უფრო აბსტრაქტულია ცნება, მით უფრო ძნელი ხდება მისი განმარტება, თორემ ცნება „სკამის“ განმარტება ადვილია,

ჩავიძინო. თუ, მაგალითად, შოტლანდიელს არ სიამოვნებს, როცა მისი თანდასწრებით ძალიან სასაცილო სტერეოტიპულ ანეკდოტს ვყვები შოტლანდიელების სიძუნუნზე, ერთი ვინმე ხეპრე და უბირი უნდა ვიყო, თუ არ გავჩერდი და, თუ აუცილებელია, ბოდიშიც არ მოვუხადე დაუდევრობისთვის.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ „სახელმწიფომ უნდა დაიცვას მოქალაქეთა რელიგიური გრძნობები“. ცნობილი ამბავია, რომ არსებობს სოციალური ცხოვრების სფეროები, რომელიც აუცილებლად უნდა დაარეგულიროს კანონმა, მაგრამ

თბილისელ ქრისტიანებს იმდენი გულისხმიერება არ ეყოთ, რომ კანონის იძულება არ დასჭირვებოდათ ამისთვის. ბევრ რელიგიურ ადამიანთან დელიკატურობის დაცვაა საჭირო. მე შეიძლება მორწმუნების დამფუძნებელი ჯოზეფ სმიტი შარლატანი მეგონოს, მაგრამ მორმონს ეგრევე პირში მივახალო – „შენც მაგ შარლატანის ხახაში ჩავარდი-თქო“, ძალიან რბილად რომ ვთქვა, კულტურული არ იქნება. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ რელიგიური პოლემიკა ასაკრძალია კანონით, პირიქით, კანონის, ტოლერანტობისა და ზოგადად ადამიანური კეთილგანწყობის ფარგლებში ამგვარი პოლემიკა აუ-

ცილებელია: პოლიტკორექტულობა კარგია, მაგრამ ისიც მოლოქად და კერპად შეიძლება იქცეს, თუ ჭეშმარიტებას ჩაენაცვლა და ადამიანებს სიმართლის (როგორც მათ ეს სწამთ) თქმის სივრცე შეუზუთა. აი, მაგალითად, ვხვდები იეღოველს და რა? არ ვუთხრა, როდესაც ის თავის დოქტრინას მიხსნის, რომ მის მიერ გამოყენებული ზოგი ევანგელური პასაჟი არ არის სწორად თარგმნილი და არ ვანახო როგორ არის ისინი ბერძნულ ორიგინალში? მაშინ ხომ მეც შევცოდავ ობიექტურობისა და მეცნიერების წინაშე და მასაც მოვუსპობ საშუალებას, დაიწყოს საინტერესო ძიება, თუნდაც იმის ხარჯზე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს თავისი რელიგიური ავტორიტეტები? მე თვითონ ხომ სრულიად გახსნილი ვარ კრიტიკისა და კამათისთვის და სხვისგანაც შემიძლია ეს მოვითხოვო. ცხადია, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ძალიან დიდი დელიკატურობით, რადგან ადამიანი ხშირად თავის ღირსების განცდას აიგივებს თავის რწმენასთან და იმ ავტორიტეტებთანაც, ვისგანაც ეს რწმენა თუ დოქტრინა მიიღო. ეს რელიგიას კი არ ეხება მარტო; ერთი ხუთი წლის წინ ტელევიზორში ვნახე, ერთ-ერთი პოლიტიკოსი გაიქაჩა მოქალაქეზე და მერე თავი ასე იმართლა: „პარტია შემეგინა და ამას როგორ შევარჩენდიო“, ანუ პარტია და თავისი ღირსება და იდენტობა ჰქონდა გაიგივებული. მით უმეტეს, ასე შეიძლება მოხდეს და ხდება პარტიულზე უფრო ღრმა, რელიგიური რწმენისა და იდენტობის შემთხვევაში.

როდესაც რელიგიური გრძნობების დაცვაზე საუბრობენ, ძირითადად გულისხმობენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის

ინტერესებს. სჭირდება ეს დღევანდელ ეკლესიას? საერთოდ, სად არის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია განვითარების ამ ეტაპზე?

ვფიქრობ, მართლმადიდებელი ეკლესიის, და ასევე სხვა ეკლესიების, წევრებისთვის უკეთესია, თუ იქნება როგორც კონსტრუქციული და კეთილგანწყობილი, ისე დესტრუქციული და არაკეთილგანწყობილი კრიტიკის სრული თავისუფლება საზოგადოებაში. ამით ხომ გეძლევა მეტი საშუალება, გარედან დაინახო საკუთარი თავი და საკუთარი ნაკლი ა.შ. ავგუსტინე წერს, გინება არასდროს არ უნდა გენყინოს: თუ სამართლიანად გაგინებენ, მაღლობელიც კი უნდა იყო, რომ ნაკლებ მიგიტოთეს, რომ გამოასწორო, თუ უსამართლოდ – რატომ უნდა გენყინოს ის, რაც რეალურად არ გეხებაო. ცხადია, ეს მაქსიმალისტური გამოთქმაა და ცილისწამება არავის სიამოვნებს, მაგრამ პირადი ცილისწამების წინააღმდეგ ისედაც არსებობს კანონი და თუ ზოგადად ეკლესიის წინააღმდეგ არის არაკეთილგანწყობა და ცილისწამება, ამის პასუხი მხოლოდ კარგი ქრისტიანული ცხოვრება და ქრისტეს მცნებების შესრულებაა და არა სახელმწიფო სანქციები. ჰეგელი საუბრობს აბსოლუტური სულის, ანუ ღმერთის „ფანდზე“: აბსოლუტური სული „მზაკვრულად“ იყენებს ადამიანის მდაბალ და ბოროტ ვნებებსაც იმისათვის, რომ თავისი კეთილი ცვლილების შუქი შეიტანოს ისტორიაში. დაახლოებით ისე, სემისა და ქამის მაგალითში რომ არის: ქამმა მთვრალ და შიშველ მამას დაცინა, სემმა კი პატივი სცა და სიშიშველე დაუფარა. მერე ნოემ პირველი დასწყევლა, მეორე დალოცა. მაგრამ შესაძლოა, უნებლიედ და

არაინტენციურად, განუზრახველად ქამმა უფრო კარგი საქმე გაუკეთა ნოეს, რადგან მეორედ მსგავსი დათრობისგან თავს შეიკავებდა, მაშინ, როცა ქამიც სემივით წესიერი რომ ყოფილიყო, საერთოდ ვერ გაეგო თავისი დათრობის შესახებ და კვლავ გაემეორებინა იგივე. რეალურად, ქამის მსგავსი, უტიფარი და ბოროტისმსურველი ადამიანები თუნდაც მკრეხელური კრიტიკით შესაძლოა, თავისდაუნებურად და თავისი ნების საპირისპიროდაც კეთილ საქმეს აკეთებდნენ და მათი ამ უფლების კანონის ძალით ალაგმვა თავად ეკლესიისთვის იყოს ცუდი, მის წევრებში სახიფათო სიზარმაცისა თუ გაზულუქების წამქეზებელი.

სად არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განვითარების ამ ეტაპზე? ეს ძალიან ზოგადი შეკითხვაა და ცალკე საუბარს საჭიროებს თან საკითხების დაზუსტებით (თეოლოგია, ეთიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკა). ერთია, აუცილებელია მეტი გახსნილობა და კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნება. დაეუშვათ, შესაძლოა, საკითხი, ეკლესია ახალ კალენდარზე გადავა თუ ძველზე დარჩება, არ არის დოგმატურ-სარწმუნოებრივი, მაგრამ მიუშვებთ აუცილებელია, მორწმუნეებს აუხსნა და განუმარტო არგუმენტირებულად, თუ რატომ ირჩევ ან ერთს ან მეორეს, თორემ ისევ რჩება რალაც ფსევდომისტიკური შიში, როცა გეუბნებიან: „ძველ კალენდარზე ვრჩებით, მაგრამ არ მივიჩნევთ საჭიროდ, აგიხსნათ, თუ რატომ. ის იკმარეთ, რომ გეუბნებით, ეს დოგმატურ-სარწმუნოებრივი საკითხი არ არის და ბასტა“. მაგრამ ადამიანის, მორწმუნის ღირსების საკითხია

– და განა პიროვნული ღირსების საკითხი ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი დოგმატური?! – რომ ინტელექტუალურად, და არა ბრმა მორჩილებითა თუ ფსევდომისტიკური დაფრთხობით, იცოდეს, რატომ, რა მოსაზრებებსა და პრინციპებზე დაყრდნობით აირჩია მისმა ეკლესიამ ესა თუ ის გზი. მაგალითად, შეიძლება იმიტომ, რომ ეს საკითხი დღევანდელ კონკრეტულ მოცემულობასა და ვითარებაში დიდ დავიდარაბას და განხეთქილებას გამოიწვევს

ბალანსი – ეს სიტყვა ბევრჯერ გაისმა ამ კონტექსტში. როგორ უნდა მოინახოს ეს ბალანსი, ან საერთოდ შეიძლება თუ არა ბალანსის მონახვა ამ ღირებულებების გადაკვეთაზე?

ეს ბალანსი რთულია და ყველა ინდივიდუალურ შემთხვევას სხვადასხვანაირი აქვს. მუსლიმმა არ უნდა დაინცოს ქრისტიანთან ეგრევე ლაპარაკი იმაზე, რომ ის კერპთაყვანისმცემელია, რადგან სამების სწამს და არც ქრისტიანმა მუსლიმთან იმაზე, რომ ყურანი ცდება, როცა უარყოფს იესოს

ხშირად მიმართავენ გამოხატვის მძაფრ ფორმებს და ამას აქვს მიზანი – საზოგადოების ინსპირირება – რა ემართება შემოქმედებას იქ და იმ დროს, როდესაც ეს ფორმები ამა თუ იმ გზით იზღუდება?

ლიტერატურა, ხელოვნება (და მეცნიერებაც) სრულიად თავისუფალი უნდა იყოს იდეოლოგიისა და ცენზურისაგან. ეს ცხადია. ისიც ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ მოწყობილ გამოფენაზე ან წიგნის პრეზენტაციაზე სახელმწიფომ შეიძლება (და უნდაც), იზრუნოს ქვეყნის მოქალაქეების სრულ სპექტრზე, რომ, მაგალითად, ასეთ გამოფენაზე მუსლიმი თუ მივიდა, არ უნდა ნახოს თავისი რელიგიის მიმართ უხამსობა, ასევე – ქრისტიანმა, თუმცა აქაც რთულია ზღვრის დადგენა, თუ რა არის უხამსობა და რა არა. რაც შეეხება კერძო პირის ან დაწესებულების მიერ მოწყობილ გამოფენას თუ წიგნის პრეზენტაციას, ვფიქრობ, სრული თავისუფლება უნდა იყოს და გამოფენის მომწყობისა და დამფინანსებლის სინდისსა და შეხედულებაზე ყველაფერი, სახელმწიფომ კი ეს გამოფენა თუ პრეზენტაცია გულანთებული ვიჯილანტების ყოველგვარი შეტევისაგან და თუნდაც გულწრფელად რელიგიური განცდებით აღძრული ხულიგნობისაგან უნდა დაიცვას. ისე, ქრისტიან ვიჯილანტებს მაინც უფრო აკრიტიკებენ ხოლმე, ვიდრე მუსლიმ ან იუდეველ ვიჯილანტებს, მე მგონი, ქრისტიანებისგან მაინც მეტ ტოლერანტობას ელიან, რაღაც ბუნებრივად და თუ ამ შემჩნევაში არ ვცდები, ეს ძალიან საინტერესო ფენომენი უნდა იყოს. ■

■ დაუშვათ, შესაძლოა, საკითხი, ეკლესია ახალ კალენდარზე გადავა თუ ძველზე დარჩება, არ არის დოგმატურ-სარწმუნოებრივი, მაგრამ მით უმეტეს აუცილებელია, მორწმუნეებს აუხსნა და განუმარტო არგუმენტირებულად, თუ რატომ ირჩევ ან ერთს ან მეორეს, თორემ ისევ რჩება რაღაც ფსევდომისტიკური შიში.

და უფრო ავენებს სარწმუნოებრივ ცხოვრებას, ვიდრე არგებს; დაეუშვათ, და მზად ვარ გავიგო და დავეთანხმო! მაგრამ ეს უნდა ითქვას ღიად, როგორც არგუმენტი და ეს არგუმენტი ღია უნდა იყოს კონტრარგუმენტებისთვისაც, გააზრებული მსჯელობისთვის. მაგრამ, როცა ყველაფერი კულისებს მიღმა რჩება, ეს ბადებს, ისევე ვამბობ, ფსევდომისტიკურ ბუქს და უსაფუძვლო შიშს, რაც ქრისტიანისთვის, და ზოგადად ადამიანისთვის, ძალიან მავნებელია.

ჯვარცმას. უამრავი სხვა რამ აქვთ მათ საერთო – ადამიანობა, სინდისი, სიკეთე-ბოროტების, სამართლიანობა-უსამართლობის, სილამაზე-სიმახინჯის აღქმა, უამრავი რელიგიურ-ეთიკური შეხედულება, რაც საერთოა მათ ნმინდა წიგნებში. როცა კეთილგანწყობის ატმოსფეროა პიროვნებებს შორის, მათ შეუძლიათ, უფრო რთულ და თუნდაც შეუთანხმებელ საკითხებზე მსჯელობა და პოლემიკაც, იმის სრული განცდით, რომ ერთმანეთის პიროვნული ღირსების დამცირება არანაირ კავშირში არ არის ამ პოლემიკასთან, არამედ ქვეშარტების ძიება.

გამოხატვის თავისუფლება რომ უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, ეს გასაგებია, თუმცა ადამიანთა გარკვეული რაოდენობისთვის რელიგიური გრძნობები ასოცირდება მის ღირსებასთან, ბედნიერებასთან.

ადამიანის უმნიშვნელოვანესი დანიშნულება – შემოქმედება. მწერლები, პოეტები, მხატვრები

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი

გაზის საფასური

„გაზპრომთან“ მოლაპარაკების დაწყებიდან ოთხი თვე გავიდა და ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა შედეგით დასრულდება ის. ენერგეტიკის მინისტრის მიერ სხვადასხვა დროს ნათქვამმა რამდენიმე ვერსიამ, ფარულად დაწყებულმა მოლაპარაკებამ და „გაზპრომთან“ დაკავშირებით არასასიამოვნო გამოცდილებამ პოლიტიკოსებსა და საზოგადოების ნაწილს კვლავ რუსეთის მარნუხებქვემ მოხვედრის შიში გაუჩინა. ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ „გაზპრომთან“ 2003 წლიდან ვთანამშრომლობთ და ამაში სახიფათო არაფერია. სატრანზიტო საფასურის შესახებ რუსული კომპანიის „ულტიმატუმისა“ და საქართველოს ბუნებრივი აირით მომარაგებაში მისი წილის 20%-მდე გაზრდის მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების საფრთხეს ვერ ხედავს.

ქეთევან ლვედაშვილი

ენერგეტიკის მინისტრისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ბევრი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება რომ არა, შესაძლოა, საზოგადოებას ასეთი რეაქცია არ ჰქონოდა და თანამშრომლობის მეცამეტე წელსაც უზმაუროდ ჩაეელო.

პირველი ეჭვი 2015 წლის 25 სექტემბერს ბრიუსელში „გაზპრომის“ პრეზიდენტის, ალექსეი მილერისა და კახი კალაძის შეხვედრას მოჰყვა. ქართულმა საზოგადოებამ ამ შეხვედრის შესახებ რუსული მედიისგან შეიტყო. მას შემდეგ უწყების ხელმძღვანელთა მხრიდან არაერთი ვერსია მოვისმინეთ. კახი კალაძემ „გაზპრომთან“ მოლაპარაკების საგნად ენერგობაზრის დივერსიფიკაცია, კომერციულ გაზზე მოთხოვნის გაზრდა, ბუნებრივი აირის დეფი-

ციტი და სომხეთში გაზის ტრანზაქციის საფასურის საკითხი დასახელა. თუმცა კითხვები ყველა ამ ვერსიასთან დაკავშირებით არსებობს.

მთავრობის წევრთა პოზიციების პირველი აცდენა ენერგობაზრის დივერსიფიკირებას უკავშირდება, როცა კახი კალაძის განცხადებას მაშინდელმა პრემიერმა, ირაკლი ლარიბაშვილმა, უპასუხისმგებლო უწოდა და ყოველგვარი დივერსიფიკაცია გამორიცხა. როგორც ლარიბაშვილმა აზერბაიჯანში ვიზიტისას განაცხადა, არავითარ დივერსიფიკაციასა და აზერბაიჯანული გაზის ჩანაცვლებაზე საუბარი არ ყოფილა.

„ეს არის სრული აბსურდი და მოსახლეობა ნუ შეჰყავთ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებს შეცდომაში“, – განაცხადა მან.

თუმცა ენერგეტიკის სამინისტროსა და „გაზპრომის“ მოლაპარაკების საგანი მართლაც ენერგობაზრის დივერსიფიკირება რომ იყოს, საინტერესოა, ამას ქართული მხარე რუსეთის ხარჯზე რატომ ცდილობს?! მიუხედავად კალაძის განცხადებისა, რომ ამ მიზნით მოლაპარაკებები ირანთანაც აქტიურად მიმდინარეობს, ჯერჯერობით, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, რასაც ვერ ვიტყვით „გაზპრომის“ შემთხვევაში – ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციით, მოხმარებული გაზის საერთო რაოდენობის 12%-ის ნაცვლად რუსული გაზის წილი 20%-მდე გაიზარდა. საინტერესოა, სადამდე გაგრძელდება ზრდის ტენდენცია.

2015 წელს სოციალურმა სექტორმა (მოსახლეობა და თბო-



სადგურები) ბუნებრივი აირის 55% გამოიყენა, ხოლო კომერციულმა სექტორმა – 43%. გაზის მომწოდებელთა შორის აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“ პირველ ადგილზეა. მასთან გრძელვადიანი ხელშეკრულება 2009 წელს გაფორმდა და სოციალური სექტორის გაზომომარაგებას სწორედ ის უზრუნველყოფს. 2015 წელს მოხმარებული 2,403 მლნ მ3 გაზიდან აზერბაიჯანული გაზის წილი 88%-ია. რაც შეეხება რუსულ გაზს, სომხეთში გაზის ტრანზაქციის სანაცვლოდ საქართველომ წლიური 10%-ის სახით 2014 წელს 267.77 მლნ კუბური მეტრის მოცულობის ბუნებრივი აირი მიიღო.

რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომი“ მსოფლიოში ბუნებრი-

ვი აირის უმსხვილესი მწარმოებელია. წარსულში რუსეთის მხრიდან გაზის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების არაერთი მაგალითი არსებობს. საქართველომ მისგან მომდინარე რისკი თავის თავზე 2006 წელს გამოსცადა, როდესაც რუსეთმა ელექტროენერჯისა და გაზის მოწოდება შეუწყვიტა. მაშინ საქართველო რუსულ გაზზე 99%-ით იყო დამოკიდებული.

მოგვიანებით იგივე ბერკეტი რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგაც გამოიყენა. „გაზპრომმა“ უკრაინის პრეზიდენტის შეცვლის შემდეგ ქვეყანას ჯერ გაზის საფასური 268 დოლარიდან 485-მდე გაუზარდა, შემდეგ კი საერთოდ შეუწყვიტა.

პუტინი ევროპასაც დაემუქრა და გააფრთხილა, რომ რუსეთ-

თან დადებული ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, გაზომომარაგებას შეუზღუდავს. საუბარია ბუნებრივი აირის იმ მოცულობაზე, რომელსაც ევროპა უკრაინის გავლით იღებს. თუკი ის ამ გაზს უკრაინას მისცემდა, მაშინ რუსეთი გაზომომარაგებას შესაბამისი რაოდენობით შეუმცირებდა.

ჯერჯერობით, რუსეთი ევროპაში გაზის ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად რჩება. თუმცა, „როიტერის“ ინფორმაციით, 2015 წელს ევროკავშირის ბაზარზე მისი მოცულობა 10%-12%-ით შემცირდა, ხოლო „გაზპრომის“ მთლიანმა შემოსავალმა მესამედით დაიკლო. საკითხავია, როცა ევროპა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად ემზადება, სა-

ქართველო რუსული გაზის წილის გაზრდას ან მის ხარჯზე ბაზრის დივერსიფიცირებას რატომ ცდილობს.

იმის გათვალისწინებით, რომ დივერსიფიცირების მიზანი ფასის დარეგულირება და უსაფრთხო ენერგოგარემოს შექმნაა, გაუგებარია, როგორ მოახერხებს ამას საქართველოს ხელისუფლება „გაზპრომის“ მეშვეობით. მოსახლეობისთვის განკუთვნილი აზერბაიჯანული გაზის 1000 მ³-ში საქართველო 120 დოლარს იხდის, თბოსადგურებისთვის კი ფასი 143 დოლარია. მაშინ, როცა ევრაზიული კავშირის წევრი სომხეთი რუსული გაზის 1000 მ³-ში დაახლოებით 160 დოლარს იხდის.

ეკონომისტ რომან გოცირიძის შეფასებით, „გაზპრომი“ რუსეთის ხელში პოლიტიკური იარაღია და ევროპა მისი წილის შემცირებით რუსეთის პოლიტიკური ზეგავლენის შეზღუდვასაც ცდილობს.

„ბოლო პერიოდში „გაზპრომი“, როგორც კრემლის პოლიტიკური იარაღი, საკმაოდ დაჩლუნგდა. ამ ფონზე საქართველოს მცირე ბაზარი „გაზპრომისთვის“ ეკონომიკურად უმნიშვნელო, პოლიტიკური თვალსაზრისით კი რეგიონული გავლენის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ბერკეტი“, – აცხადებს რომან გოცირიძე „ლიბერალთან“ საუბრისას.

ბუნდოვანია კომერციულ გაზზე მოთხოვნის ზრდასთან დაკავშირებით კალაძის კიდევ ერთი ვერსია. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, კომერციული სექტორი აბსოლუტურად დერეგულირებულია, ის გაზის მომწოდებელს თვითონ ირჩევს და ფასსა და სხვა ტექნიკურ დეტალებთან დაკავშირებით ხელშეკრულებასაც თავად აფორმებს.

უწყების მიერ დეპუტატ თამარ კორძაიასთვის გაგზავნილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ 2012 წლიდან 2015 წლამდე კომერციული სექტორის მიერ მოხმარებული გაზი 374 მლნ მ³-ით გაიზარდა. თუმცა ამავე განცხადებაში მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ამ ეტაპზე „გაზპრომიდან“ კომერციული სექტორისთვის ბუნებრივი აირის შესყიდვას არ გეგმავს. ამის მიზეზად მან კომერციული სექტორის დერეგულირება დაასახელა. თუმცა მოგვიანებით კახი კალაძემ აღნიშნა, რომ რუსულ კომპანიასთან მოლაპარაკებების მიზეზი სწორედ კომერციულ სექტორში არსებული დეფიციტი იყო.

სწორედ ეს ბადებს ეჭვს. თუკი კომერციული მომხმარებელი გაზის მომწოდებელს თავად უკავშირდება, მაშინ რა საჭირო იყო ამ პროცესში ენერგეტიკის მინისტრის ჩართვა.

მოგვიანებით კახი კალაძემ საერთო დეფიციტზეც დაიწყო საუბარი, მიზეზად კი მთელი ქვეყნის მასშტაბით 120 000 ოჯახის გაზიფიცირება და ახალი საწარმოების მშენებლობა დაასახელა. ენერგეტიკის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სოციალური სექტორის მიერ მოხმარებული გაზი 2014 წელთან შედარებით 98 მლნ მ³-ით გაიზარდა. მაგრამ თამარ კორძაიასთვის ოქტომბერში გაგზავნილ წერილში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე აღნიშნავდა, რომ „გაზპრომიდან“ არც სოციალური და არც კომერციული სექტორისთვის გაზის მიღება არ იგეგმებოდა.

„გუშინ გახმაურებული ინფორმაცია არ შეესაბამება ჩვენთვის 30 ოქტომბერს მონოდებულ პა-

სუხებს. ამ პასუხებში მითითებულია, რომ სოციალური სექტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით „სოკართან“ გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულება, 2009 წლიდან“, – ასე გამოეხმაურა თამარ კორძაია კალაძის განცხადებას.

ურთიერთწინააღმდეგობრივი ენერგეტიკის მინისტრის, „სოკარის“ ხელმძღვანელისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებებიც. კალაძე ამ საკითხზე კომენტარისას ყოველთვის აღნიშნავს, რომ „სოკარს“ ჩვენი დეფიციტის შევსება არ შეუძლია, მაშინ, როცა აზერბაიჯანული მხარე უკვე თვეებია, საპირისპიროს ამტკიცებს. 5-6 ნოემბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტისას ილჰამ ალიევიმ განაცხადა, რომ აზერბაიჯანს საქართველოს და მთელი ევროპის სამყოფი გაზი აქვს და კიდევ 100 წელი შეძლებს მათ მომარაგებას.

იმავს იმეორებს მამედოვიც, რომელიც განმარტავს, რომ წელიწადში 8-9%-იან ზრდას გეგმაში წინასწარ ყოველთვის ითვალისწინებენ და ჯერ არ ყოფილა მიზეზი ისეთი პროგნოზისთვის, რომ საქართველოსთვის საჭირო ოდენობის გაზის მიწოდებას ვერ შეძლებენ. მამედოვის ინფორმაციით, ზამთარში ბუნებრივ აირზე მოთხოვნა გაცილებით მეტია, თუმცა მათ საკმარისი რესურსი აქვთ და ამ პერიოდში მიწოდებასაც ზრდიან. ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია არც მას შემდეგ შეუცვლია, რაც „სოკარმა“ ზამთრის პერიოდში გაზის მიწოდების 50 მლნ მ³-ით ზრდის შესახებ განაცხადა.

პოლიტიკოსთა და ექსპერტთა შეშფოთებას ინვევს კალაძის კიდევ ერთი ვერსია, რომელიც

ტრანზიტის საფასურს ეხება. თამარ კორძაიასა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსადმი“ მიწერილ წერილებში აღნიშნული იყო, რომ კალაძე-მილერის შეხვედრის მიზეზად გაზის ტრანზაქციის საფასური სახელდება. რუსეთიდან სომხეთისთვის მიწოდებული გაზის სანაცვლოდ საქართველო, უკვე წლებია, გატარებული გაზის 10%-ს იღებს. კალაძე აღნიშნა, რომ რუსული მხარე ყოველ წელს ამ მაჩვენებლის 7-8%-მდე ან უფრო ქვევით დაწევას მოითხოვს. წელს კი მათ „ულტიმატუმი“ წამოაყენეს და ნატურის ნაცვლად ფინანსურ ანაზღაურებაზე გადასვლა მოითხოვეს.

ეკონომისტი რომან გოცირიძე ფიქრობს, რომ სატრანზიტო საფასურის ფულადი ანაზღაურებით შეცვლა საქართველოსთვის ყოველწლიურად რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ზარალს ნიშნავს. ის არ ეთანხმება რუსეთის არგუმენტს, რომ მონეტარულ ანაზღაურებას საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს.

„აზერბაიჯანი ნახიჭევანისათვის გაზის მიწოდების სანაცვლოდ ირანს უტოვებს უპრეცედენტოდ დიდ მოცულობას – გატარებული გაზის 15%-ს. ორ მხარე შორის შეთანხმება ყოველთვის სპეციფიკურია და არანაირ საერთაშორისო სავალდებულო სტანდარტებს არ ექვემდებარება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, არც ახლა დათმოს პოზიციები „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გრძელვადიანი და გამოუსწორებელი ზიანი მიადგება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს“, – ამბობს გოცირიძე.

გაურკვეველი მიზეზების გამო,

„გაზპრომსა“ და საქართველოს შორის მოლაპარაკება ამ დრომდე ვერ დასრულდა. ბოლო შეხვედრის შემდეგ ავსტრიიდან დაბრუნებული კახი კალაძის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, „გაზპრომის“ ულტიმატუმს საქართველო თავისას უპირისპირებს. ენერგეტიკის მინისტრის განმარტებით, მას სურს, თანხობრივი ანაზღაურების შემთხვევაში, საქართველომ ისეთივე მოგება მიიღოს, როგორსაც ნატურით ანაზღაურებისას იღებდა.

„თავისუფალი დემოკრატების“

■ ეკონომისტ რომან გოცირიძის შეფასებით, „გაზპრომი“ რუსეთის ხელში პოლიტიკური იარაღია და ევროპა მისი წილის შემცირებით რუსეთის პოლიტიკური ზეგავლენის შეზღუდვასაც ცდილობს.

ლიდერი ირაკლი ალასანია „გაზპრომთან“ მოლაპარაკებაში ეროვნულ ინტერესებს ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ აქ ბიძინა ივანიშვილის პირადი ინტერესებია გათვალისწინებული. ალასანია იმასაც აღნიშნავს, რომ ყოფილი პრემიერის გარეშე ქვეყანაში არაფერი წყდება და კალაძე დამოუკიდებელ გადანყვევტილებას არც ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მიიღებდა.

„გაზპრომთან“ მოლაპარაკება არანაირად არ იყო არგუმენტირებული ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებით. ამასთან, ფარულად და ჩვენს ზურგს უკან მიმდინარეობდა. ენერგეტიკის სამინისტროსგან სამი სხვადასხვა ვერსია მოვისმი-

ნეთ, რაც აშკარად ბადებს ეჭვს, რომ აქ არა ეროვნული, არამედ ვილაცის პირადი ან პოლიტიკური ინტერესია გათვალისწინებული“ – აღნიშნავს ალასანია „ლიბერალთან“ საუბრისას.

„გაზპრომთან“ დაკავშირებით, პოლიტიკურის გარდა, ივანიშვილის ბიზნესინტერესებსა და რუსულ კომპანიაში მის წილზეც საუბრობენ. თუმცა ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ თავისი წილი დიდი ხნის წინ გაყიდა.


„მე „გაზპრომში“ აღარ ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ. ამ კომპანიის აქციები ყველა ბირჟაზე იყიდება – დილით შეგიძლიათ იყიდოთ და იმავე საღამოს რეალიზაცია გაუკეთოთ. ოდესღაც, 7 წლის წინ ვთქვი, რომ მქონდა 1%. დიდი ხანია, მისი რეალიზაცია მოვახდინე და საკმაოდ სარფიანად გავყიდე“ – განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენერგეტიკის სამინისტროს ვერსიები ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. კალაძის განცხადება, რომ საქართველო „გაზპრომთან“ 2003 წლიდან თანამშრომლობს, არც ისე კარგი არგუმენტია. რუსულ კომპანიასთან ხელშეკრულების დადება 2003 წელს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმაც გააპროტესტეს. ზურაბ ჟვანია მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრის იმპიჩმენტზეც კი საუბრობდა. ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა ქართულ ენერგობაზარზე „გაზპრომის“ შემოსვლაში რუსეთის პოლიტიკური მიზნები და მისგან მომდინარე საფრთხე დაინახეს. როგორც შემდეგ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, არც შემცდარან. საინტერესოა, ამჯერად რა შედეგით დასრულდება არასანდო „გაზპრომისა“ და ენერგეტიკის სამინისტროს მოლაპარაკება. **□**

როგორ გავხდეთ მასწავლებელი

პედაგოგობა საქართველოში სასურველი პროფესიების სიაში არ არის. დაბალი ავტორიტეტისა და ხელფასის გამო ეს პროფესია დიდი ხანია ახალგაზრდებისთვის არამომზიდველი გახდა. სახელმწიფომ პროფესიის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესაცვლელად და ხარისხის ასამაღლებლად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემა შემოიღო.

სალომე გორგოძე



სკოლაში პედაგოგად მუშაობის შესაძლებლობა ხშირად დირექტორის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ჰქონდა მუშაობის დანაშების მსურველ პირს მასწავლებლობისთვის საჭირო უნარი. 2004 წლიდან სახელმწიფომ

პედაგოგიური საქმიანობის რეგულირებაზე დაიწყო მუშაობა, 2010 წლიდან კი მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებიც დაიწყო.

სპეციალისტების შეფასებით, მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების დღე-

მდე მოქმედი სისტემა სათანადოდ ეფექტიანი ვერ აღმოჩნდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად. დღემდე პრობლემას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, რაც განპირობებულია მასწავლებელთა შრომის დაბალი ანაზღაურებით, პროფესიის ნაკლებპრესტიჟულობითა და სელექციის არაკონკურენტული მექანიზმის გამო.

2015 წლის თებერვალში დამტკიცდა მასწავლებლის საქმიანობის დანაშების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა, რომელმაც, ავტორთა თქმით, არსებული პრობლემები უნდა გადაჭრას.

სქემით გათვალისწინებულია: პროფესიის პრესტიჟის გაზრდა, ახალი კადრების მოზიდვა, პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლება.

სქემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასწავლებლის მომზადების ახალ აკადემიურ პროგრამებს, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ახალგაზრდების მოზიდვასა და კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრას. სახელმწიფო პროგრამას სრულად დააფინანსებს.

მარიამ ბეგალაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. ძირითად პროფესიად ბიოლოგიას სწავლობს, დამატებით სპეციალობად (მაინორად) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული. „ბავშვობიდან მასწავლებლობაზე არ მიფიქრია, – ამბობს ის, – თუმცა, როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე და ძირითად პროფესიასთან ერთად დამატებითი პროფესიის არჩევის შესაძლებლობა მომეცა, გადავწყვიტე, რომ ჩემთვის მომავალში სამუშაოს საპოვნელად დამატებითი შესაძლებლობა იქნებოდა მასწავლებლისთვის საჭირო კომპეტენციის შეძენა. როცა სწავლა დავინწყე და სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით საინტერესო საგნები გავიარე, არჩევანის სისწორეში კიდევ უფრო დავრწმუნდი.“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2010 წლიდან ამოქმედდა. აღნიშნული პროგრამის გავლა დაინტერესებულ სტუდენტებს საქართველოს 12 უნივერსიტეტში შეუძლიათ.

პროგრამა დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტს მოიცავს და ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. პროგრამის პრაქტიკული კურსის ფარგლებში მარიამ ბეგალაშვილმა თბილისის 82-ე საჯარო სკოლაში პირველი გაკვეთილიც ჩაატარა. თემა უჯრედის შემადგენელი ქიმიური ნივთიერებები იყო. იხსენებს, რომ თავდაპირველად, როცა 30 მოსწავლესთან საკლასო ოთახში მარტო დარჩა, დაიბნა. უფროსკლასელებთან ურთიერთობა მარტივი არ აღმოჩნდა, თუმცა გაკვეთილის წინასწარ შედგენილ გეგმას მიჰყვა, ახალი

გაკვეთილი ახსნა და მოსწავლეებს ჯგუფური დავალებებიც გააკეთებინა. ამბობს, რომ პრაქტიკული კურსის ყველაზე საინტერესო ნაწილი გაკვეთილის შემდეგ ხელმძღვანელ მასწავლებელთან თავისი მიღწევებისა თუ ხარვეზების ანალიზი იყო, რაც სტუდენტს ეხმარება, მომდევნო გაკვეთილი მეტი ყურადღებით დაგეგმოს და უკვე დაშვებული შეცდომებიც გაითვალისწინოს.

მასწავლებლად მუშაობას უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე გეგმავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მარიამ მატიაშვილი. მან უნივერსიტეტში სწავლა 2010 წელს დაასრულა. ძირითად სპეციალობად ინგლისური ენა და ლიტერატურა შეისწავლა, ხოლო დამატებით მასწავლებლის მომზადების პროგრამა გაიარა.

პროგრამის ფარგლებში უცხო ენის სწავლების დიდაქტიკისა და მეთოდოლოგიის საფუძვლები, უცხო ენის სწავლების ფსიქოლოგია, სასწავლო კურიკულუმის დიზაინი, გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ისწავლა. მისი შეფასებით, პროგრამამ სწორედ პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მისცა.

მარიამ მატიაშვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ მაძიებლობის პროგრამაში ჩაერთო. პირველი გასაუბრება მასწავლებლის სახლში წარმატებით გაიარა, რის შემდეგაც თბილისის 117-ე საჯარო სკოლაში დაიბარეს კიდევ ერთ გასაუბრებაზე. 2010-2011 სასწავლო წლის განმავლობაში მაძიებელი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა.

მაძიებლის პროგრამა 2008-2013 წლებში ხორციელდებოდა. მასწავლებლობის მაძიებელი დამწყები, ახალბედა მასწავლებელია, რომელიც პედაგოგიური გამოცდილების მიღების მიზნით დროებით ზოგად-

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის.

2010-2011 სასწავლო წლის ბოლოს მარიამ მატიაშვილმა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები ჩააბარა. შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სკოლის ადმინისტრაციიდან დაუკავშირდნენ და ინგლისური ენის მასწავლებლის პოზიციაზე მუშაობა შესთავაზეს. ახლა უკვე უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს.

ახალი სქემის თანახმად, პედაგოგები ოთხ კატეგორიად იყოფიან. პირველი საფეხურზე პრაქტიკოსი პედაგოგები არიან, მეორეზე – უფროსი პედაგოგები, მესამეზე – ნამყვანი, ხოლო მეოთხეზე – მენტორი მასწავლებლები. სხვადასხვა საფეხურზე პედაგოგებს განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ და ეს მოთხოვნები სტატუსიდან სტატუსამდე იზრდება.

მარიამ მატიაშვილი სკოლაში სრული დატვირთვით I, III, VII, VIII და X კლასებს ინგლისურ ენას ასწავლის. იხსენებს, რომ მასწავლებლად მუშაობა თავდაპირველად ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მთავარ სირთულეს კი არა საგნობრივი კომპეტენცია, არამედ მოსწავლეებთან ურთიერთობის გამოცდილება წარმოადგენდა. მისი თქმით, სწორედ ამიტომ მასწავლებლის საქმიანობისთვის პრაქტიკულ უნარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მასწავლებლის პროფესიაში პრაქტიკის მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას სპეციალისტებიც.

„არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მასწავლებლობის პირველ წელს ძალიან დიდია პროფესიიდან გადინება. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი არის ის, რომ მუშაობის დამწყებთა მოლოდინი განსხვავდება რეალობისგან. პრაქტიკის გავლისას კი სტუდენტი ხედავს ყველა იმ სირთულეს, რაც თან ახლავს მასწავლებლის პროფესიას. ამიტომ, ამ შემთხვე-

ვაში მუშაობის გაგრძელების აღბათობა გაცილებით მაღალია”, – ამბობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი მანანა რატიანი.

დღემდე დაინტერესებულ პირს, რომელსაც მასწავლებლის კარიერის დაწყება სურდა, უნდა ჰქონოდა მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი. გამოწვევის წარმოადგენდა სახელოვნებო და სასპორტო მიმართულებები. მასწავლებლის უფლების განახლება კი ხდებოდა სერტიფიცირების გამოცდით.

მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა პირველად 2010 წლის ზაფხულში ჩატარდა, თავდაპირველად მხოლოდ მათემატიკის, ქართულისა და უცხო ენების პედაგოგებისთვის, მომდევნო წლებში დანარჩენი საგნებზეც დაემატა, თუმცა მუსიკასა და ფიზიკურ აღზრდაში გამოცდები დღემდე არ ჩატარებულა.

მანანა რატიანის შეფასებით, პროფესიაში ჩართვის ეს წესი არაეფექტური აღმოჩნდა. მართალია, დაინტერესებული პირისათვის ადვილი იყო მასწავლებლის კარიერის დაწყება, მაგრამ ხარისხი იყო დაბალი. ხშირ შემთხვევაში დამწყებ მასწავლებელს არ ჰქონდა სათანადო ცოდნა სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ. შესაბამისად, მასწავლებლების გადამზადება დამატებით ხარჯს მოითხოვდა.

„ამდენად, მნიშვნელოვანია არამარტო საგნის ცოდნა, არამედ ისიც, თუ როგორ ასწავლოს – როგორ უნდა მიუდგეს მოსწავლეს, გაითვალისწინოს მათი ასაკობრივი თავისებურებები, აუხსნას ესა თუ ის საკითხი, როგორ მართოს კლასი და შეაფასოს სასწავლო პროცესი. ანუ აუცილებელია ცოდნა საგნის სწავლების მეთოდოლოგიაში“, – ამბობს ცენტრის

ექსპერტ-კონსულტანტი სოფო ლობჯინიძე.

მისი თქმით, სწორედ ამგვარი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები.

პროფესიაში ჩართვის ბრძელო გზა

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით, საუნივერსიტეტო მომზადება მოხდება ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამით, რომელიც არანაკლებ 300 კრედიტს მოიცავს. ამ პროგრამის წარმატებით გავლის შემდგომ კურსდამთავრებულს განათლების მაგისტრის ხარისხი მიენიჭება.

საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების ორი გზა არსებობს – მიმდევრობითი და პარალელური პროგრამა.

მიმდევრობითი პროგრამის შემთხვევაში, აბიტურიენტი თავიდანვე მასწავლებლობის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. პროგრამის ფარგლებში, 120 კრედიტი ეთმობა საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდულს, 60 კრედიტი – თავისუფალი კომპონენტების მოდულს, ასევე 60 კრედიტი მეთოდოლოგიის მოდულს, ანუ ამ მოდულის ფარგლებში სტუდენტი იძენს ცოდნასა და გამოიმუშავებს უნარს სწავლების მეთოდოლოგიაში. სწავლის მეხუთე წელი სასკოლო პრაქტიკის მოდულია, რომელიც შედგება საგაკვეთილო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის კომპონენტებისგან. პრაქტიკის კვლევის ფარგლებში სტუდენტი ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომლის წარმატებით დაცვის შემდეგაც ენიჭება განათლების მაგისტრის ხარისხი.

პარალელური პროგრამის შემთხვევაში კი სტუდენტი მასწავლებლის პროფესიას სწავლის პროცესში ირჩევს. მაგალითად, სწავლობს ფიზიკის მიმართულებაზე, ხოლო დამატებით (მაინორ) პროგრამად ირჩევს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გაივლის პროგრამის ყველა მოდულს, გარდა სასკოლო პრაქტიკისა, მას მიენიჭება შესაბამისი საგნის ბაკალავრის კვალიფიკაცია და მიეცემა მასწავლებლის სერტიფიკატი. იმ შემთხვევაში კი, თუ გადაწყვეტს მეხუთე წელსაც ისწავლოს, ამ ერთწლიანი პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლის შემდეგ განათლების მაგისტრის ხარისხი მიენიჭება.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი ადასტურებს საგნობრივ, მეთოდურ, კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს, რის შედეგადაც კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი, რომელიც მას მასწავლებლობის უფლებას აძლევს.

სწორედ ეს კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს, სკოლაში დაიწყოს მუშაობა უფროს მასწავლებლად, ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით. უფროსი მასწავლებლის სტატუსი მას შემდეგ მიენიჭება, რაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში წარმატებით გაივლის გარე დაკვირვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა შეიმუშაოს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა და ერთი წლით გაუხანგრძლივებდეს გარე დაკვირვების გასაველელად გამოსაცდელი პერიოდი.

მასწავლებლის მომზადების 5-წლიანი პროგრამები 2017-2018 სასწავლო წლიდან ამოქმედდება.

იმის გამო, რომ ინტეგრირებული პროგრამების კურსდამთავრებულები სახელმწიფოს 5-6 წლის შემდგომ ეყოლება, საჭირო გახდა კვალიფიციური მასწავლებლის რიგების შევსება ალტერნატიული გზით – მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებლად ამოქმედებით.

„დღევანდელი ვითარების მიხედვით, პროფესიაში დაახლოებით 23% საპენსიო ასაკის პედაგოგი გვყავს. რეალურად, მათი ერთი ნაწილი აქტიური მასწავლებელია, სერტიფიცირების გამოცდებზე ჩაბარებული აქვს, თუმცა მეორე ნაწილს სკოლაში დარჩენის სურვილი გამოცდებზე გასვლით არ დაუდასტურებია. შესაბამისად, სახელმწიფო წინასწარ უნდა იყოს მზად, რომ ეს ადამიანები შესაძლოა, პროფესიიდან გავიდნენ. ამისათვის 5-წლიანი პერსპექტივა საკმარისი ხანგრძლივია, ამიტომ უნდა არსებობდეს უფრო მოკლე გზა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სკოლაში შესვლის „ღია კარის პოლიტიკა“. ამ გზით კომპეტენტური კადრები უნდა შევიდნენ პროფესიაში“, – ამბობს მანანა რატიანი.

პროფესიაში ჩართვის მოკლე გზა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც პროფესიაში ალტერნატიული გზით შესვლას გადაწყვიტენ, შედარებით მოკლე გზის – მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის გავლა მოუწევთ. მას, ვისაც ბაკალავრის ხარისხი აქვს ეროვნულ მასწავლო გეგმასთან შესაბამის დარგში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში საგნობრივი გამოცდის ჩაბარების შემდგომ მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას შეძლებს, პროგრამის დამთავრების შემდგომ კი პროფესიაში ჩაერთვება.

1 თებერვლიდან 1 მარტამდე დაინტერესებულმა უნივერსიტეტებმა გა-

ნათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 60-კრედიტაინი პროგრამები უნდა წარადგინონ, აკრედიტაციის გასაველელად.

რაც შეეხება ვადებს, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტებს უკვე მომავალი სასწავლო წლიდან (2016-2017) შეეძლება დამოუკიდებელი პროგრამების განხორციელება.

დარგის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პროფესიის დაწყების ამგვარად დივერსიფიცირებული გზების არსებობა მასწავლებლად გახდო-

■ სკოლაში მასწავლებლად მუშაობას გამორიცხავს (და ამ საკითხს ანაზღაურებაზე დამოკიდებულად არ მიიჩნევს) სტუდენტთა 17.3% და კურსდამთავრებულთა 22.6%.

მას უფრო ართულებს, მაგრამ ამავდროულად მათი კომპეტენციაც მოიმატებს. ვარაუდის საფუძველს კი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი იძლევა, პირველი – სავალდებულო საგნობრივი გამოცდის ჩაბარებით დაინტერესებული პირი საგნობრივ კომპეტენციას დაადასტურებს. მეორე კი ისაა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამა, როგორც გრძელი გზის შემთხვევაში, ისე დამოუკიდებელი ერთწლიანი პროგრამის სახით, დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, პრაქტიკული ცოდნა მიიღოს და საგნის სწავლების მეთოდოლოგიურ ნაწილში მეტი კომპეტენცია შეიძინოს.

გაიზრდება თუ არა მასწავლებლობის მსურველთა რაოდენობა, მომა-

ვალი აჩვენებს, თუმცა მანამდე მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ კვლევები, რომლის მიხედვითაც, პედაგოგობის სურვილი ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ. ეს პროფესია საქართველოში არაპრესტიჟულად მიიჩნევა, რასაც სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს. მთავარი კი მაინც ხელფასია.

სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტმა 2012 წელს მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის შესახებ ჩაატარა კვლევა. კვლევა მოიცავდა, საშუალოდ, 42 ინტერვიუს საქართველოს მასშტაბით შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ 14 უმაღლეს სასწავლებელში.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ სტუდენტთა არსებული კორპუსიდან, 321-ლარიანი ანაზღაურების პირობებში, რეალურად შესაძლებელია დაახლოებით 23.6%-ის სკოლაში მასწავლებლად რეკრუტირება, კურსდამთავრებულთაგან კი – 33.2%-ის.

გაზრდილი ანაზღაურების პირობებში სტუდენტთა 58.3%, ხოლო კურსდამთავრებულთა 51.8%-ია ლოიალური მასწავლებლის საქმიანობის მიმართ. სტუდენტთა ეს ნაწილი სკოლას განიხილავს როგორც მათი დასაქმების შესაძლო ინსტიტუტს.

სკოლაში მასწავლებლად მუშაობას გამორიცხავს (და ამ საკითხს ანაზღაურებაზე დამოკიდებულად არ მიიჩნევს) სტუდენტთა 17.3% და კურსდამთავრებულთა 22.6%.

მასწავლებელთა ხელფასი სქემის შესაბამისად, 3 ეტაპად გაიზრდება. პირველ ეტაპზე, 2015 წლის ექვტემბრიდან მასწავლებლის საბაზო ხელფასმა მოიმატა და მინიმუმ 337 ლარი შეადგინა. მეორე ეტაპზე, 2016 წლის აპრილში, ხელფასი კვლავ მოიმატებს და მინიმალური საბაზო ანაზღაურება 385 ლარი გახდება, ხოლო 2017 წლის იანვარში 704 ლარამდე გაიზრდება. **■**



ჩაქუჩი გამოხატვის თავზე

აღიმართება თუ არა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების თავზე მოსამართლის ჩაქუჩი? – ამას პარლამენტარები სულ მალე გადაწყვეტენ.

ზურაბ ვარდიაშვილი

1992-1996 წლებში აიღინ ტატლაემა, თურქმა ჟურნალისტმა, რამდენიმე ტომიანი კვლევა გამოაქვეყნა, ყურანის კრიტიკული ანალიზით.

ტატლაევი ეხებოდა ისლამის სახელით დაწესებული სანქციების სისასტიკეს. საუბრობდა ღმერთის არარსებობაზე, „მუჰამედის ოცნებებზე, რომლებსაც ის რეალობად აღიქვამდა“. ჟურნალისტი აკრიტიკებდა ისლამს იმის გამო, რომ რელიგია აკანონებდა ქმრის მოღალატის მათრახით ცემას, „ადგენდა, სხეულის რომელი ნაწილი მოჰკვეთოდა ქურდს“.

1997 წელს „ღმერთის, რელიგიის, წინასწარმეტყველისა და წმინდა წიგნის შეურაცხყოფისათვის“ თურქეთის პროკურატურაში ჟურნალისტის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. მას ორი წელი მიესაჯა, თუმცა სასამართლომ სასჯელი ჯარიმით შეუცვალა.

ჟურნალისტმა ევროპულ სასამართლოს მიმართა. რომელმაც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეათე მუხლის დარღვევა დაადგინა.

მეათე მუხლის დარღვევაზე მიუთითა ევროპულმა სასამართლომ საქმეშიც – გინევსკი საფრანგეთის წინააღმდეგ – გინევსკიმ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიით მძაფრად გააკრიტიკა რომის პაპი და კათოლიკურ ეკლესიას ანტი-

სემიტობაში დასდო ბრალი. გინევსკი სტატიაში ამტკიცებდა, რომ „ამან მიგვიყვანა ოსვენციმამდე“. მას უჩივლეს და ეს საჩივარი საფრანგეთის სასამართლომ გაიზიარა, თუმცა ევროპულ სასამართლოში დაასკვნეს, რომ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენდა „უსაფუძვლო შეურაცხყოფას“.

ამ და სხვა სამართლებრივ ქეისებს რამდენიმე წლის წინ იუსტიციის ახლანდელი მინისტრი თეა წულუკიანი მიმოიხილავდა სახალხო დამცველის ჟურნალში – „სოლიდარობა“.

კონვენციის მეათე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.

ინიციატივა

2015 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსმა, ეთერ სვიანაიძემ შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„ქალბატონო ეთერ, საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარ-

■ კონვენციის მეათე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.

ლამენტის წევრის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ საკანონმდებლო ინიციატივას.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

გთხოვთ, ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებას მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით, იოსებ ჯაჭვლიანი“

ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარის მოადგილის, გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის, სოსო ჯაჭვლიანის ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორმა, ზვიად ტომარაძემ მოამზადა.

ინიციატივის მიხედვით, „რელიგიური სინმინდებების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურისა და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა, ან/და ისეთი მასალის გამოქვეყნება ან ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. იმავე ქმედების გამეორება გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით. ხოლო რელიგიური შენობის და სხვა რელიგიური სინმინდებების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება 500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, გამეორების შემთხვევაში ჯარიმა 1000 ლარია“.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, მისი შემუშავების მიზეზი „საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირებული მოქალაქეთა რელიგიური გრძნობების, არსებული რელიგიების და სასულიერო პირების შეურაცხყოფაა“.

პროექტის ავტორის აზრით, რამდენიმე წელია, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საბაბით, ფარულად და პირდაპირ მიმდინარეობს როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის, ასევე

სხვადასხვა ტრადიციული რელიგიის შეურაცხყოფა. „ინტერნეტსივრცეში (სოციალურ ქსელში) შექმნილია რამდენიმე ათეული გვერდი, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა ღვთის გმობა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი წინამძღოლისა და სასულიერო იერარქების შეურაცხყოფა“.

ამიტომ – „სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მოქალაქეთა რელიგიური გრძნობები, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე“.

მიმდინარე თვის 2 თებერვალს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით კანონპროექტს მხარი დაუჭირა.

მხარდამჭერი დეპუტატები არიან: ეკა ბესელია, გედევან ფოფხაძე, ფატი ხალვაში, მერაბ კაჭახიძე და ვლადიმერ აჩბა.

სუბიექტები

საინტერესოა, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებული სუბიექტების უმრავლესობა ან შორს იჭერს თავს ინიციატივის პათოსისგან, ან სულაც ემიჯნება მას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძალიან ხშირია ეკლესიისა და მისი საჭეთმყრობელის მიმართ ცილისწამებლური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და გამოსვლები, მსგავსი კანონპროექტის მიღების საკითხი არც ადრე და არც ამჟამად ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა. – ამბობენ საქართველოს საპატრიარქოში.

„ეს კანონი უკვე მერამდენედ მოვიდა პარლამენტამდე. ყველა ჯერზე ყველა რელიგიური გაერთიანება, ვინც რელიგიათა საბჭოში ვართ, ვაპროტესტებთ ამ და მსგავს კანონებს იმიტომ, რომ ეს არავის არ დაიცავს, უმცირესობებს ყოველ შემთხვევაში და ეს იქნება ძლიერი იარაღი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, ეს საფრთხე ყველამ კარგად იცის და ძალიან გული მწყდება, რომ ამ საშინელ კანონზე მსჯელობით აგვირგვინებს პარლამენტი ბოლო წელს. იმედია, ამ

■ მშვენიერაქე იმ კანონმდებელთა მიზნებზეც საუბრობს, რომლებმაც პროექტს მხარი დაუჭირეს, იურისტის თქმით, დემოკრატიის ანაბანაში გაუთვითცნობიერებელ ამომრჩეველთა გულუბრყვილობით ბოროტად სარგებლობენ დეპუტატები, რომელთა ნაწილმაც ზუსტად იცის, რასაც აკეთებს.

კანონს ვერ მიიღებენ” – ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე

„ხსენებული კანონპროექტი ჩვენში არაერთ შეკითხვას ბადებს. ამრიგად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კანონპროექტის კანონად ქცევა შეზღუდავს გამობატვისა და სიტყვის თავისუფლებას და უფრო მეტიც, საშიშაა, არ იქცეს იმ უმრავლესობის მთავარ ბერკეტად, რომლებიც ხშირად გვევლინებიან უფლებების უხემ დამრღვევებად“, – ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე.

საერთო გამოხატვის თავისუფლებისთვის

სტატიის დასაწყისში აღწერილი ევროპული სასამართლოს პრეცედენტები სახელმძღვანელო ქეისებადაა ქცეული. დაფუძნებულია კანონმდებლობებისა თუ პრაქტიკული მაგალითების ანალიზზე და მიმართულია მიზნისკენ – არ დაუშვას სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შეზღუდვა.

საქმეში – ნილსენი და იონსენი ნორვეგიის წინაღმდეგ ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ განმარტა: „აზრის გამობატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი და პროგრესისა და ინდივიდუალური თვითრეალიზაციის მთავარი პირობაა. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების მიხედვით, სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ სასურველ, უწყინარ ან ნეიტრალურ „ინფორმაციებსა“ და „იდებებს“, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემაფოთებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონიერების მოთხოვნები, ურომლისოდაც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს

კანონპროექტი დემოკრატიული საზოგადოების ამ ფუნდამენტურ საფუძველს საფრთხეს რომ უქმნის, ამაზე იურისტები უკვე მიუთითებენ. „სამოქალაქო

საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა არ მიიღოს. ის გამობატვის თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს არღვევს და, ფაქტობრივად, დუმისლს ანებს“, – გვეუბნება საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის გამგეობის წევრი, იურისტი გიორგი მშვენიერაძე. მისი აზრით, ეს არის ხელისუფლების ბრძოლა „უმრავლესობის ტირანიის“ დასამყარებლად.

მშვენიერაძე იმ კანონმდებელთა მიზნებზეც საუბრობს, რომლებმაც პროექტს მხარი დაუჭირეს, იურისტის თქმით, დემოკრატიის ანაბანაში გაუთვითცნობიერებელ ამომრჩეველთა გულუბრყვილობით ბოროტად სარგებლობენ დეპუტატები, რომელთა ნაწილმაც ზუსტად იცის, თუ რასაც აკეთებს, „იცის, რომ ეს საქციელი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მავნებლობაა, მაგრამ საკუთარი ამომრჩევლის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად, ამაღ უღირს“.

კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტი ვახუშტი მენაბდე გვიხსნის იმ კონტექსტს, რა დროსაც დასაშვებია გამობატვის შეზღუდვა – „ერთდროულად ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო. პირველი – ის უნდა წარმოშობდეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხეს და მეორე – არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ-სოციალური ღირებულება“

თუმცა იურისტის თქმით, შემოთავაზებული კანონპროექტის პრობლემა ის არის, რომ ახშობს იმ აზრსაც, რომელიც, თავისი არსით, ღირებულია პოლიტიკური სივრცისთვის.

იმისათვის, რომ სოსო ჯაჭვლიანის ინიციატივა კანონად იქცეს, მთელი რიგი საკანონმდებლო პროცედურებია გასავლელი. საზოგადოების არჩევანია, ან თვალი ადევნოს ამ პროცესს, ან, როგორც გიორგი მშვენიერაძე ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ საქართველოს პარლამენტმა ეს კანონპროექტი არ მიიღოს. ■

■ იმისათვის, რომ სოსო ჯაჭვლიანის ინიციატივა კანონად იქცეს, მთელი რიგი საკანონმდებლო პროცედურებია გასავლელი. საზოგადოების არჩევანია, ან თვალი ადევნოს ამ პროცესს, ან, როგორც გიორგი მშვენიერაძე ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ საქართველოს პარლამენტმა ეს კანონპროექტი არ მიიღოს.

მოსამართლეები შერჩევით



როგორ ნაწილდება სასამართლოში შესული საქმეები მოსამართლეებზე? – შესაძლოა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მიიჩნიოს, რომ ეს თემა მას არ ეხება. თუმცა თუკი სასამართლოში რაიმე სტატუსით წარდგენა მოგინევთ, ან რომელიმე გახმაურებული საქმის ბედი გაღელვებთ, ან სულაც მართლმსაჯულების აღსრულებით ხართ დაინტერესებულნი, უნდა იცოდეთ, რომ საქმის მოსამართლეებისთვის განაწილებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. კანონის ამჟამინდელი ვერსიით, პროცესში ჩართვა სასამართლოებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს შეუძლიათ, ეს კი მოსამართლის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევას შესაძლებელს ხდის.

ქეთევან ღვინჯაშვილი

საერთო სასამართლოებში საქმეთა განილვისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ კანონის თანახმად, რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში საქმეები რიგითობის პრინციპით, ანბანის მიხედვით ნაწილდება.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სადაც საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა მუშაობს, საქმეების განილება ავტომატურად ხდება. მაგრამ, რადგან პროგრამა ისეთ შემთხვევებს ვერ ითვალისწინებს, როგორებიცაა: მოსამართლის ავადმყოფობა, შვებულება, მივლინება, მოსამართლის გადატვირთულობა და ა.შ. განილების პროცესში ჩარევის უფლება სასამართლოს ან კოლეგიის თავმჯდომარეს აქვს.

ერთი შეხედვით გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დაშვებული გამონაკლისი უსამართლო და უკანონო ქმედების შესაძლებლობას იძლევა. თავმჯდომარეს შეუძლია, საქმე ერთ მოსამართლეს ჩამოაწეროს და მეორეს დააწეროს, თანაც ისე, რომ თავისი განწყვეტილება არ დაასაბუთოს. შესაბამისად, ვერავინ გაიგებს, როგორ განიწილდა საქმეები.

ამგვარი საკანონმდებლო ნორმა სასამართლოს საქმიანობაში პოლიტიკოსების ჩარევის შესაძლებლობასაც იძლევა. მაგალითად, ყოფილ მაღალჩინოსანთა სასამართლო პროცესები, ე.წ. კაბელეებისა და ტელეკომპანია „რუსთავი2-ის“ საქმე, ასეთ გახმაურებულ საქმეებზე პოლიტიკოსთა დაინტერესება თვალშისაცემია და საზოგადოებას ხშირად აქვს პროტესტი იმის გამო, რომ მსგავსი საქმეები კონკრეტულ მოსამართლეებს ეწერებათ.

ეს კი კონსტიტუციით გარანტირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობას არღვევს.

ამასთან, ირღვევა სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეთა და პირთა უფლებებიც. თუკი თქვენ სასამართლო-

ში რომელიმე მხარეს წარმოადგენთ, შესაძლოა, სასურველი შედეგის მიღების მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარემ თქვენი საქმე კონკრეტულ მოსამართლეს დააწეროს და არა იმას, ვისაც რიგითობით შეხვდა. ცხადია, ამ შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის იმედი არ უნდა გქონდეთ.

ამასთან, დღეს არსებული მოდელით ბოროტად სარგებლობა მოქალაქეებსაც შეუძლიათ. თუკი ისინი რამდენიმე სარჩელს ან საჩივარს წინასწარ შეიტანენ და დააკვირდებიან, რა თანმიმდევრობით გადანაწილდა საქმეები, ადვილად ამოიცნობენ, ვის დაეწერება შემდეგი სარჩელი/საჩივარი.

ამ მხრივ უფრო რთულია ვითარება მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში, სადაც საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა არ მოქმედებს. შესული საქმეების დრო და რიგითობა არა კომპიუტერულად, არამედ კანცელარიის თანამშრომლების მიერ განისაზღვრება. მათ კი, მითითების შემთხვევაში, კონკრეტული საქმის სხვა საქმეებზე უფრო გვიან ან უფრო ადრე დარეგისტრირება და ამით კონკრეტული მოსამართლისთვის მიკუთვნება შეუძლიათ. ამის გაკონტროლება შეუძლებელია. შესაბამისად, გაუგებარია, როგორ ნაწილდება საქმეები მოსამართლეებს შორის.

საქმეთა განილების დღეს არსებული მოდელის ხარვეზებზე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილს მუჟნიეკსიც საუბრობს და ელექტრონული სისტემის შექმნის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

„საქმეთა განილება მოსამართლეებზე, – განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე, – რომლებიც ხელისუფლების მიმართ ლოიალურებად მიიჩნევიან, ეჭვს ბადებს სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, რაც საქმეთა შემთხვევითობის პრინციპით განილების წესის შემოღების აუცილებლობაზე მიუთითებს“.

■ ირღვევა სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეთა და პირთა უფლებებიც. თუკი სასამართლოში რომელიმე მხარეს წარმოადგენთ, შესაძლოა, სასურველი შედეგის მიღების მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარემ თქვენი საქმე კონკრეტულ მოსამართლეს დააწეროს და არა იმას, ვისაც რიგითობით შეხვდა.

ამ საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორება იუსტიციის სამინისტრომ სასამართლოს რეფორმის მესამე ტალღით სცადა. კანონპროექტის მიზანი არსებული ვითარების გამოსწორებაა, თუმცა მისი შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, ის ხარვეზებს არათუ ვერ აღმოფხვრის, საქმეთა განაწილების პროცესს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

უფრო კონკრეტულად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები სასამართლოს ყველა ინსტანციაში საქმის ელექტრონული ნარმოების დაწერგვას გულისხმობს. პროგრამის მეშვეობით, საქმეებიც ელექტრონულად, მაგრამ შემთხვევითობის პრინციპით განაწილდება. თუმცა ხარვეზად რჩება ის, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს საქმის განაწილებაზე წვდომა და ამ პროცესში ჩარევის უფლება კვლავ რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის ავტორები საკანონმდებლო ცვლილებით თავმჯდომარეების მხრიდან ნებისმიერი სახის მანიპულაციას ან თვითნებობას გამორიცხავენ, განმარტებით ბარათში არსებული ჩანაწერი საპირისპიროზე მეტყველებს. 581 მუხლის თანახმად, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას სასამართლოს თავმჯდომარე საქმეებს რიგითობის პრინციპით განაწილებს.

ამასთან, შემთხვევითობის პრინციპი კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ამ პროცესს, რადგან გაუგებარი იქნება, რა პრინციპით დაენერა ესა თუ ის საქმე ერთ მოსამართლეს და არა სხვას. დაინტერესებულ მხარეს ან სულაც სასამართლოს თავმჯდომარეს კი ამის ბოროტად გამოყენება უფრო ადვილად შეუძლია. არც ისაა გამორიცხული, რომ პროგრამამ შემთხვევით მხოლოდ რამდენიმე მოსამართლეს დააწეროს შესული საქმეების სრული რაოდენობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი მიიჩნევს, რომ, თუ საქმეები ლოგიკურად

სწორად არ დალაგდა, თუ სისტემას არ მიენიჭა ის პრიორიტეტი, რომ სირთულის, მოწმეებისა და მუხლების რაოდენობის, საქმის წონის და სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით გაანაწილოს საქმე, პროცესი უფრო მეტად ბუნდოვანი გახდება.

„თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია და სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას ისეთი პროგრამა, რომ სხვაგვარად მოქმედების თეორიული შესაძლებლობაც კი არ არსებობდეს. ყველაზე მთავარი აქნდობის ფაქტორია. იურიდიული საზოგადოება და მოქალაქეები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ კონკრეტული საქმეების გადაცემა, გადაწერა ან მსგავსი რამ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ არ ხდება“,- აცხადებს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე „ლიბერალთან“.

მამუკა ახვლედიანი ერთ-ერთ გამოსავლად მიიჩნევს სასამართლოში 5-6-კაციანი ჯგუფის შექმნას, რომელიც საქმეთა განაწილების საკითხს გააკონტროლებს. სასამართლოს თავმჯდომარე კი მათ წინაშე ანგარიშვალდებული იქნება და გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას სიტყვიერად მაინც მიიწვეს მათ.

საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გამოსავლად ისეთი სრულყოფილი პროგრამის შექმნას მიიჩნევს, რომელიც ადამიანის რაიმე ფორმით ჩართულობას გამორიცხავს, თუმცა ამბობს, რომ საამისო მზადყოფნას ვერ ხედავს.

„ის, რაც აქამდე მინახავს და ვიცოდი კანონპროექტის შესახებ, წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ მიიჩნევა. შეიძლება რაღაც კუთხით ვილაცამ თქვას, რომ ამით გარედან გამოთვლას აღარ დაექვემდებარება, ვის ეწერება საქმე. მაგრამ სასამართლოს ნდობას ნამდვილად არ შესძენს“.

ელექტრონული საქმისნარმოების აუცილებლობაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძეც საუბრობს. როგორც მან „ლიბერალს“ ჯერ კიდევ გაზაფხულზე უთხრა, საქმის

■ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გამოსავლად ისეთი სრულყოფილი პროგრამის შექმნას მიიჩნევს, რომელიც ადამიანის რაიმე ფორმით ჩართულობას გამორიცხავს, თუმცა ამბობს, რომ საამისო მზადყოფნას ვერ ხედავს.

განაწილების ელექტრონული სისტემა 2015 წლის ბოლომდე აუცილებლად უნდა დანერგილიყო, რადგან ეს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებითაა გათვალისწინებული. ამასთან, მისი შეფასებით, სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა საქმის განაწილების დაუხვეწავი სისტემის გამო დაიკარგა. თუმცა 2016 წელი დაიწყო და სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები კვლავ ძველებური მეთოდით მუშაობენ.

GIZ-ის სამართლებრივი მრჩეველი თორნიკე დარჯანია საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის შექმნის პროცესში უშუალოდაა ჩართული, რადგან სისტემის შექმნა და დანერგვა მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში GIZ-მა დააფინანსა. მისი ინფორმაციით, სასამართლოების ელექტრონული წარმოების სისტემაზე გადასასვლელად ტექნიკურად ყველაფერი მზადაა. თუმცა აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემაში არსებული სხვადასხვა შიდა პრობლემის გამო პროგრამა ვერ იწერება.

GIZ-ის სამართლებრივი მრჩეველის შეფასებით, სისტემის დანერგვის გაჭიანურება პროგრამის ტექნიკურ გაუმართაობაზე გადამეტებული ყურადღების გამახვილებითაა გამოწვეულია. იგივე შეიძლება ითქვას საქმის ელექტრონული განაწილების დანერგვასთან დაკავშირებით. თორნიკე დარჯანია განმარტავს, რომ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამისა და ელექტრონულად საქმის შემთხვევითობისა და თანაბარი დეტვირთულობის მიხედვით განაწილების დანერგვა ტექნიკურთან ერთად უფრო მეტად სამართლებრივ-პოლიტიკური საკითხია, რაზეც დღეს ქვეყანაში უწყებებს შორის ერთიანი პოზიცია არ არსებობს.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის განსაკუთრებით უხედავს სასამართლოს თავმჯდომარე საქმის განაწილების ელექტრონული პროგრამის დანერგვისთვის იბრძვის, სა-

სამართლო სისტემაში ამ მხრივ წინსვლა არ შეინიშნება.

თორნიკე დარჯანია გამოსავალს ზემოხსენებული კანონპროექტის სხვა რედაქციით მიღებაში ხედავს. ის მიიჩნევს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში საქმის განაწილების ძირითადი პრინციპები უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს, ამასთანავე გამოირიცხოს საქმის განაწილების პროცესში სასამართლოს და კოლეგიების თავმჯდომარეების ჩარევა.

საქმის ელექტრონული წარმოების დასაწერად მთავარი ფაქტორი რომ შესაბამის პირთა ნებაა, ამ მოსაზრებას მამუკა ახვლედიანიც ეთანხმება. მისი თქმით, ალბათ, ვინმეს არ მოსწონს, რომ საქმის განაწილების პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს. ახვლედიანის ინფორმაციით, სააპელაციო სასამართლოში არის რამდენიმე ადამიანი, ვისაც, ალბათ, სხვა მიზეზები და მიზეზები აკავშირებს თავმჯდომარესთან.

„როცა პროგრამაზე ვსაუბრობდით, ისეთი მოსამართლეებისგან მომისმენია სისტემის ხარვეზზე პრეტენზია, ვისაც საერთოდ არ გამოუყენებია ეს პროგრამა. ჩემთვისაც გაურკვეველი და საინტერესოა, რატომ ცდილობენ გარკვეული ჯგუფები, ხელი შეუშალონ ამ სისტემას“.

ის, რომ კანონპროექტი არსებულ ხარვეზებს არ ასწორებს და საქმეთა განაწილების პროცესს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის, იმაზე მიუთითებს, რომ კანონპროექტის ავტორებს ან საკითხი არ ესმოდათ კარგად, ან ასეთი იყო მათი ნება. ტექნიკური მზადყოფნის მიუხედავად, სასამართლოებს ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა მაინც არ სურთ. საკითხავია, რატომ არ გაუწერა იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტში მათ შესაბამისი ვადა. ეს ყველაფერი აჩენს განცდას, რომ რეფორმა ფასადურია და არც მის შემქმნელებსა და არც შემსრულებელთა გარკვეულ ნაწილს ვითარების გამოსწორება არ სურთ. **□**

■ ის, რომ კანონპროექტი არსებულ ხარვეზებს არ ასწორებს და საქმეთა განაწილების პროცესს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის, იმაზე მიუთითებს, რომ კანონპროექტის ავტორებს ან საკითხი არ ესმოდათ კარგად, ან ასეთი იყო მათი ნება.

საქართველოს გზები – ომზე უფრო საშიში

გასულ წელს საქართველოში 6 432 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა – 440-ით მეტი, ვიდრე 2014-ში. ავარიების რაოდენობა ბოლო წლებში გამუდმებით აჭარბებს წინა წლების მაჩვენებელს. ამ ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად შარშან 602 ადამიანი დაღუპა, აქედან 28 ბავშვია. წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელიც გაზრდილია. შარშან 912 ბავშვი დაშავდა, წინა წელს – 839.

2015 წელს დაღუპულთა შორის 160 ქვეითად მოსიარულე იყო, თითქმის ორი ათასი ქვეითი კი დაშავდა. ეს მონაცემიც მზარდია.

ეკა მაღალაძე

შსს-ის ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევების გამოწვევი მთავარი მიზეზები არასწორი მანევრი, სიჩქარის გადაჭარბება და მანქანის არაჯიხურულ მდგომარეობაში მართვაა.

სამინისტრომ 2 თვის წინ საგზაო უსაფრთხოების ახალი პროგრამა წარმოადგინა, კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი კი პარლამენტს გააცნო. ამჟამინ, რომ ეს

მეტი პრევენციისთვის კეთდება და ავტოსაგზაო სამართალდარღვევებისთვის ადამიანები უფრო მეტად დაისჯებიან.

ინიციატივას სპეციალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უმეტესობა ინიშნებს, თუმცა ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების ფუნქციები ზოგ შემთხვევაში კვლავ შეუღლებიანია.

კოორდინაცია კი მიუღწევად ამოცანად რჩება, რის შედეგადაც დაშავებულია და დაღუპულია რაოდენობა ყოველ წელს იზრდება.

პარლამენტში შსს-ის მიერ გაგზავნილი პროექტის თანახმად, მართვის უფლების მქონე ყოველ მძღვლს წლის განმავლობაში 100 ქულა მიენიჭება. თითოეული ადამიანის მინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც აქამდე მხოლოდ



შულად ჯარიმას გულისხმობდა, კანონპროექტის კანონად ქცევის შემთხვევაში, კონკრეტული რაოდენობის ქულის დაკლებასაც გამოიწვევს. 100 ქულის ამონურვის შემდეგ კი მართვის მოწმობის გაუქმდება და მძღვლს მოუწევს, 2 თვეში მონიშნავს ხელახლა აიღოს – ოღონდ გამოცდის თავიდან ჩართვის გადახდით მართვის მოწმობის დაბრუნება არ განიხილება.

მოცდა მხოლოდ თეორიული იქნება თუ პრაქტიკულიც. ალტერნატიულ ვარიანტად ასევე განიხილება 100 ქულის ამონურვის შემთხვევაში არა მონიშნის გაუქმება, არამედ მისი 6 თვით შეჩერება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, არჩილ თალაკვაძის თქმით, მხოლოდ ჯარიმის გადახდით მართვის მოწმობის დაბრუნება არ განიხილება.

ასევე, არ მოხდება ქულების ამონურვაზე ჯარიმის დაწესება, რადგან ჯარიმას მძღვლეს მოძრაობის ნების დარღვევისას ისედაც იხდია.

ქულების სისტემა უზრუნველყოფს თანაბარ მიდგომას და თანაბარ პრევენციულ ეფექტს ყველა მძღვლისთვის. ეს მექანიზმი ებრძვის დაუსჯელობის განცდას იმ მძღვლებში, რომლებსაც ჯარიმე-

ბის გადახდა არაფრად მიაჩნიათ და მაინც არღვევენ მოძრაობის წესებს“, – ამბობს შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე.

თუმცა მძღოლს ქულები არ დააკლდება ფოტო-ვიდეო კამერებით დაფიქსირებულ დარღვევებზე. თალაკვაძის თქმით, ეს იმიტომ, რომ ამგვარი გადაღებისას მძღოლის ამოცნობა ვერ ხერხდება და ჯარიმაც ავტომობილის მფლობელს ეგზავნება და არა კონკრეტულ მომენტში დამრღვევ მძღოლს, ამიტომ ავტომობილის მფლობელისთვის ქულების დაკლება მიზანშეწონილად არ მიიჩნევა. თუმცა მთლიანობაში თალაკვაძე ამ ცვლილებებს ავტოავარიების მთავარი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ მიმართულ პრევენციულ ზომად მიიჩნევს:

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა ითვალისწინებს რეგულირების გამკაცრებას ზოგიერთ დარღვევაზე, რომელიც სიკვდილიანობისა და ავტოსაგზაო შემთხვევების მთავარი მიზეზია: ეს არის სიჩქარის გადაჭარბება, არასწორი მანევრი, საჭესთან ტელეფონით სარგებლობა და ალკოჰოლური თრობის ქვეშ ავტომანქანის მართვა. ეს პროგრამა პროპორციულად შეამცირებს ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობას, სიკვდილიანობას და დაშავებულთა რაოდენობასაც“, – ამბობს თალაკვაძე.

ახალი პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია „უკონტაქტო პატრულირების“ გამოყენებაც. თალაკვაძე ამბობს, რომ ეს ნოვაცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აპრობირებული პრევენციული ღონისძიებაა.

„დღეს მძღოლები არღვევენ მაშინ, როცა ირგვლივ პატრული ან კამერები არ ჩანს, მომავალში კი, როდესაც დარღვევები დაფიქსირ-

ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა:

2012	5359	
2013	5510	151-ით მეტი
2014	5992	482-ით მეტი
2015	6432	440-ით მეტი

საგზაო სფეროში არსებული სტატისტიკით, საქართველო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებლით 10 ყველაზე მაღალი რისკის მქონე ქვეყნებს შორისაა. ამ მონაცემით, ევროპაში – რუსეთისა და სომხეთის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ საქართველოში აღინიშნება – საშუალოდ 16 ადამიანი ყოველ 100 000 მოსახლეზე.

2015 წელს 160 ქვეითად მოსიარულე დაიღუპა, 1998 - დაშავდა;

2014 წელს- 145 დაიღუპა, 1993 დაშავდა; 2013 წელს –125 დაღუპული და 1687 დაშავებული იყო, ხოლო 2012 წელს კი – 160 დაღუპული და 1509 დაშავებული. აქედან დედაქალაქში 2015 წელს, ავტოავარიით 90 ადამიანი დაღუპული, 3834 ადამიანი დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკით, 2015 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში 1 053 181 ავტომანქანა რეგისტრირებული. მათ შორის, მსუბუქი, სატვირთო, სამგზავრო და სპეციალიზებული. აქედან მხოლოდ თბილისში 389 756 ავტომანქანა რეგისტრირებული. ამ მანქანების 90% -ზე მეტი 11 წელსაა გადაცილებული.

დება ჩვეულებრივი მანქანებიდანაც, რომელთაც უნიფორმიანი პოლიციელები მართავენ, მძღოლები ყურადღებით იქნებიან მაშინაც, როცა პატრულის მანქანა არ ჩანს. მსოფლიოში ასევე პოპულარულია რეგისტრატორების გამოყენება. რა თქმა უნდა, უკონტაქტო პატრულირების დროს არ მოხდება მანქანის სალონიში მყოფი ადამიანების გადაღება. იმ ტერიტორიებზე კი, სადაც უკონტაქტო პატრულირება განხორციელდება, განთავსდება სპეციალური ნიშნები, რომელიც მოსახლეობას ამის შესახებ გააფრთხილებს“.

რეგულაციების გამკაცრებას ამ კუთხით მომუშავე არასამთავრობოების უმეტესობა ეთანხმება. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილი ფიქრობს, რომ ჯარიმების მოცულობასა და ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობას შორის პირდაპირი კავშირი საქართველოს მაგალითზეც საკმარისად აშკარად გამოვლინდა:

„მას შემდეგ, რაც ბოლო რამდენიმე წელიწადში განახევრდა ჯარიმები სიჩქარის გადაჭარბებაზე, უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთასა და სხვა მსგავს დარღვევებზე, ამას ძალიან ლოგიკურად და თანმიმდევრულად მოჰყვა ავტოსაგზაო შემთხვევების ზრდა. როგორც ჩანს, ეს იყო მთავრობის მხრიდან მინიშნება იმაზე, რომ ამ დარღვევებს სერიოზულად არ უყურებენ“, – ამბობს მესხიშვილი.

ამავე მოტივით ორგანიზაციის „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისათვის“ ხელმძღვანელი ეკა ლალიაშვილი პარლამენტის წევრებს მოუწოდებს, დააკვირდნენ სტატისტიკურ მონაცემებს, გაიაზრონ, ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპულ-დაშავებულთა



რამდენად საგანგაშო რაოდენობასთან გვაქვს საქმე და წარმოდგენილი კანონპროექტი დაამტკიცონ.

„სტატისტიკა საგანგაშოა. ის ცხადყოფს, რომ საგზაო უსაფრთხოებას მეტი ყურადღება და სიმკაცრე სჭირდება. გზებზე მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ომებში. ქულათა ეს სისტემა ხელს შეუწყობს, რომ მძღოლები უფრო მონესრიგებულები გახდნენ. წლის განმავლობაში, როცა 6-7 მნიშვნელოვან შეცდომას დაუშვებ, იქნება ეს სიჩქარის გადაჭარბება, ღერძულა ხაზის გადაკვეთა თუ ქვეითისთვის გზის არდათმობა, რაც საერთო ჯამში მართვის მოწმობის დაკარგვით დასრულდება, მძღოლს აიძულებს, უფრო მო-

■ **ახალი პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია „უკონტაქტო პატრულირების“ გამოყენებაც. თალაკვაძე ამბობს, რომ ეს ნოვაცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აპრობირებული პრევენციული ღონისძიებაა.**

ბილიზებული და კანონმორჩილი გახდეს. დეპუტატებმა კი უნდა დაინახონ, რამდენად აუცილებელია ამგვარი ზომების მიღება“, – ამბობს ლალიაშვილი.

ზოგიერთ სამართალდარღვევაზე რეაგირება, რომლებიც ქულების დაკლების წესშია მითითებული და თითოეულს შესაბამისი ქულაც ენიჭება, არც ამჟამად ხდება და არც უახლოეს მომავალში იგეგმება, თუნდაც ეს კანონპროექტი

კანონად იქცეს – სანამ ქვეყანაში ავტომობილების ტექნიკური ვარგისიანობის შემოწმება, იგივე სავალდებულო ტექდათვალიერება არ ამოქმედდება, მანამდე დარღვევათა ნაწილის ადმინისტრირება უბრალოდ შეუძლებელია.

ასეთია მაგალითად, დარღვევა, როდესაც ავტომობილის გამონაფრქვევში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების მაღალი კონცენტრაციაა. ამგვარი ჯარიმა, როგორც

ჩანს, კანონმდებლობის ახლანდელ რედაქციაშიც წერია და ის მექანიკურად გადმოიტანეს, თუმცა თალაკვაძე არ მალავს, რომ ამ ნორმის ადმინისტრირებაც ტექნიკური დათვლიერების ამოქმედებამდე შეუძლებელია.

„ამ პრობლემის დაფიქსირება ვერ ხდება და ვერ მოხდება მანამ, სანამ ტექნიკური დათვლიერება არ გახდება სავალდებულო“, – ამბობს თალაკვაძე. ასევე არ დააკლდებათ ქულები „თვითნებურად გადაკეთებული“ ავტომობილის მძღოლებსაც, სანამ ამას ტექნიკური დათვლიერება არ გამოავლენს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც მძღოლების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, მართვის მონმობის თან არქონის გამო ქულების დაკლების ნორმა იყო. მაშინ, როდესაც პატრულის თანამშრომელს შეუძლია, პირადობის მონმობით ნებისმიერ დროს შეამონმოს მართვის მონმობის სტატუსი, რატომ ხდება მისი ტარება აუცილებელი? – კითხულობდნენ მძღოლები. თუმცა მინისტრის მოადგილე განმარტავს, რომ ეს ნორმა აქამდეც ასეთივე ფორმულირებით არსებობდა, მაგრამ მისი ადმინისტრირება კვლავ არ მოხდება, ეს ნორმა დარჩება კანონში, სადაც „მექანიკურად გადმოვიდა“.

თალაკვაძის მტკიცებით, ამ მხრივ, არაფერი შეიცვლება, ნორმა მხოლოდ ფურცელზე იარსებებს, მისი შესრულების ან შემონმების საჭიროება არ იქნება.

საგზაო უსაფრთხოების ახალი პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და საკამათო პუნქტი მარჯვენასაჭიანი ავტომობილების დარეგისტრირების შეზღუდვა

შსს-ის კანონპროექტის მიხედვით, სამართალდარღვევების გამო მძღოლებს ჯარიმის დაკისრებასთან ერთად, წლის განმავლობაში მინიჭებული ასქულიანი ლიმიტიც შეუძირდებათ:

უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – 10 ქულა, მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – 15 ქულა, მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო, საქალაქთაშორისო ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, – 20 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა – 5 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა. ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – 5 ქულა;

უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 20 ქულა.

აღმოჩნდა, ინიციატივას მძღოლების ნაწილი საპროტესტო აქციებით შეხვდა.

შსს-ის ინიციატივა არ შეეხება, ქვეყანაში უკვე რეგისტრირებულ მარჯვენასაჭიანი ავტომობილებს, მათი გაყიდვა, გასხვისება ან რეექსპორტის მიზნით შემოყვანა არ აიკრძალება. არ შეიზღუდება ასეთი ავტომობილების სპორტული სარგებლობისა და სპეციალური დანიშნულებისთვის შემოყვანაც. სამინისტრო დილერებსა და იმპორტიორებს დაჰპირდა, რომ მისცემს გონივრულ პერიოდს, რამდენიმე თვეს იმისათვის, რომ დაწყებული ოპერაციები დაასრულონ.

„2013 წლიდან ყოველწლიურად რეგისტრირებული მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რაოდენობა რამდენიმე ათასით აჭარბებს მარცხენასაჭიანების რიცხვს“, – ვკითხულობთ კანონპროექტის განმარტებით ბარათში. შსს-ში ამბობენ, რომ მათი გათვლით, ზრდის ტემპი იმდენად მაღალია, ფასთა სხვაობიდან გამომდინარე, რომ 3-5 წელიწადში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რაოდენობა მარცხენასაჭიანისას გაუთანაბრდება.

„ეს, ერთი მხრივ, გააუარესებს უსაფრთხოებას, მეორე მხრივ კი, შესაძლოა, მოგვინოს საგზაო ინფრასტრუქტურის გადაგეგმვა-გადაკეთება, რაც მილიარდზე მეტი შეიძლება დაუჯდეს ქვეყანასა და მოსახლეობას, რადგან დღეის მდგომარეობით მსოფლიოს მხოლოდ 3 ქვეყანაში (ავღანეთი, რუსეთი, მიანმა) არის დაშვებული მარჯვენა და მარცხენასაჭიანი ავტომობილების თანაბარი უპირატესობით მოძრაობა“, – განმარტავს სამინისტრო ცვლილების აუცილებლობას.

მინისტრის მოადგილის თქმით, მარჯვენასაქიანები 40%-ით მეტი რისკის ქვეშ არიან ავტოსაგზაო შემთხვევებთან მიმართებაში, თუ ისინი მარცხენა საჭეზე დაგეგმილ გზებზე მოძრაობენ – ჩამოსვამენ მგზავრს, ცდილობენ გასწრებას, თუ ღამით საპირისპიროდ მოძრავ მანქანას მათივე შუქებით უშლიან ხელს. სწორედ ხილვადობისა და მანევრირების შესაძლებლობის შეზღუდვის გამო (რაც მარჯვენასაქიანების უშუალო პრობლემაა) გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევათა დაახლოებით 25% შსს-ის მონაცემებით, სწორედ მარჯვენა საჭის მქონე ავტომობილებზე მოდის.

თუმცა ერთ-ერთი რისკი, რომელზეც ამ შემთხვევაში ამახვილებენ ყურადღებას სპეციალისტები, დაბალი ხარისხისა და მოძველებული ავტომობილების შემოდინების გაზრდაა, რადგან მარჯვენასაქიანი მანქანები სწორედ ის კატეგორია იყო, რომელთა ყიდვაც შედარებით დაბალ ფასად შეიძლებოდა და ვილებდით ახალ, ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო, ტექნიკურად კი მეტად გამართულ ავტომობილს.

თუმცა, როგორც ჩანს, კანონპროექტით დაგეგმილი ცვლილებები მომავალი ტექნიკური დათვალიერების პირობებსაც ითვალისწინებს, რომელიც ამჟამინდელი მდგომარეობით 2018 წლიდან უნდა ამოქმედდეს, თუმცა დათქმულმა თარიღმა უკვე რამდენჯერმე გადაინია.

გელა კვაშილავა, ფონდ – „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე, „ტრასეკას“ საგზაო უსაფრთხოების პროექტის რეგიონული კონსულტანტი ფიქრობს, რომ დაგეგმილი ცვლილებე-

ბი ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს ადმინისტრირების გამკაცრებას და მას დიდი პრევენციული როლის შესრულება შეუძლია. განსაკუთრებით კი დარღვევების შემცირება იმ ადამიანების მხრიდან, ვისაც ჯარიმის გადახდა არ უჭირს. კვაშილავას თქმით, ახალი ნესები მათ ნინააღმდეგ გაცილებით სერიოზული ბერკეტი იქნება: „ქულების სისტემა თანაბრად კარგად მუშაობს როგორც მაღალგანვითარებულ ისე განვითარებად თუ ჩვენს მსგავს ქვეყნებში. თუ ამ ყველაფრის კარგი

■ კანონპროექტით დაგეგმილი ცვლილებები მომავალი ტექნიკური დათვალიერების პირობებსაც ითვალისწინებს, რომელიც ამჟამინდელი მდგომარეობით 2018 წლიდან უნდა ამოქმედდეს, თუმცა დათქმულმა თარიღმა უკვე რამდენჯერმე გადაინია.

აღსრულება მოხდება, შესუსტდება დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც შეძლებულ მძღოლებს აქვთ. ახლა მათ შეუძლიათ, წელიწადში 2-ჯერ, 3-ჯერ თუ 10-ჯერ გადაკვეთონ ღერძულა ხაზი, გადააჭარბონ სიჩქარეს, საფრთხე შეუქმნან სხვის და თავიანთ სიცოცხლეს და ამისთვის მხოლოდ ჯარიმა გადაიხადონ, მეტი არაფერი. ახლა კი მათთვის ეს პროცესი გაცილებით უსიამოვნო გახდება. 4-5 დარღვევის შედეგად წლიური ლიმიტი 0-ს გაუტოლდება, მოუწევთ მართვის მოწმობის თავიდან ალება, გამოცდის ჩაბარება, მანამდე კი ორთვიანი ლოდინი, რაც საკმაოდ დიდ დისკომფორტთან იქნება დაკავშირებული“, – ამბობს კვაშილავა. ის იხსენებს, რომ 2014 წელს სიჩქარის გადა-

ჭარბებასა და სხვა დარღვევებზე ჯარიმის განახეგრება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აისახა ავარიების რაოდენობაზე.


მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების უმრავლესობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ლონისძიებებს ეთანხმება და ადმინისტრირების გამკაცრებას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, ისინი თანხმდებიან იმაზეც, რომ ეს ყველაფერი ეფექტიან შედეგს ვერ გამოიღებს, სანამ ქვეყანაში არ იარსებებს ერთი სახელმწიფო სტრუქტურა,

რომელიც საგზაო უსაფრთხოებაზე იქნება პასუხისმგებელი.

ეკა ლალიაშვილიც და გელა კვაშილავაც ამბობენ, რომ საგზაო უსაფრთხოების მისაღწევად თანაბრად მნიშვნელოვანია სამართალდარღვევებზე რეაგირების გამკაცრება, ინფრასტრუქტურის მონესრიგება, ავტოპარკის განახლება, მძღოლების კვალიფიკაციის გაზრდა, განათლება და ცნობიერების-ჩვევების შეცვლა. ეს კი მიუღწეველი ამოცანაა, სანამ ფუნქციები აბსოლუტურად გაფანტული იქნება, არ გვექნება ერთიანი საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა ურთიერთშეთანხმებული არ იქნება. ■

გადასასვლელი სამტრედესთან

ერეკლე მუმლაძე



ნაძალადევი, სანერგის მეორე შესახვევი №18. აივლით ვინრო, ბნელ დერეფანს, ცემენტის თითქმის ჩამოშლილ კიბეს და მტრედების ლულუნი მოგტაცებთ ყურადღებას. ეს სამტრედია, სადაც ათეულობით მტრედი ზამთრის სუსხს ერთად ეჭიდება. აიხედავთ ზევით და კვლავ დაინახავთ ამაველ ფიცრის კიბესა და ამ ყველაფერზე გადმომყურე აგურით ნაშენ მცირე ზომის ნაგებობას, რომლის სარკმლიდან გამომავალი საკვამური მოლურჯო კვამლის ხვეულებს ჰაერში აფრიალებს. აგურიც არაერთგვაროვანია, ჩანს დიდის ვაი-ვაგლახით შეუკონინებიათ.

„ნავედით მთაში“ - ასე ამიპატიჟა მასპინძელმა, ასულს კი ქალაქის ულამაზესი ხედი გადამეშალა თვალწინ.

დიახ, ამ თითქოსდა სიმბოლიზმით დატვირთულ ადგილას ცხოვრობს მარტოხელა დედა, ბელა ვეშაგური ერთადერთ შვილთან, 11 წლის გიორგი გიგაურთან ერთად.

37 წლის ბელა წარმოშობით ფასანაურის რაიონიდან, სეფელ კორულიდანაა. როგორც თვითონ ამბობს, სოფლის მიწა მოუსავლიანია და ამის გამო სოფელი თითქმის დაცლილია, ოთხი კომლია ცხოვრობს. წლინახევრის იყო, როცა ოჯახის მარჩენალი მამა გარდაეცვალა და დედამ უფროს დასთან ერთად ქალაქში წამოიყვანა. ცხოვრობდნენ ქირით, დედა ბაგა-ბაღში, სამზარეულოში მუშაობდა. თვითონ 16 წლის იყო, როცა ლიმონათის საამქროში დაიწყო მუშაობა. უსახსრობის გამო, დედამ ვერ შეძლო შვილებისთვის უმაღლესი განათლების მიცემა.

25 წლის ასაკში ბელა დაოჯახდა. მისი ან გარდაცვლილი მეუღლე ნიკოლოზ გიგაური ძირითადად ჯარის შეგროვებით იყო დაკავებული, შიგადაშიგ მშენებლობაზეც მუშაობდა, თუმცაღა უკიდურესად მძიმე ფინანსური პრობლემების გამო, ოჯახმა ვერ შეძლო ქირის გადახდა და მუხიანში, მაკულატურის ჩამზარებელ პუნქტში შესახლებულან, საიდანაც, რიგი მიზეზების გამო, გამოუყრიათ. ბელა ამ დროისათვის 4 თვის ფეხმძიმე იყო. შემდეგ ქირით დედამისის ნათესავებთან გადავიდ-

ნენ და აქ შეეძინა გიორგი, თუმცა აქაც ვეღარ შეძლეს ქირის გადახდა და კვლავ საცხოვრებლის გარეშე დარჩნენ. ამ დიდი „მოგზაურობის“ შემდეგ ბელა მაზლმა შეიფარა უსასყიდლოდ, ხოლო მას შემდეგ რაც მისი მაზლი დაოჯახდა შეუძლებელი გახდა ორი ოჯახის ერთ ძალიან მცირე ჭერქვეშ ცხოვრება.

სწორედ მისი მაზლის ეზოში მდებარეობს ზევით ნახსენები აგურის შენობა. შექმნილი ვითარების გამო, ბელას მეუღლეს დიდი წვალებით აუშენებია - „მასალას ხან ვინ სჩუქნიდა, ხან ვინ“.

ოთახის ფართი 6 კვადრატული მეტრია და ყველა ოთახის ფუნქციას ითავსებს. „ბავშვი ხუთი წლისაა და დღემდე გვერდით მიწვეს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, არ ვიცი“. როცა ოჯახს ბებია სტუმრობს, ბელას იატაკზე უწვევს დანოლა, გიორგის კი - ბებიასთან.

35 წლის ასაკში ბელას მეუღლე გარდაეცვალა და მისი ოჯახური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ოჯახი ვერ იღებს სოციალურ დახმარებას: „ქულები მოგვანიჭეს ბევრი და არ გეკუთვნიო. ახალი განცხადება დავწერე, კარგი ხანია, მაგრამ არავინ მოსულა შესამონმებლად“. მათთვის განკუთვნილ დახმარებას ბავშვის ობლობის პენსია, თვეში 100 ლარი შეადგენს, ხოლო ბელას დროდადრო ლიმონათის ქარხანაში უწვევს მუშაობა და დამატებით 5 ლარს გამოიმუშავებს დღეში, ესეც მუხლჩაუხრელი შრომის ფასად.

გიორგი მეზუთეკლასელია, თუმცა არცთუ იშვიათად უწვევს სკოლის გაცდენა, თბილი ფეხსაცმლის არქონის გამო. უწვევს ისეთი საქმის კეთება, რაც მის ასაკში, ალბათ, წარმოუდგენელია - ეძებს ჯართს, აგროვეებს შეშას, ეზიდება წყალს და ამ ყველაფერში პატარა მეგობრები ეხმარებიან. ძალიან ზრდილობიან და უკვე შემდგარ პატარა ვაჟყაცს სამეცადინო კუთხეც კი არ აქვს.

ოჯახი უკიდურესად მძიმე საცხოვრებელ პირობებში იმყოფება და ძირითადად კეთილი მეზობლებისა და ნათესავების დახმარებით განაგრძობს არსებობას. ☐











ՊՐԻՆՏԻՆԵՐ
 04936340
 8084000333

[Faded text, likely bleed-through from the reverse side of the page]

[Faded text, likely bleed-through from the reverse side of the page]

ბაქოში ნაპოვნი საქართველო

გიორგი კეკელიძე



სხვა დანარჩენ ქირ-სიკეთესთან ერთად, ადამიანი იმთავითვე შემგროვებელი არსებაა. არაფერია ამ ვნებაზე უფრო ძლიერი – თანაბარი შეიძლება მოიძებნოს. ხოლო ბაქო მართლა ქარების ქალაქია, რომც არ ქროდეს. რალაც სულ გიბიძგებს და აქეთ-იქით გაქროლებს ამგვარი საქმეების მოყვარულ კაცს. იქაური „მშრალი ხიდი“ კი ჩვენსაზე გრძელია – ლამის მთელ ქალაქს სწვდება. „ჰეი, ბიჩო, პრიხადი სუდა, გამარდჯობა“ – საზეპიროთი გიხმობენ მოვაჭრეები და მერე სევდიანი ხმით გიყვებიან 1973 წლის ამბავს. კაგდა მი ბილი ვ მესტე. თუ მოლოდი. რალაც ამდაგვარი. კეთილი სახით და აუცილებელი წინადადებით: „ჩაია ნი ხათითე? ვოტ ეტი მედალი ვსე სავეტსკიე

ბიჩო, სერჰ ი მოლოტ, უნიკალნი. ფოთო ხათითე? ო, ფოთო რედკო“ კი, ფოტოები გვინდა. და ვიცით, რომ იშვიათია. მაგრამ ლევან თავთაქიშვილი უფრო იშვიათი კაცია. თუ საერო სალოსები არსებობენ, სწორედ ეგეთი. თავით მიძვრება პატრონისგან მივიწყებულ ყუთებში და სკივრებში. სასტიკი და დამშეული თვალებით. როგორც განძის მთხრელებს აქვთ ძველ, სათავგადასავლო წიგნებში, ეგეთი თვალებით. და ტიფლისი. 1903. სუხუმი. 1912. ბატუმი 1915. თითო 10 მანათად. მგონი იაფია, მაგრამ მონამლეა იმ საფეხურისაა, ოთუზ-ბირსაც გადავიხდით და დავბრუნდებით უფულოები, მაგრამ გამარჯვებულები. პათეტიკურია? ამ საქმეში პათეტიკით ფონს ვერ

გახვალთ და საერთოდაც, ვატყობთ, არ ვართ ის ხალხი, მდინარეში მხოლოდ ცალ ფეხს რომ ჩაყოფს, სიღრმის გასასინჯად. ეგრე, წლები შეიძლება გავიდეს. ამიტომაც ჩავდივართ „მთლიანად“ – ხან წყალი წაგვიღებს, ხან გადავრჩებით და მეორე ნაპირს ვნახავთ. ცხადია, ცურვის ცოდნაც საჭიროა. მოკლედ: როინაშვილი – სამარყანდის სერიის სამი უცნობი ფოტო. ეს კიდევ კლარის ფოტო – გოგონა თოჯინით – 1897 წელი. იცურეთ ჩვენთან ერთად.

ქარების ქალაქი ლამაზია. მაგრამ ქარს ბიძგის გარდა, ერთი ცუდი თვისებაც აქვს. მარტო ბაქოში არა. ყველგან. ფანტავს და მიაქვს. ამ აზრით ყველაზე საშიში გონების ქარია. მეხსიერების წამშლელი ქარი. თუნდაც: ბევრს გახსოვთ ალექსანდრე როინაშვილი? ვწუხვარ, რომ არა. ილია ჭავჭავაძემ კი „უჩინარი კაცი“ დაარქვა და თითქოს დაებედა, მაგრამ როდემდე? ფოტოგრაფია კლასიკურ ისტორიოგრაფიას არაფრით ჩამოუვარდა. და თუ ჩვენ გვახსოვს და სწორადაც გვახსოვს ივანე ჯავახიშვილი, რა დაშავა ალექსანდრემ? ილიავე გავიხსენოთ, სწუხდა: ჩვენი ისტორია მხოლოდ მეფეების ისტორიაა, ხალხი არსად ჩანსო. როინაშვილთან დაიბადა ხალხის მატინე: უბრალო თუ ბრალიანი ადამიანები, სამოსი, პეიზაჟები, ქუჩები, შენობები. ფოტო ყველაზე დიდი და უტყუარი ფაქტია წარსულის სწავლისას.

მოკლედ მოგიყვებით ალექსანდრეზე. ძირითად ამბებს:

კავკავში ოჯახურ სირთულეთა გამო გადასახლებული ბავშვობაშივე გამოიპარება თბილისში. იქ ვილაც ხალხთან მოსამსახურედ დგება და ზღაპარიც იწყება. იყო ასეთი განთქმული კაცი, ხლამოვი, ფოტოგრაფი და სხვა სფეროებშიც კარგად მოვაჭრე. ერთ დღესაც ჩამოუვლია ამ ხლამოვს და არ ვიცი,

ბეგი, გოგებაშვილი და ათობით პორტრეტი იმ დროის მთავარი ხალხისა. შოთა რუსთაველის პორტრეტის ბეჭდური, ფოტოპირის სახით გამოცემაც ამ კაცის იდეაა. კახეთის ძეგლებიც მან აღბეჭდა. დალესტანიც. უფრო შორს ველარ წავიდა – არმოსატან მიზეზთა გამო. მუზეუმის შექმნა უნდოდა. არ დასცალდა. აი, რას წერდა: „თითქმის არც ერთი ერთ

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უტოვებს.

მოკლედ, დიდი კაცი.

თქვენ იცით, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას და „ჯეოსელს“ ერთობლივი პროექტი გვაქვს: „ციფრული ფოტომატიანი“. როინაშვილის ყველა არსებული და არდაკარგული ფოტო გავაციფრეთ. არსებულს და დაკარგულს ვეძებთ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დავემართებოდა



რა მაგიით, მაგრამ როინაშვილში სურათების შექმნელი ამოუცნია. ამოუცნია და შეგირდადაც აუყვანია. მონდომება და ნიჭი დემთხვა. ალექსანდრე 1860 წელს პირველ ფოტოსახელოსნოს ხსნის სარაჯიშვილის სახლში. მესურათხატეობა წარმატებული გამოდგა: 1875 წელს უკვე სერიოზულ ფოტოსტუდიას ხსნის, სახელად – „რემბრანდტი“. საუკუნის მიწურულს მას კიდევ ორი – „სასურათხატო“ და „ამხანაგობა“ მიემატება. იქ ასწავლიდა და აცხოვრებდა მომავალ ფოტოგრაფებს.

ადრე სკოლაში ოთახის ბოლოს ქართველი მწერლების სურათებს რომ ჰკიდებდნენ, სულ ამ კაცის ნამუშევარია: ილია, ვაჟა, ყაზ-

არ მოიპოვება, რომ საკუთარი სახლი, ანუ მუზეუმი არ ჰქონდეს. ჩვენ კი, რომელთაც უპირატესობა გვაქვს წარსულის დიდებითა, ხელოვნებითა, მწიგნობრობითა, აზრადაც არ მოგვდის, რომ დავაარსოთ ამგვარი ეროვნული სახლი. რათა დაინახოს მომავალმა თაობამ, თავისი წარსული, თავისი დიდება“.

1887 წელს ფოტოგრაფიის მოძრავი მუზეუმი დააარსა. ხომ გაბედული და ეფექტური იდეაა? მთელ რუსულ იმპერიას გააცნო ქართული სიძველეები – თავისივე გადაღებული, თავისსავე ხარჯით გამართულ გამოფენებზე.

სულ რალაც 36 წლისა წერს ანდერძს და ქონებას ქართველთა

უკვე შესაბამისად ხსენებულ ბატონ თაქთაქიშვილს, როცა ჩვენს კოლექციებს ნაკლები სამი ფოტო აღმოაჩინა – სრულიად სხვათა შორის მიგდებული საბჭოთა ლამფებსა და სასუვენირე სპილოებს შორის. ბევრი ვაჭრობისა და აქეთურ-იქეთურის მერე დათმო იმ კაცმა ეს სურათები, თუმცა თავიდან მგონი სრულიად უმნიშვნელო რამე ეგონა.

მოკლედ ეს სამი ფოტო, სხვა დანარჩენ ფოტოებთან, უკვე თბილისშია. პირველად „ლიბერალის“ ფურცლებზე იხილავთ. შემდეგ photomatiane.ge-ზე, შემდეგ როინაშვილის მუზეუმს ვგვამავთ – გამოიარეთ, ნუ დაივიწყებთ მთავარ ადამიანებს. 📍

ფოტო: ბაი შინგარაძე



არჩივები „ირმების გადმოსახედიდან“ ექვსნლიანი „აღდგენითი სამუშაოები“ დასრულებულია, ოპერა – ამღერებული!

გაჭიანურებული სარემონტო სამუშაოები, რომელიც ხშირად უსარგებლო და ყოვლად არამუსიკალურ სკანდალებთან, ადმინისტრაციისა და სამხატვრო ხელმძღვანელების შეცვლასთან, სოციალურ თუ პოლიტიკურ პრობლემებთან (განსაკუთრებით ფონდ „ქართუს“ ისტორიის გათვალისწინებით) იყო დაკავშირებული, არცთუ უხმაუროდ ჩაბარდა წარსულს... თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებული თეატრი ეროვნული კულტურის არქტიპით, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, საზეიმოდ გაიხნა, თუმცა ვისთვის ეს არტფაქტი აღმოჩნდა და ვისთვის იმ ერთი, მდიდარი კაცის პოლიტახირებიდან გამოძერწილი სანახაობა.

დავით ბუხრიკიძე

თეატრი კარკასი, შავი ვეპაჟი

უმადურობა რომ არ დაგვანამონ, აღდგენითი სამუშაოებით, ანუ პოზიტივით დავიწყით. ოპერის თეატრში სარემონტო სამუშაოები 2010-2016 წლებში, ფონდ „ქართუს“ უზრუნველყოფით მიმდინარეობდა (პროექტის მთავარი არქიტექტორი ლერი მეძმარიაშვილი), რაც ითვალისწინებდა თეატრის სრულ რეაბილიტაციას: გამაგრდა ფუნდამენტი; სპილენძით დაიფარა შენობის სახურავი, განახლდა და ამავდროულად პირვანდელი სახე შეუნარჩუნდა ოპერის თეატრის ფასადსა და ინტერიერს; შეიცვალა სცენის ზედა და ქვედა მექანიზაცია; გაფართოვდა საორკესტრო ორმო; დამონტაჟდა თანამედროვე ვიდეო, აუდიო და განათების სისტემები; რესტავრაცია გაუკეთდა და ხელახლა მოოქროვდა დარბაზები; თეატრი აღიჭურვა უმაღლესი კლასის ინსტრუმენტებით (მათ შორის, ორი დიდი საკონცერტო „სტივენის“ რილით).

ასევე მნიშვნელოვანია, რომ გარემონტდა ჯანსუღ კახიძის სახელობის სარეპეტიციო დარბაზი; მოეწყო მცირე სცენა და საორკესტრო ადგილი; თეატრს დაემატა ღია ვერანდები და საგამოფენო სივრცე; გაკეთდა ახალი საგრიმიროები და ანტრაქტის დროს დასასვენებელი დარბაზი; რესტავრაცია ჩაუტარდა იატაკს, მაყურებელთა სკამებს; შეკეთდა უნიკალური ავსტრიული ბროლით დამზადებული 600-ნათურიანი ჭალი; განახლდა თეატრის მიმდებარე სკვერი...

ნესით, საზოგადოებას მადლობის მეტი არაფერი უნდა ეთქმოდეს. არადა, მელომანების ნაწილი, მედია, არტისტები, ცხოველთა დამცველები თუ პოლიტიკოსები ოპერის გახსნის ცერემონიასა და ორგანიზებას მკაცრად აკრი-

ტიკებდნენ. ვიღაც პრემიერაზე „არასწორად“ მიწვეულებმა გაალიზიანა, ნაწილს ქურქები არ მოენიანა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ოპერის გახსნაზე მიპატიჟებულეზა და სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ოჯახის „თეატრალურ ვნებას“ შორის განსხვავებას ვერ ხედავდნენ. იქვე, ოპერის ბაღში შენობის გახსნის პარალელურად, საპროტესტო თუ სახალხო აქცია-კონცერტი გაიმართა.

„სწორე უნდა მოგახსენოთ, მე თეატრი სრულიად არ მეპიტანავებოდა, რადგანაც არა გამეგებოდა-რა, არც იტალიური ოპერებისა, არც მუზიკისა, მე მხოლოდ დავიარებოდი გასაცილებლად და პატრონად ჩემის ცოლ-შვილისა, რომელთაც გააფიქვით შეიყვარეს თეატრი. მაგრამ ჩემს ცოლ-შვილს რა იზიდავდა თეატრში? დაგარწმუნებთ, რომ სხვა არა-რა იზიდავდა, გარდა უგუნური ამპარტავნობისა. იმათ მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდათ: სჩვენებოდნენ საზოგადოებასა, რომ „ჩვენც – აქა ვართოა...“ – ეს არის ფრაგმენტი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილიდან“ და უცნაურია, რომ ამ ტექსტს დღესაც არ დაუკარგავს სიმძაფრე და აქტუალობა, თუმცა კლასიკაც ხომ იმიტომბა კლასიკა, ყველა დროის შესატყვისად უღერდეს. საოპერო თეატრის ექვსწლიანი, ლამის პოლიტიკური სიმძაფრით გამორჩეული სარემონტო ვნებების შემდეგ, გასაგები და საზეიმო ფაცა-ფუცი (თავისი ქურქებით და სამკაულეებით, წითელი ხალიჩით, საგანგებოდ შერჩეული სტუმრებით და უშუალოდ თეატრში ნანახ-განცდილით) სწორედ „უგუნურ ამპარტავნებას“ უფრო გამოხატავდა, ვიდრე ჭეშმარიტ მელომანთა და თეატრალთა თავყრილობას... თუმცა ოპერაში ჯერ სიმღერას აფა-

სებენ და მერე ითვლიან სამკაულეებს.

ისტორია ხანძრავის თანხლებით

თბილისის საოპერო თეატრს მდიდარი და დრამატული ისტორია აქვს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალ-ფელდმარშალმა და დიპლომატმა, გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა ბევრი რამ გააკეთა თბილისის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებისთვის. მას სურდა, ქალაქს ევროპული საოპერო თეატრი ჰქონოდა. 1851 წელს საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი საოპერო თეატრი, სადაც ბარბიერის იტალიურმა დასმა გაეტანო დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმური“ წარმოადგინა.

იმდროინდელი პრესა წერდა, რომ საექტაკლის დამთავრების შემდეგ, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად, მასპინძლები ბარბიერის დასსა და ოპერაში შეკრებილ საზოგადოებას მტკვრის სანაპიროსკენ წარუძღვენენ. სახალხო ზეიმად ქვეულმა სანახაობამ უკვე მდინარე მტკვარზე გადაინაცვლა, სადაც ტივებზე მოქეიფე ხალხი მთელი ღამე ზეიმობდა ოპერის თეატრის გახსნას. პირველ წარმოდგენებს მოჰყვა ვერდის „ერნანი“, ბელინის „ნორმა“, როსინის „სევილიელი დალაქი“ და სხვა ოპერები. საოპერო თეატრმა მნიშვნელოვნად აამაღლა თბილისის კულტურული ცხოვრების საერთო დონე.

1874 წელს ოპერის თეატრი დაიწვა. მიუხედავად ამისა, დასს მუშაობა არ შეუწყვეტია და დროებით „საზაფხულო თეატრის“ სცენაზე გადაინაცვლა. 1896 წლის 3 ნოემბერს გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) დასრულდა არქიტექტორ შრიოტერის დაპროექტებული ე.წ.

ფოტო: შ. შარვაშიძე



„სახაზინო თეატრის“ მშენებლობა, რომელიც 1200 კაცზე იყო გათვლილი. ფაქტობრივად, ეს არის დღევანდელი ოპერის თეატრი, რომლის პროტოტიპად არქიტექტორმა რიჰარდ ვაგნერის მიერ დაარსებული ბაიროითის თეატრი გამოიყენა. შენობის სახეს მავრიტანული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტების ერთობლიობა განსაზღვრავს: კედლის სიბრტყის დამანანევრებელი მუქი და ღია ფერის ზოლები, ნიშაში ჩასმული ნალისებური ღიობები, სტალაქტიტური ფრიზები, მუშარაბიანი სარკმლები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში პირველი ხანძრიდან ასი წლის შემდეგ 1973 წელს ოპერის შენობა ისევ დაინვა. ხანძარმა მთლიანად დააზიანა ინტერიერი, რის შემდეგაც თეატრის შენობა საფუძვლიანად გადაკეთდა. რეკონსტრუქციის ავტორებმა (მექმარიაშვილმა და ჩაჩანიძემ) შეძლეს შენობის აღმოსავლური, ფსევდომავრიტანული სტილის შენარჩუნება, ისრული თალებით, დეკორატიული კოშკურებით, სტალაქტიკური მორთულობითა და

ორნამენტული მოტივებით.

2010 -2016 წლებში კი თეატრის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სარემონტო სამუშაოები შესრულდა. ასე რომ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს 2016 წლის 30 იანვრიდან „მესამე სუნთქვა“ გაეხსნა.

ლაზაზი, მძიმე და სტატიკური

დიდი ხნით ადრე, ვიდრე რემონტი დასრულდებოდა, უკვე ცნობილი იყო, რომ თეატრი ახალ სივრცეს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ დაიწყებდა, რომლის პირველი ნარმოდგენა ამავე თეატრის სცენაზე 1919 წლის 21 თებერვალს გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ოპერას თავად კომპოზიტორი დირიჟორობდა. ნარმოდგენა თეატრისა და კინოს რეჟისორმა, ალექსანდრე წუნუნავამ დადგა.

ხალხური თქმულების, „ეთერიანის“ სიუჟეტზე ნანარმოების შექმნა კომპოზიტორს ცნობილმა პედაგოგმა და ლიტერატორმა, პეტრე მირიანაშვილმა ურჩია, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის

„აბესალომ და ეთერის“ შექმნაში. მან არა მარტო ლიბრეტოს ტექსტი დაწერა, არამედ მხარში ედგა კომპოზიტორს წლების განმავლობაში, როდესაც ამ ოპერაზე მუშაობდა. პეტრე მირიანაშვილმა ხალხური თქმულების ტექსტის გარდა ლიბრეტოში გამოიყენა ვაჟა-ფშაველას პოემის ცალკეული სტროფები, „ვეფხისტყაოსნისა“ და ილია ჭავჭავაძის ლექსის ფრაგმენტები.

მიუხედავად რამდენიმე თანდაყოლილი, უფრო მეტად კი დროის მიერ ცუდად მინებებული ნაკლისა, ფალიაშვილის ოპერას აქვს რალაც შინაგანი, მომნუსხველი და დრამატული სილამაზე, რაც გაუვარჯიშებელთა ყურთასმენასაც სწვდება. ეს არის საუკუნეების განმავლობაში აგურივით საგანგებოდ გამომწვარი სევდის მოტივი და მინორული ტონალობის დომინანტა; თითქოს ისტორიულად განპირობებული და კომპოზიტორის ცხოვრებისეული ბედისწერის მიერ (მას შვილი გარდაეცვალა, როცა „აბესალომს“ წერდა) შავად მოქარგული მუსიკალური იდუმალეზა; ეპოსის სისადავე და სიმძიმე ერთდროულად, რაც ბუნებრივია, ლიბრეტოზეც აისახა; ისტორიული კოსტიუმებითა და ცეკვა-თამაშით საგულდაგულოდ შეფუთულ-შენიღბული ეროტიზმი; პატრონყმობისა და ფეოდალური ურთიერთობების კონფლიქტი სასიყვარულო ვნებასთან; და „შავად მღელვარი ფიქრის გამარჯვება სინათლეზე... რაც ზომიერი ირონიის შემთხვევაში, ცოცხალი ფაუსტურადაც შეიძლება აღვიქვათ.

„აბესალომ და ეთერი“ რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ დადგა. სხვათა შორის, ეს მისი მეოთხე შეჭიდებაა ფალიაშვილის ამ ოპერასთან. დირიჟორი – ზაზა აზმაიფარაშვილი, მხატვრობა, სცენოგრაფია და კოს-

ტიუმები – გოგი ალექსი-მესხიშვილი, მთავარი ქორმეისტერი – ავთანდილ ჩხენკელი. სპექტაკლში მონაწილეობს ქართული ნაციონალური ბალეტი, ხოლო ქორეოგრაფიული ნომრების ავტორია ილიკო სუხიშვილი-უმცროსი.

ჯერ კიდევ „აბესალომ და ეთერის“ ძველი ვერსია, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა სამი ათეული წლის წინ დადგა (მხატვარი და სცენოგრაფი მაშინაც გოგი ალექსი-მესხიშვილი იყო) მძიმე და სტატიკური იყო. საერთოდ, ამ ოპერის „მოუქნელობა“, ნაკლები „დრამი“ და „ნაკერებით“ გამორჩეული ლიბრეტო (პლუს გუნდის მნიშვნელოვანი და სტატიკური როლი) დამლასავით ატყვია ნებისმიერ საოპერო დადგმას. უკვე ჩამოყალიბებული მიზანსცენები და ტრადიცია გავლენას ახდენს მოქმედ თუ მომავალ რეჟისორებზეც. სპექტაკლში დაახლოებით 120 ადამიანი მონაწილეობს და ამის გამო რეჟისორის ფუნქცია მთავარი გმირების სივრცეში განაწილებაში გამოიხატება; ვინ საიდან უნდა შემოვიდეს, ან საით გავიდეს; როგორ განლაგდნენ მომღერლები ანსამბლების შესრულებისას და ა.შ.

გოგი მესხიშვილი აბსტრაქციულ-არქიტექტურულ სივრცით გადანყვეტას ირჩევს, რაც საშუალებას აძლევს, სცენა იოლად განტვირთოს პერსონაჟებისგან. მისი სცენოგრაფია გაცილებით ახლოა პეტრე ოცხელის ტრადიციასთან, ვიდრე მოდერნისტულ ან პროვოკაციულ გადანყვეტასთან. თეთრი და გეომეტრიული „არქიტექტურის“ გადაღმა რაღაცნაირი, არამკვირცხლი და ქორბუდა ირემები თვლემენ, რომლებიც მუზეუმის „ოქროს ფონდის“ ექსპონატებს უფრო მოგვაგონებენ. ეს ერთადერთი კონკრეტული, ცოცხალი

ნიშანია აბსტრაქტულ სცენოგრაფიულ სისტემაში. სწორედ „ირემების გადმოსახედიდან“ ჩაგვესმის ეთერის არია „დედინაცვალი – თვალში ნაცარი“ პირველ მოქმედებაში, მარიხის კანცონეტა მეორეში და აბესალომისა და მურმანის დუეტიც მესამე აქტში „ამალამდელი ლამეო“... რაც შეეხება ცნობილ კვარტეტს – „ნამნამსა და ნამნამს შუა, ბალი გაგიშენება“, ის მთელი წარმოდგენის ყველაზე დასამახსოვრებელი და ძლიერი ეპიზოდია, მუსიკალური თვალსაზრისით.

ქართული საოპერო ვარსკვლავების სპექტაკლში მონაწილეობამ ცხადია, გაზარდა მაყურებლის ინტერესიც და მუსიკის ხარისხიც. თამარ ივერი (ეთერი) და ლადო ათანელი (მურმანი) თეატრმა სპეციალურად გახსნისათვის მოიწვია. აბესალომის პარტიას თემურ გუგუშვილი ასრულებს, რომელიც შესაშურ ვოკალურ ფორმას ინარჩუნებს. ახალგაზრდა თაობამ მათ ღირსეული პარტნიორობა გაუწია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარიკა მაჩიტაძე (მარიხი), თეა დემურიშვილი (ნათელა), კახა თეთვაძე (აბიო), თამაზ საგინაძე (თანდარუხი).

როგორც არ უნდა გუტრიალოთ გუნდითა და მონვეული სოლისტებით დახუნძლულ, თითქმის ოთხსაათიან წარმოდგენას; რა ფერადი სირმებითა და „სვაროვსკითაც“ უნდა გაგანყოთ კოსტიუმები და მოოქროვილი ირემებით გავალამაზოთ უზარმაზარი თეთრი სივრცე, „აბესალომი“ მაინც სტატიკურ წარმოდგენად თუ საგუნდო სანახაობად რჩება და რაიმე კონცეფციისა და მასშტაბური გააზრების გარეშე, მხოლოდ ფერად ზღაპრად აღიქმება.

დაბოლოს, დრამატული თეატრის მსგავსად, სადაც ყოველთვის არსებობს სათქმელი (დაფარული თუ გაცხადებული), ანალოგიური რამ ოპერასაც უნდა შეეძლოს; ანუ ის აქტუალურად და თანამედროვედ უნდა ჟღერდეს – აქ და ახლა! ცხადია, კონტექსტიდან და დროის მოთხოვნიდან გამომდინარე. ისიც გასაგებია, რომ ექვსწლიანი რემონტი ცოტა არ არის, რამაც „საოპერო შიმშილი“ და მუსიკით დაინტერესებული საზოგადოების მღელვარე და ცოტა არ იყოს, აგრესიული დამოკიდებულება გამოიწვია. ■




საქართველოს ოპერა და ბალეტი

მომღერალი ქალი

„აი, აქ არის ყველაფერი, რაც მთხოვე და რაც ელექტრონულ კატალოგებში მოიძებნა“, – ია გორგიშელი თაბახის ფურცლებს მანვედის. ჩამონათვალი არც ისე ცოტაა. „მიდი, ჯერ ესენი ნახე, მერე იქნებ კიდევ მივაგნო რამეს“, – მეუბნება და სამკითხველო დარბაზისკენ მივყავარ.

ნინო ნატროშვილი



ია ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს და ინფორმაციის მოძიებაში მებმარება. მთელი ქვეყანა ახლა ოპერის შენობის გახსნასა და მოსანვევებზე ლაპარაკობს, მე კი მისი ჭალის ამბავი მაინტერესებს. ყურმოკვრით ვიცი, რომ ის საინტერესო ისტორიას ინახავს, მაგრამ კონკრეტულად რას, ამის გაგებას იმ პერიოდის პრესის არქივის დახმარებით ვცდილობ.

„კომუნისტ“, „ახალგაზრდა კომუნისტ“, „თბილისის“, „საბჭოთა საქართველოს“, „ფრესკას“ „ვეჩერნი ტბილისისა“ და „ზარია ვოსტოკას“ ვფურცლავ. რაღაცებს ვინიშნავ, ვასკანერებ, ხელახლა ვინერ. შეიძლება მეჩვენება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ინტერესის მიზეზს იგებენ, კატალოგისტები განსაკუთრებით მგულშემატკივრობენ. იმ ასაკისანი ჩანან 1973 წელს ოპერის შენობის დაწვას, მერე აღდგენას და ახალი ჭალით შემკობას აუცილებლად შეესწრებოდნენ. „იცით, მაგ ჭალის ავტორი სკოლაშიც ასწავლიდა ხაზვას. ძალიან გვიხაროდა, მისმა პროექტმა რომ გაიმარჯვა. გახსნაზე დიდი ამბავი იყო“, – მიყვება ერთ-ერთი.

1973 -1977 წლებში, ისევე, როგორც ახლა, ოპერის აღდგენა-რეკონსტრუქციისა და გახსნის ამბავი პრესის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. თითქმის ყველა სტატიაშია მოხსენიებული ცენტრალური ჭალიც, როგორც ოპერის შენობის ახალი სავიზიტო ბარათი, მისი ავტორი მხატვარი ნოდარ ერგემლიძე და შთაბეჭდილებები, რომლებსაც მნახველები გამოხატავდნენ. თავად ნოდარ ერგემლიძის კომენტარსაც ამ გაყვითლებულ ფურცლებზე ვპოულობ: „ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის ჭალის შექმნის სურვილი ჩემში სიყვარულმა და გულისტკივილმა დაბადა. გულისტკივილმა ამ დიდი დანაკარგის გამო, სიყვარულმა ჩემი ქვეყნისა და ხალხისადმი, ღრმა პატივისცემამ მისი მაღალი სულიერი კულტურისადმი. ჭალის პრო-

ექტზე მუშაობისას ვითვალისწინებდი თეატრის შენობის არქიტექტურულ გადაწყვეტას, ინტერიერის ხასიათს, თეატრალური ხელოვნების დღევანდელ მოთხოვნებს, ჩემი ხალხის დიდ კულტურულ ტრადიციებს. ჩემი დიდი სურვილი იყო, თუ შეიძლება მხატვრულად ვთქვა, ჭაღსაც „ემღერა“, ყოფილიყო იგი განუყოფელი ნაწილი, როგორც ინტერიერის, ისე თეატრალური სანახაობისა. განათების არმატურა იქმნებოდა ინტერიერის დეკორის, მისი სტილის გათვალისწინებით, ამიტომ ჭაღების დეკორატიულ ნაწილში, რომელიც დამზადებულია თითბრისგან, გამოყენებულია ის ორნამენტული მოტივები, რომლებიც დამახასიათებელია ინტერიერის მხატვრული გაფორმებისთვის. ეს მოტივები გასდევს განათების მთელ არმატურას – ყოველ ჭაღს, ტორშერსა თუ ბრას.“ – უყვებოდა მაშინ ჟურნალისტებს მხატვარი.

თბილისის ოპერის ჭალი ერთ-ერთი ყველაზე პომპეზური, საგსე და დიდია ევროპაში. 4,5-მეტრიანი დიამეტრის, 7 მეტრი სიგრძისა და 2,5 ტონის ნაკეთობა 600 ნათურისგან შედგება. მთლიანად თეატრის განათების სისტემა კი 11 სხვადასხვა სახის 33 ჭაღს, 89 ბრას, ხუთნაირი დეკორით შესრულებულ 360 პლაფონს, კიბის უჯრედებისთვის შექმნილ 16 ბრას და 4 ტორშერს აერთიანებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის ორნამენტურაა, რომლითაც მათი დეკორატიული ნაწილია შესრულებული, რადგან შენობის ინტერიერისთვის დამახასიათებელ მოტივებს იმეორებს. მაყურებლისთვის უხილავია ლითონისა და ბროლის დეკორატიულ საფარქვეშ მოქცეული სინათლის წყაროები, თუმცა როცა ცენტრალური ჭალი სრულად ნათდება, ავსტრიული ბროლი კი სინათლის სხივებით ცისარტყელას ფერებით ფერადდება, დარბაზში ზღაპრული შთაბეჭდილება იქმნება.

კაშკაშა ჭალი პირველად საზოგადო-



ებამ 1977 წლის 30 აპრილს, ოპერის გახსნაზე ნახა. ყველა აღფრთოვანებული დარჩა: განათების სისტემის ინდივიდუალური სტილი ინტერიერსა და ოპერის აღდგენაზე მომუშავე არქიტექტორების – ლერი მემმარიაშვილისა

და მურთაზ ჩაჩანიძის ჩანაფიქრს იდეალურად მიესადაგებოდა.

„საკუთარი თვალით უნდა ნახო ეს უნიკალური ქმნილება, რომ მისი სიდიადე და ეფექტი სრულად შეიგრძნო, აღიქვა და ღირსეულად შეაფასო. ასეთ

მხატვარი ნოდარ ერგემლიძე ოპერის ცენტრალურ ქალზე მუშაობის პროცესში. 1976 წელი ავტორი: ედუარდ გიგლაშვილი

ჭალზე გამოცხადებულ კონკურსში ნოდარ ერგემლიძემ სპეციალისტებისთვის მოულოდნელად გაიმარჯვა. უიურის 28 ხმიდან 26 სწორედ მან მიიღო. მაშინ მხატვარი 35 წლის იყო და თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების კათედრის უფროს მასწავლებლად მუშაობდა. იმ პერიოდში საქართველოში განათების ასეთ სისტემასა და ჭალზე მუშაობის გამოცდილება, პრაქტიკულად, არ არსებობდა, თუმცა ეს არ იყო ერთადერთი სირთულე.

„უდიდესი შემოქმედებითი უნარ-შესაძლებლობების, მუყაითობისა და სიმტკიცის წყალობით, მხატვარმა შეძლო, ადვილად გადაელახა ყველა სიძნელე“, – წერს 1978 წლის „თბილისი“, თუმცა თავად სიძნელეებზე არაფერს ჰყვება. გაშუქების ინტენსივობის მიუხედავად, საბჭოთა წყობისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებზე, რომელთა გარეშე არც თბილისის ოპერის ჭალის შექმნას ჩაუვლია, იმ პერიოდის პრესა დუმს. სამაგიეროდ, კარგად ახსოვთ მხატვრის ოჯახის წევრებს. ნოდარ ერგემლიძის შვილი, ეკა ერგემლიძე მიყვება, რომ პირველ წინააღმდეგობას ავტორი საბჭოურ ბროლითან დაკავშირებით ნაანყდა. „მამას სურდა მაღალმხატვრული ჭალის შექმნა, მისი მუშაობის მთავარი პრინციპიც სწორედ ეს იყო. მიაჩნდა, რომ ადგილობრივი ხარისხის ბროლით დამზადებული ჭალი დროთა განმავლობაში მხატვრულ ღირებულებას აუცილებლად დაკარგავდა, ამიტომ მიუხედავად იმ საშიშროებისა, რომელიც საბჭოთა პერიოდში მის განწყვეტილებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, სსრკ-ში წარმოებული ბროლის გამოყენებაზე უარი თქვა“, – ამბობს ეკა ერგემლიძე.

ნოდარ ერგემლიძეს თავისი პოზიცია და ადგილობრივი ბროლის დაბალი ხარისხი შესაბამისი არგუმენტებით უნდა დაესაბუთებინა. „მოიარა ყველა

რესპუბლიკა, სადაც ბროლს აწარმოებდნენ. დაათვალიერა ყველა საწარმო. ჩამოიტანა ბროლის ნიმუშები, ლაბორატორიული დასკვნები მათი შემადგენლობისა თუ ნახნაგების შესახებ და მაინც მოახერხა მაშინდელი ხელმძღვანელობის დარწმუნება, ჭალისთვის საჭირო ბროლი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მოეძებნათ. ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობასაც ეს მოდა ყველა დეტალის მნიშვნელობა და, შეძლებისდაგვარად, მხარში ედგინენ მას“, – იხსენებს ეკა ერგემლიძე.

მალევე მოსკოვში ევროპის ქვეყნების სიმპოზიუმზე, რომელსაც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია „რაზნოექსპორტი“ მართავდა, ნოდარ ერგემლიძემ ავსტრიული კომპანია „ჰაუპტის“ ხელმძღვანელი რიჰარდ ჰაუპტი გაიცნო. 100-წლიანი ისტორიის მქონე ფირმას იმ დროს უკვე ჰქონდა ანალოგიური გამოცდილება. მისი ბროლით დამზადებული ჭალები კი ვენის საოპერო თეატრს, პარიზის გრანდ-ოპერასა და კრემლის დარბაზებს ამშვენებდა. თბილისის ოპერის ჭალის ესკიზები ჰაუპტმა მოსკოვში ნახა. მეტალის, ორნამენტისა და ბროლის კომბინაციით, ტექნოლოგიით, რომელიც მანამდე არ გამოიყენებოდა, იმდენად მოიხიბლა, რომ მაშინვე დასთანხმდა დამკვეთს, ავსტრიული ბროლი საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით იაფად გადაეცა. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს კრემლის დარბაზში გამოყენებული ბროლით თბილისის ოპერის ჭალის დამზადების იდეა არ მოეწონა, მაგრამ საბოლოოდ ჰაუპტთან შეთანხმება მაინც შედგა.

სანამ ავსტრიაში ჰაუპტი ნოდარ ერგემლიძის ესკიზების მიხედვით სპეციალურად თბილისის ოპერის ჭალისთვის დეტალებს აწარმოებდა, საქართველოში, დიმიტროვის სახელობის 31-ე ქარხანაში სპეციალური ფოლადის ქრომანსილისაგან ცენტრალური

ჭალის მზიდი კარკასი მზადდებოდა. ჭალის გარე დეკორატიული დეტალები კი ოფორტის უნიკალური მეთოდით მუშავდებოდა: მეტალის ფირფიტებზე ღრმა გრავირება ქიმიური საშუალებებით სრულდებოდა, რაც ძალიან რთული, შრომატევადი პროცესი იყო. ნოდარ ერგემლიძე ყველა სამუშაოში უშუალოდ მონაწილეობდა.

კონსტრუქცია დამზადდა და ავსტრიული ბროლიც ჩამოვიდა, თუმცა ჭალის ანყობის ნანატრმა პროცესმა ახალი სირთულე წარმოშვა: უსაფრთხოების სათანადო ზომების არარსებობის გამო, უკვე ანყობილი ჭალებიდან, ტორშერებიდან და ბრებიდან ბროლის დეტალები იკარგებოდა. „მამამ იცოდა, რომ იმავე ბროლის საქართველოში შემოტანა ძალიან რთული იქნებოდა, ამიტომ გადაწყვიტა, შენობაში მხოლოდ უახლოესი ადამიანები მიეყვანა. მეგობრები, და, სიძე, მამა. მთელი ოჯახი საცხოვრებლად ოპერის თეატრში გადავიდა, რათა როგორმე ჭალის ანყობის პროცესი ბოლომდე უდანაკარგოდ მიეყვანა“, – მიყვება ეკა ერგემლიძე.

სულ ოპერის თეატრის განათების სისტემაში 200 სახეობის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბროლის დეტალია, რომელიც ყოველ ჭალში სხვადასხვა ვარიანტით მეორდება. ცენტრალურ ჭალში გამოყენებულია 2 სახის უმაღლესი ხარისხის ბროლი: „bohemian glass“ და „strassen cristal“ („ბოჰემური მინა“ და „ქუჩის ბროლი“). რიჰარდ ჰაუპტსა ნოდარ ერგემლიძის ნამუშევარი განსაკუთრებით მოსწონდა. ის არ მალავდა, რომ კომპანიის ბროლით დამზადებულ ჭალებს შორის პირველობას სწორედ მას ანიჭებდა.

ოპერის თეატრის ჭალმა სსრკ-ს მაშინდელი ხელისუფლებაც მოხიბლა. იმდენად, რომ იმავე დიზაინის ჭალის შექმნა ნოდარ ერგემლიძეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისთვისაც დაავალეს, თუმცა მხატვარმა მის შესრულებაზე უარი თქვა იმ მიზეზით,


რომ ეს ჭალი უნდა ყოფილიყო ერთადერთი და მხოლოდ თბილისის ოპერისთვის.

„მამა ჰაუპტთან, რომელიც თეატრის გახსნის შემდეგ სტუმრადაც იყო ჩამოსული, მეგობრობდა. ერთმანეთს მოსკოვშიც ხვდებოდნენ, ერთობლივი პროექტებიც დაგეგმეს, მაგრამ საბჭოთა პერიოდში უცხო ქვეყნებთან საქმიანი კომუნიკაცია ძალიან რთული იყო. ჰაუპტი მამას ხშირად ინვევდა სხვადასხვა ქვეყანაში, გამოფენებზე, სიმპოზიუმებზე, თუმცა ყველა მიწვევა, რომელსაც მის სახელზე გზავნიდა, დაგვიანებით მოდიოდა, ანუ მაშინ, როცა გამოფენა უკვე დასრულებული იყო, ან წასვლას ვეღარ ასწრებდა“, – ამბობს ეკა ერგემლიძე.

ერთ-ერთი ასეთი ერთობლივი პროექტი ქუვეითშიც იყო დაგეგმილი. ჰაუპტს სურდა, იგი ნოდარ ერგემლიძესთან ერთად განეხორციელებინა და ამ პროცესში ქართველი მხატვრის მიერ შექმნილი, მეტალზე შესრულებული უნიკალური ორნამენტი გამოეყენებინა. ნოდარ ერგემლიძეს საბჭოთა ხელისუფლებამ პროექტი მონაწილეობისა და ქვეყნის დატოვების უფლება არ მისცა, ამიტომ მხატვარმა ორნამენტის ექსკლუზივიც და ესკიზებიც ჰაუპტს აჩუქა. შემდეგ ეს ორნამენტი ჰაუპტმა წარმოებაში ჩაუშვა და სხვა პროექტებში გამოიყენა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რიჰარდ ჰაუპტსა და ნოდარ ერგემლიძეს შორის ურთიერთობა კვლავ აღდგა. თანამშრომლობაზე საუბარიც გაგრძელდა და პროექტებიც დაიგეგმა, თუმცა 1993 წელს ნოდარ ერგემლიძის მოულოდნელი გარდაცვალების გამო, ერთობლივი გეგმები განუხორციელებელი დარჩა.

და კიდევ ერთი ამბავი წარსულიდან: დასრულებული ჭალი პირველად ნოდარ ერგემლიძემ თავის მასწავლებელს, დავით ციციშვილს აჩვენა. „ნოდარ, დღეს შეგიძლია მოკვდი,



ისტორიას შენი ნამუშევარი შემორჩება",- ასეთი იყო მისი შეფასება. 30 იანვარს ოპერისა და ბალეტის თეატრის კიდეც ერთ გახსნაზე მისულ მაყურებელს სწორედ ნოდარ ერგემლიძის მიერ შექმნილი რესტავრირებული ჭალი დახვდა. მისი, ისევე როგორც მთლიანად განათების სისტემის, რესტავრაცია 2010 წლიდან დაიწყო. საერთო ჯამში ჭალს და მთლიანად განათების სისტემას 12 000 ბროლის დეტალი აკლდა. იმავე შემადგენლობის ბროლი შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნებითა და სერტიფიკატებით ფონდმა „ქართუმ“ კომპანია „სვაროვსკისგან“ შეიძინა, ხოლო ჭალის ზოგიერთი დაკარგული დეტალი, რომელიც ახლა უკვე აღარ იწარმო-

ება, სპეციალური შეკვეთით დამზადდა. განათების სისტემის მეტალი და ორნამენტები ქიმიურად დამუშავდა, გაპრიალდა და კოროზიის საწინააღმდეგო ლაკით დაიფარა. განათების სისტემა მთლიანად იმავე ფორმისა და ხარისხის ბროლით აღდგა, რომლითაც პირველად შეიქმნა.

* * *

ამ ისტორიაში ყველაფერია, რაც ელექტრონულ კატალოგებსა თუ პირად არქივებში მოიძებნა. თბილისის ოპერის და მასთან ერთად ჭალის ცხოვრება გრძელდება. ეს სტატია კი მალე ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრესის არქივს შეუერთდება და ჭალის ისტორიის ახალ მადიებელს დაელოდება. □

მდიდარ-ღარიბის ძველი ამბავი

გიო ახვლედიანი



ამასწინებზეც, შუა ზამთრის, იქ კი ზაფხულის შესვენებისას ერთმანეთს ამხანაგურად შეხვდნენ ბოკა და რივერი. ვითომ ისეთი არაფერი, მით უმეტეს, რომ ასი წელიწადია და მეტიც, რომ არგენტინის დედაქალაქის ეს ორი განთქმული გუნდი საუკუნეზე მეტია, ერთმანეთს ეჯაჯგურება იმ ამოუცნობი რაღაცისთვის, რაც კარგა ხანია გასცდა სპორტულ სახელსა და დიდებას.

ამხანაგური თითქოს არაფერია, მაგრამ ერთი ქვეყნის მსოფლიო ახალ ამბებში ბოკა-რივერის სწორედ ამ თამაშზე იმდენი ილაპარაკეს, ისეთი ნიხლაობითა და წითელი ბარათების ფრიალით გაჯერებული ნაწყვეტები აჩვენეს, რომ კიდევ ერთხელ გაგახსენდებოდა ცნობილი ამბავი: ბოკას და რივერს შორის ამხანაგური არ არსებობს.

ეს ორი ძველისძველი კლუბი 1913 წლიდან ხვდება ერთმანეთს. შეხვედრათა რეესტრი მოიცავს ხუთასზე მეტ მატჩს, იმათ შორის კი ას ოცი სრულიად არამხანაგური ამხანაგურია. ასე რომ, ამხანაგობა და მეზობლობა ორთა შორის დიდი ხნის მორჩენილია.

ყოველ განთქმულ დერბის თავისი სოციალური, პოლიტიკური, ისტორიული, თუ რელიგიური საფუძველი აქვს. ამ მსოფლიოს უპირველეს და უხისტეს სუპერკლასიკოში, რა თქმა უნდა, ყველა ამგვარ ფესვს იპოვი, თუმცა აქ მთავარი მაინც უბნიდან გაქცევის ამბავია, რომელსაც სხვანაირად სიღარიბისა და სიმდიდრის ომი შეიძლება დავარქვათ.

ორივენი, ბოკაცა და რივერიც მუშებისა და ლატაკების უბანში, ნავსადგურში დაარსდა: ბოკაში, სადაც ლარიბი პორტენოები დოკებში ღვრიან ოფლსა და სადაც ქუჩები ვინროა, ჯიბე თხელი, სადილი უბრალო, ვახშამი კი ხშირად არც მოიპოვება.

რივერი ბოკაზე ოთხი წლით ბებერია, მაგრამ საუკუნოვან ასაკში ეს უკვე პი-

რობითობაა. მით უმეტეს, რომ რივერმა ადგილის დედას უღალატა.

გარდამტეხი ბოკას უბნის ორ გუნდს შორის ცხოვრებასა და დერბიში 1925 წელია, როცა რივერმა ნავსადგურის კიდე დატოვა და ჩრდილოეთისკენ, საშუალო კლასის გარეუბნებისკენ, კერძოდ, ნუნიესისკენ წაინია, სადაც გულშემატკივართა სრულიად ახალი ლაშქარი შემოემატა და საბოლოო წყალგამყოფიც აქ დაიდო: მდიდრები და ღარიბები. ბოკას გულშემატკივრებად დარჩნენ პორტენოები, ლატაკ იტალიელთა შთამომავლები, ხალხში ხენიესესად წოდებულნი, რაც გენუელებს ნიშნავს, რივერს კი სამუდამო მეტსახელად დაუმკვიდრდა მილიონაროს, რაც ცხადია, მილიონერებს ნიშნავს.

ეს მეტსახელი უფრო იმ ძვირიანი ტრანსფერების გამო გაჩნდა, რივერმა რომ 30-იან წლებში განახორციელა. იმავე დროებაში რივერმა საბოლოოდ დაიბრუნა მათსურაზე წითელი დიაგონალური ლენტი, რაც ერთგვარი ზეიმურობისა და ფუფუნების მინიშნებაც კი იყო. მალევე რივერმა ბელხრანოში ააშენა ქვეყანაში მანამდე უნახავი სტადიონი, რომელსაც ხალხმა მონუმენტალი შეარქვა.

ბოკა კი იქ დარჩა, სადაც ოდითგან იყო.

საერთოდ, სამხრეთ ამერიკის საკლუბო ფეხბურთის ისტორია სწორედ ამგვარ დერბთა უკვდავებაზეა აწყობილი. მათ შორის კი უპირველესი მაინც ბოკა-რივერია.

კი, ფეხბურთი არგენტინაში ინგლისელებმა შეიტანეს, მაგრამ კონტინენტზე თამაშის გავრცელებაში არგენტინელებმა არანაკლები წილი დაიდეს. ჭრელ სამხრეთამერიკულ ფეხბურთში უამრავი რამის უკან სწორედ საფეხბურთო ბუენოს-აირესი და მისი მაგალითი იდგა.

ალბათ, არსად ისე მკვეთრი არ ყოფილა მდიდართა და ღარიბთა გუ-

■ ამხანაგური თითქოს არაფერია, მაგრამ ერთი ქვეყნის მსოფლიო ახალ ამბებში ბოკა-რივერის სწორედ ამ თამაშზე იმდენი ილაპარაკეს, ისეთი ნიხლაობითა და წითელი ბარათების ფრიალით გაჯერებული ნაწყვეტები აჩვენეს, რომ კიდევ ერთხელ გაგახსენდებოდა ცნობილი ამბავი: ბოკას და რივერს შორის ამხანაგური არ არსებობს.

■ ბოკა შენიღვა და ვენებაა, რივერი უფრო გონება და თვლა. ეს ყველაფერი გასული საუკუნის ორმოციანი წლებისთვის უკვე კლასიკურად იყო ჩამოქნილი.

ლების ბრძოლა ფეხბურთისათვის, როგორც სამხრეთ ამერიკაში და სწორედ ბოკა-რივერი იყო პირველი მაგალითის მიმცემი.

რივერი წავიდა, უარი თქვა თავის ფესვებზე, უარი თქვა იმ სულზე, რომელიც ბარაკების ქუჩებსა და ნაგავსაყრელებზე სუფევს. უარი თქვა ამაზე, რაც ბოკას აქვს: შოკოლადების ცარიელი კოლოფით სტადიონი, დაკიდებული ტრიბუნებით, ვინრო გასასვლელებითა და სკამებით და ამიტომაც, რივერის ქომაგი ბოკელ მეტოქეს ბოსტეროს, ნაკელის შემგროვებელს, დაუბანელ ტიპს ეძახის, ხოლო ამდენი ვნების დამტევ ბომბონიერას სტადიონს ლამის საღორედ მოიხსენიებს, რადგან შემოგარენში მართლა შეიგრძნობა გოჭების ფერმებიდან მოვარდნილი სურნელი.

საპირისპიროდ, მონუმენტალი ფართოა, მასთან მისასვლელად წვალევა საჭირო არ არის. განიერი ქუჩები, კარგი ავტოსადგომები, თვითონ მოედნის გარს კი სარბენი ბილიკები. ხალხი მინდვრიდან მოშორებით ზის. მაშინ, როცა ბოკას კოლოფი თანამონაწილეობას გულისხმობს. დერეფნები და გასასვლელები მონუმენტალზე ისეთი ხალვათია, აეროპორტებს შეშურდება.

ბოკა შენიღვა და ვენებაა, რივერი უფრო გონება და თვლა. ეს ყველაფერი გასული საუკუნის ორმოციანი წლებისთვის უკვე კლასიკურად იყო ჩამოქნილი.

რაც აერთიანებთ ამ კლუბებსა და მათ სტადიონებს, ტრიბუნების ზანზარია. ეს ოდესღაც ბომბონიერას ექსკლუზივი იყო: მთელი მაყურებელი ხტის და ამიტომ, კოლოფი ზანზარებს. მრავალი წელია, რაც ზანზარებს მონუმენტალიც, რომელმაც ხერხი მშვენივრად გაითავისა.

ისინი თამაშობენ, ერთმანეთს ებრძვიან და ალბათ ასე იქნება, სანამ სამყარო არსებობს. მრავალი საშინელი და ლამაზი ისტორია მომხდარა ამ

სუპერკლასიკოში. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ამ დიდ დერბიში კვლავაც შენარჩუნებულია თავდავიწყების ამბავი.

ამბობენ, რომ დღევანდელ ბოკა-რივერს გულშემმატიკივრები არანაკლებად ქმნიან, ვიდრე თავად გუნდები. კი, დღეს სხვა მსოფლიოა, ბოკაც, თავისი გულშემმატიკივრებისგან განსხვავებით, ღარიბი სულაც არ არის და არც რივერია იმდენად მდიდარი, მაინცდამაინც მილიონერები რომ ერქვათ, მაგრამ სუპერკლასიკოს სოციალური ქვეტექსტი ცოცხალია და ამიტომ მდიდართა და ღარიბთა თამაშისა და წინააღმდეგობის მარადიულობასა და მოქმედების წესებს სწორედ გულშემმატიკივრები ჰკარნახობენ.

საგულშემმატიკივრო ომები, მსხვერპლი, ხანძრები, ნგრევა, ძალადობა ფეხბურთისა და სუპერკლასიკოს მოტანილი არ არის. ეს წარსულიდან შობილი უკვდავი სიძულვილია, რომელიც, ალბათ, უკეთესია, დიდი ქალაქის ორ სტადიონზე და მათ შემოგარენში იბერებოდეს და სკდებოდეს, ვიდრე ეპიდემიასავით გავრცელდეს.

სიყვარული, სიძულვილი და ძველი ბიარესი. ეს ყველაფერი, არის. ამიტომ ამხანაგურს ვინ უყურებს, ვინ მოგცემს საშუალებას, რომ ამხანაგურად ითამაშო.

იმ ადგილიდან შორს, სხვა დერბის დასაწყისისას ვაით ჰართ ლეინზე, თამაშის დაწყებისას ტრადიციული შეძახილი გაისმა:

აღსდექ, ვისაც სძულს არსენალი!

მთელი სტადიონი წამოდგა. ხნოვანმა ჟურნალისტმა ჰანტერ დევისმა მის გვერდით მჯდომ მოხუც კაცს გადახედა და თქვა:

ძალიან მოხუცი ვარ იმისთვის, რომ მძულდეს.

მოხუცმა მეზობელმა უკმაყოფილოდ ნაიბურტყუნა:

მე კი ძალიან მოხუცი, რომ ავდგე. ■



WWW.LIBERALI.GE

ლიდერობის პრინციპებზე დაფუძნებული წრიული ორგანიზაციული სტრუქტურები პერიოდალურ სტრუქტურებთან შედარებით ბევრად უკეთ უზრუნველყოფენ

- ✓ ინიციატივების ნაკადის დინებას ქვევიდან ზევით;
- ✓ სტრატეგიული ინფორმაციის დროულ და სისტემაურ ამოთანას მმართველ პირებთან;
- ✓ ხარისხიანი გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებასა და აღსრულებას;
- ✓ გამართულ და უწყვეტ კოორდინაციასა და კომუნიკაციას ერთეულებს შორის;
- ✓ თითოეული ადამიანის ლიდერული პოტენციალის რეალიზებას;
- ✓ საჭირო ცვლილებების და შესაძლებლობების შესაბამისად ორგანიზაციის განვითარებასა და ადაპტირებას.